პალიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
3 სექტემბერი **შაბათი** 2011
№207 (13504) ფასი 80 თეთრი

რეპორტაჟების სპონსორია
გერმანული ლუდი ვარშტაინერი
როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE





ვაჟა სიმონიშვილი კლაიპედიდან

## სლოვენიასთან იმედი არის

10

# მტრისას, რაც ორ დღეში მოხდა: ქართულ ფეხბურთს მაგრად მოხვდა

გურამ ღოღუნჯაშვილის ფოტო





თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## თემურ ქეცბაია: ნაკრებს ფსიქოლოგი კი არა, ფეხბურთელები სჭირდება



## ლატვიელებმა ვითომ შანსიან ქართველებს ხელჩაქნეულებმაც მოუგეს

## ესპანელებმა საფეხბურთო ქვეყნების სიიდან ამოგვიღეს

## რას ერჩით ქომაგს? გულით მოსული სტვენით წავიდა: თამაში იყო აუტანელი და გაუტანელი

2

EURO2012

ჩაივლის როგორც მატარებელი უჩვენოდ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ევრო 2012 შესარჩევი მატჩი

02.09. თბილისი. მ. მესხი.
17 000 მაყურებელი

**საქართველო 0**
**ლატვია 1**

0:1 ცაუნია (64)

| საქართველო | ლატვია |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-2-3-1 |
| ლორია | ვანინსი |
| კაშია | კლავა |
| ამისულაშვილი | ივანოვსი |
| ხიზანიშვილი | გორკსი |
| კალაძე | კრიაუკლისი |
| კანკავა | ფერტოვსი |
| კობიაშვილი | ლაძდინსი |
| თარგამაძე | ვიშნიაკოვსი |
| ანანიძე | ცაუნია |
| მარცვალაძე | ლუკიანოვსი |
| იაშვილი | ვერპაკოვსკისი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| თ. ქეცბაია | ა. სტარკოვსი |

**საქართველო**

54. ანანიძე - **ბრიგალაშვილი**
54. იაშვილი - **სირაძე**
72. ამისულაშვილი - **დვალიშვილი**
*სათადარიგოები: რევიშვილი, გრიგალავა, კობახიძე, კვირკველია*

**ლატვია**

77. ვერპაკოვსკისი - **კოზლოვსი**
88. ლაძდინსი - **ო. ლაიზანსი**
*სათადარიგოები: დოროშევსი, გაურაკსი, პერეპლიოტკინსი, სმირნოვსი, რუგინსი*

გაფრთხილება: **კანკავა (11), ფერტოვსი (20), ვერპაკოვსკისი (42), გორკსი (49), კრიაუკლისი (86)**
არბიტრი: **ლ. ტრატუ (კვიპროსი)**

## გლობალური პრობლემა: გოლს ვინ გაიტანს?

გუშინწინ ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების სასტიკი მარცხი, გუშინ ჩვენი ეროვნული ნაკრების არანაკლებ მტკივნეული წაგება, — ქართული ფეხბურთისათვის შემოდგომა ისე დაიწყო, ამაზე ცუდი რა უნდა მომხდარიყო; ნებისმიერი წაგება არასასიამოვნოა, მაგრამ ბევრად უფრო მტკივნეულია, როცა ერთი, მართლაც კურიოზული გოლის გამო მთელი შესარჩევი ციკლის განმავლობაში გაწეული შრომა უფასურდება: საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის ყველანაირი შანსი დაკარგა! გასაგებია, რომ გუშინდლამდე ეს შანსი თეორიული უფრო იყო, ვიდრე — პრაქტიკული; თანაც, იმისათვის, რომ პლეი ოფის საგზური მოგვეპოვებინა, სამივე დარჩენილი მატჩიც უნდა მოგვეგო და ამას გარდა, ჯგუფის სხვა შეხვედრებიც ჩვენთვის სასურველი ანგარიშით უნდა დამთავრებულიყო. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საქართველო-ლატვიის ნაკრების მატჩამდე ცნობილი იყო, რომ საბერძნეთის ნაკრებმა სტუმრად ისრაელს მოუგო. ანუ, ჩვენთვის ყველაზე მისაღები (გნებავთ, აუცილებელი), საყაიმო შედეგი არ დაფიქსირდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, განახლებულ „მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე“ მოსული 17 000 გულშემატკივარი ჩვენი უპირველესი გუნდისაგან მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებას მოელოდა. ბოლოს და ბოლოს, ნავსიც ხომ უნდა გატეხილიყო: ჯერ ერთი, ლატვიელები თბილისში არასდროს გვყავდა დამარცხებული და, რაც მთავარია, თბილისში ხორვატებთან მართლაც დასამახსოვრებელი გამარჯვების მერე ჩვენს უპირველეს გუნდს... ზედიზედ სამი წაგება ჰქონდა. მოკლედ, განწყობა ყველას ოპტიმისტური ჰქონდა და, ცოტა არ იყოს, წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა მოვლენების ისეთი განვითარება, რომლის მიხედვითაც არაფრით გამორჩეულ ლატვიის ნაკრებთან წარმატების მიღწევა გაგვიჭირდებოდა. არადა, ფაქტი ჯიუტია: წავაგეთ ისეთი თამაში, 90 წუთი რომ ვუტევდით, მეტოქე თავს (ოღონდ, ორგანიზებულად და სათამაშო დისციპლინის მკაცრი დაცვით) რომ იცავდა და ჩვენს კარში ერთადერთი (!) დარტყმა საბედისწერო რომ აღმოჩნდა!

# ოცნებების სასაფლაო

გუშინდელი მარცხის მიზეზი არ შეიძლება იყოს კონკრეტული ფეხბურთელის (ამ შემთხვევაში, ჩვენი მეკარის) ერთი შეცდომა; ზედმეტია ლაპარაკი, როცა მერამდენედ ვზარალდებით უამრავი მომენტის გამოუყენებლობით; აღარაფერს ვამბობთ, ლამის არის გლობალურად ქცეული პრობლემაზეც: უკვე მერამდენე წელიწადია, გოლის გამტანი ცენტრფორვარდი არა გვყავს; უკვე მერამდენე წელიწადია, მოედნის ცენტრში „ბურთის დამჭერი“ და „ბოლო პასის“ მქონე ფეხბურთელი არა გვყავს; ჰოდა, ხანდახან მართლაც „ზედმეტად წავიოცნებებთ“ ხოლმე და გუშინ, მიწაზე დავეშვით!..

...მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელს **თემურ ქეცბაიას** ჰკითხეს: როგორ ფიქრობთ, ჩვენს ნაკრებს... ფსიქოლოგი არ სჭირდებაო? პასუხმა არ დააყოვნა: ფსიქოლოგი კი არა, ... ფეხბურთელები სჭირდებაო! ჩვენი ნაკრების თავკაცი ამ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, მაღალი დონის ფეხბურთელებს გულისხმობდა და საერთოდაც, ქეცბაიას არც უცდია წაგება მხოლოდ ფეხბურთელებისათვის დაებრალებინა. „ეს მარცხი ჩემი ბრალიც არის, ალბათ, მეც რაღაც დავაკელი“, — ამ შემთხვევაში აშკარად გულახდილი გახლდათ ჩვენი ნაკრების თავკაცი...

... კიდევ ვიმეორებთ: გუშინდელი მარცხი მხოლოდ კონკრეტულ ფეხბურთელ(ებ)ს ან მწვრთნელს არ უნდა დაბრალდეს; აბა, გავიხსენოთ, თუ რამდენ ჩვენს ფეხბურთელს აქვს თავის კლუბში მუდმივი სათამაშო პრაქტიკა? თუმცა, გაზეთის ფორმატისა და, რაც მთავარია, აშკარად „ცაიტნოტური“ სიტუაციის გამო, ამ მართლაც გლობალურ პრობლემას დღეს „გვერდს ავუვლით“; უბრალოდ, კიდევ ერთხელ გვინდა გულისტკივილი გამოვთქვათ გუშინდელი მარცხის გამო — ჩვენი ყველა ოცნება რომ დაასამარა! არადა, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: ჩვენს ნაკრებს შარშან სათამაშო სტილს ვუწუნებდით და მთელი წლის განმავლობაში წაუგებლად ვასპარეზობდით; ბოლო ორ მატჩში (პოლონეთთან ამხანაგური და გუშინდელი) კი აშკარად შეტევაზე ორიენტირებული ფეხბურთი დავინახეთ და... ორივე წავაგეთ!..

## არანაირი სიურპრიზი

...ჩვენი ნაკრების შემადგენლობა, კონკრეტული მომენტისათვის, ალბათ, ოპტიმალური იყო, თუმცა რამდენიმე სიახლე მაინც ვიხილეთ; ოღონდ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ქეცბაიას, ერთი შეხედვით, მოულოდნელი საკადრო გადაწყვეტილებები არ მიუღია: კარში ადგილი 25 წლის **გიორგი ლორიას** ანდო (ვინც ბოლო დროს მართლაც შთამბეჭდავად თამაშობდა), დაცვის ცენტრში „დაბრუნდა“ 29 წლის **ზურაბ ხიზანიშვილი,** ხოლო მეორე ვეტერანი, 33 წლის **ალექსანდრე იაშვილი** კარგა ხნის პაუზის მერე კვლავაც ცენტრფორვარდად მოგვევლინა. აშკარად შეტევაზე ორიენტირებული იყო იაშვილის უკან მოქმედი ფეხბურთელთა „ტრიოც“: 22 წლის **დავით თარგამაძეს**, 27 წლის **ოთარ მარცვალაძეს** (ფლანგებიდან) და 18 წლის **ჯანო ანანიძეს** (ცენტრიდან) თავიანთი სისწრაფით მეტოქისათვის პრობლემები უნდა შეექმნათ, საყრდენებად რომ 34 წლის **ლევან კობიაშვილსა** და 25 წლის **ჯაბა კანკავას** ვიხილავდით, ამაში ყველა დარწმუნებული ვიყავით; ისე როგორც დაცვის მარცხენა ფლანგზე 33 წლის **კახი კალაძესა** და დაცვის ცენტრში 29 წლის **ალექსანდრე ამისულაშვილის** გამოჩენა იყო ლოგიკური; სამაგიეროდ, დაცვის მარჯვენა ფლანგზე 24 წლის **გურამ კაშიას** გამწესება შესაძლოა ვინმესთვის ყოფილიყო სიურპრიზი, მაგრამ ჰოლანდიური „ვიტესის“ კაპიტანმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჩვენი ნაკრების ძირითადში თამაშს, უდავოდ, იმსახურებს. აი, რაც შეეხება სტუმრებს, გამოცდილმა მწვრთნელმა **ალექსანდრ სტარკოვსმა,** ერთი შეხედვით, პრიმიტიული, მაგრამ სასურველ შედეგზე ორიენტირებული სქემა აირჩია; ეს „სასურველი შედეგი“ კი, რაღა თქმა უნდა, არწაგება იყო და აკი თქვა კიდეც მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ლატვიელთა თავკაცმა: ვიცოდით, მეტოქე სწრაფ და აგრესიულ თამაშს რომ შემოგვთავაზებდა; ამიტომაც მაქსიმალურად ვცდილობდით დაცვაში შეცდომები ნაკლებად დაგვეშვა და ამასთან, ჩვენს შანსს დაველოდებოდითო; ამასობაში, იღბალიც ხომ შეიძლება ჩვენს მხარეს ყოფილიყოო. ასეც მოხდა...



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ზღაპრული დასაწყისი და გვიანი მინიშნება

... პირველი ტაიმის 30 წუთი ჩვენმა ნაკრებმა მართლაც შთამბეჭდავად ჩაატარა და, ალბათ, მთელი შესარჩევი ციკლის დროს არ შეგვიქმნია იმდენი მომენტი, რამდენიც გუშინდელი შეხვედრის ამ მონაკვეთში. გავიხსენოთ: ჯერ კიდევ პირველსავე წუთზე ჯანო ანანიძეს შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ ეფექტური რეიდი დარტყმით ვერ დაამთავრა; მერე იყო ფლანგების „აწიოკება“: მარჯვენიდან თარგამაძემ „გაინავარდა“, მაგრამ მარცვალაძემ ზუსტად ვერ დაარტყა; შემდეგ საპირისპირო ფლანგზე მარცვალაძემ გაილაღა, მეტოქის საჯარიმოშიც შეიჭრა, მაგრამ ბურთი სტუმართა კარის ძელს გაარტყა! ამას მოჰყვა კაშიას სახიფათო თავური დარტყმა, თარგამაძის მშვენიერი მომენტი (ბურთი კვლავაც ძელს რომ მოხვდა) და ასე შემდეგ; აი, ასეთი სცენარით მიმდინარეობდა პირველი ტაიმის საწყისი წუთები და არც მაშინ ავღელვებულვართ, როცა სტუმრები, ფაქტობრივად, პირველად გადმოვიდნენ ჩვენს ნახევარზე; ეგ კი არა, სტუმართა შორის, უდავოდ, გამორჩეულმა, მოსკოვის ცსკა-ს 23 წლის შეტევამა ნახევარმცველმა **ალექსანდრ ცაუნიამ** საჯარიმოდან ბურთი ჩვენი კარის ძელს რომ გაარტყა, ეგაც „კონტექსტიდან ამოვარდნილივით“ მივიჩნიეთ. მაგრამ, აი, ტაიმის ბოლოსკენ ჩვენ რომ „რატომღაც“ დავმშვიდდით და მეტოქე კი, პირიქით (ზედიზედ ორი კუთხური ჩამოაწოდა) რომ გააქტიურდა, ცოტა არ იყოს, ცუდად გვენიშნა. თანაც, ერთ ეპიზოდში ლატვიელები „თვალის დახამხამებაში“ გადმოვიდნენ ჩვენს ნახევარზე და 27 წლის **ალექსანდრ ვიშნიაკოვსმა** მახვილი კუთხიდან ბურთი ჩვენი კარის ბადეს გარედან გაარტყა. თუმცა, ჩვენებსაც ჰქონდათ ტაიმის მიწურულს გოლის გატანის შანსი, მაგრამ კაშიასა და მარცვალაძის მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია.

## ცაუნიას სინდრომი

მეორე ტაიმის დასაწყისი ცუდს არაფერს გვიქადდა: კობიაშვილი-იაშვილის კომბინაციას მარცვალაძე აგვირგვინებდა, მაგრამ სტუმართა გამოცდილ მეკარეს, 31 წლის **ანდრის ვანინსს** ბურთის აღება არ გასჭირვებია. აი, ამის მერე რა მოხდა, მართლაც რთული ასახსნელია: ჩვენები ხეირიან შეტევას ვერ იწყებდნენ, თანაც, ბურთი, რატომღაც მხოლოდ მარცხენა ფლანგზე „გადაჰქონდათ“, მაშინ როცა საპირისპირო ფლანგზე მყოფი თარგამაძე „ყველას დაავიწყდა“. მოედანზე არსებული სიტუაციის შეცვლა ქეცბაიამ ადრეული, თანაც ორმაგი ცვლილებით სცადა: 29 წლის **დავით სირაძემ** ცენტრფორვარდის პოზიცია დაიკავა, 22 წლის **შოთა გრიგალაშვილს** კი შეტევების წარმართვა დაევალა. ამ შეცვლებს თავდაპირველად სასურველი ეფექტი მოჰყვა: ჯერ თარგამაძემ წამოიწყო კარგი შეტევა, მაგრამ ბურთი სტუმართა კარს ზემოდან ასცდა; მერე კი გრიგალაშვილმა შორიდან, „მოჭრილი“ დარტყმით სცადა გოლის გატანა, მაგრამ ვანინსი კვლავაც უშეცდომოდ თამაშობდა. და აი, 64-ე წუთიც დადგა: ვერავინ იფიქრებდა, ცაუნია იმ პოზიციიდან ბურთს პირდაპირ კარში თუ გაგზავნიდა (ყველა ჩვენ საჯარიმოში ჩაწოდებას ელოდა), მაგრამ ამ ვერცხლისწყალივით მოძრავმა ფეხბურთელმა, ისე როგორც 2010 წლის 12 ოქტომბერს (რიგაში, ლატვია-საქართველოს მატჩის ბოლო წუთზე), ახლაც მწარე ალიყური გვაჭამა! ჰო, მართლაც კურიოზული გოლი გამოდგა — ლამის აუტის ხაზის სიახლოვიდან, თანაც შორი მანძილიდან დარტყმული ბურთი გიორგი ლორიამ ვერ მოიგერია და... თამაშიც მორჩა! აია, მის მერე, სულ მცირე, 15 წუთი ჩვენი ნაკრები „მოყვარულთა გუნდს“ უფრო ჰგავდა — რგოლებს შორის კავშირს ვინ ჩივის, ერთი-ორი „გადაბმული“ პასის გაკეთებაც ჭირდა და საქმეს არც „ვა ბანკზე“ წასვლამ უშველა: ქეცბაიამ მცველის ნაცვლად მოედანზე კიდევ ერთი ფორვარდი შემოიყვანა და სწორედ **ლადო დვალიშვილს** მართებდა კიდეც გოლის გატანა; სამწუხაროდ, 25 წლის თავდამსხმელმა უაღრესად ხელსაყრელი სიტუაციიდან ბურთი სტუმართა კარის ბადეს გარედან გაარტყა. მერე იყო ქაოტური შტურმი და ერთადერთი რეალური მომენტი, როცა კანკავა ძლიერი დარტყმით ბურთს შორეული კუთხეში გზავნიდა, მაგრამ ვანინსმა ჩინებული რეაქციით საკუთარი გუნდი გადაარჩინა. ჰოდა, მატჩიც დასრულდა და ჩვენი ოცნებებიც...



თემურ ქეცბაია პრესკონფერენციაზე
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**გია ტუხაშვილი**

***P.S. რამდენი ხანია, ჩვენი ნაკრებისათვის თბილისში ალარ უსტვენიათ...***

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო



# შეხვედრა მომავალთან

თბილისის "დინამოს" პრესსამსახურის ცნობით, სანაკრებო პაუზისას გუნდი მხოლოდ ვარჯიშით არ შემოფარგლულა და საგურამოში, "ლოკომოტივის" ბაზაზე დუბლიორებთან ტესტ-მატჩი გამართა.

"გუნდებმა ორი 35-წუთიანი ტაიმი ითამაშეს, პირველმა გუნდმა 4:1 გაიმარჯვა. მე-6 წუთზე **ოდიკაძის** გადაცემით **იაგუემ** თავურით გაიტანა. 22-ე წუთზე **პაპავას** კარგი პასით **გრიშიკაშვილთან** პირისპირ **ფოცხვერია** დარჩა და ანგარიში გაათანაბრა. სამ წუთში პირველი გუნდი ისევ დაწინაურდა. ოდიკაძის დარტყმის შემდეგ ბურთი **ლექვთაძესთან** აღმოჩნდა და ირაკლიმ ხელსაყრელი პოზიციიდან ზუსტად დაარტყა. მეორე ნახევარში **ფანცხავა** აქტიურად ჩაერთო თამაშში და **რობერტინიოს** პასი გოლად აქცია, 65-ე წუთზე კი იგი საჯარიმოში წააქციეს და **ჩისკომ** 11-მეტრიანის დარტყმის შემდეგ დამატებაზე გაიტანა. შეხვედრას კლუბის პრეზიდენტი **რომან ფიფია** და გენერალური დირექტორი **ზურაბ პოლოლიკაშვილი** ესწრებოდნენ. გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

"დინამო": გრიშიკაშვილი, ოდიკაძე (კოშკაძ), ლონლაძე, თომაშვილი, კახელიშვილი, ბერაია, ჯილაური (ფანცხავა), თექთურმანიძე, კოტო, ლექვთაძე (რობერტინიო), იაგუე (ჩისკო, მუმლაძე)

დუბლები: ნადირაძე (ლეგაშვილი), ამაშუკელი, ხოჭოლავა (თ. ნემსაძე), გველესიანი, კაკუბავა (ხიზანეიშვილი), პაპავა (დოლიძე), რეხვიაშვილი (ჯიშკარიანი), ჩაფიძე (კაჭარავა), ფოცხვერია (მათიაშვილი), პარუნაშვილი, გაბაშვილი.

# ლორია და დინამო: კიდევ ერთი წლით



გიორგი ლორია

გუშინდელ "ლელოში" ვწერდით, რომ ქართველ მეკარეებს ჩვენი ფეხბურთის კვალობაზე უჩვეულოდ დიდი ფასი დაედოთ - გერმანულმა ვებგვერდმა „ტრანსფერმარკტმა" ევროპის ლიგასა და ეროვნულ ნაკრებში დამაჯერებლად ჩატარებული თამაშების შემდეგ თბილისის „დინამოს" მეკარე **გიორგი ლორიას** ფასი 450 000 ევროდან 800 000-მდე გაზარდა!

ამით გიორგი ლორიამ, თანაგუნდელ **ჩისკოსთან** ერთად, ეროვნული ჩემპიონატის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელის სტატუსი შეიძინა და "ზესტაფონისა" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **ბუბა დაუშვილი** (550 ათასი ევრო) ჩამოიტოვა.

ბუნებრივია, ლორიას ახლა უცხოეთში გადასვლის ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი უდგას. იყო კიდეც ლაპარაკი, რომ 24 წლის მეკარეს იწვევდნენ გერმანიის, იტალიის, რუსეთის, უკრაინის და პოლონეთის ცნობილ კლუბებში, ჩვენთვის მხოლოდ ორი კონკრეტული ვარიანტია ცნობილი – ვარშავის "ლეგია" და ლვოვის "კარპატი".

ლორიას "დინამოდან" წასვლას ევროპის ლიგაზე აეკ-თან მარცხის შემდეგ ელოდნენ. ეჭვები უფრო გამძაფრდა, როდესაც თბილისელებმა ცხინვალის "სპარტაკში" იჯარით გაშვებული ახალგაზრდული ნაკრების მეკარე **თორნიკე ზარქუა** დაიბრუნეს. ეს თითქოს იმიტომ გაკეთდა, რომ მეორე მეკარე **სოსო გრიშიკაშვილს, გიორგი ნადირაძესთან** ერთად, კიდევ ერთი კონკურენტი ჰყოლოდა.

თუმცა გუშინ ეს ეჭვები გაიფანტა: შევიტყვეთ, რომ სანაკრებო შეკრების დღეებში ლორიას "დინამოს" ხელმძღვანელები ელაპარაკნენ, გაუმჯობესებული კონტრაქტი შესთავაზეს და გადაწყდა, რომ გიორგი გუნდის კარს კიდევ ერთი წელი დაიცავს.

ლორიას "დინამოსთან" მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს, რომელიც ერთ წელიწადში უმთავრდება. თუმცა ხელს ესეც არ შეუშლიდა, მაგრამ "დინამოში" კიდევ ერთი წლით დარჩენა თავად ისურვა.

# ბერლინის კედელი დილომშიც დაინგრა

## ღიაა: მესერი, როგორც ცხოვრების სტილი

თბილისის "დინამოს" ბაზაზე სწრაფი ტემპით მიმდინარე სამუშაოები მალე დასრულდება, საზოგადოება იხილავს, რა და როგორ გაკეთდა და, დარწმუნებული ვარ, სასიამოვნოდაც გაოცდება.

პირველი პრინციპული სიახლე სივრცის მოწყობის კონცეფციაა – ჯერ კიდევ კომუნისტების დროს აშენებული სპორტული კომპლექსი ყრუ კედლებით იყო შემოზღუდული და საიდუმლო ორგანიზაციის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებდა.

ეს კედლები საბჭოური პერიოდიდან მოყოლებული, მედიისა და გულშემატკივრის ნერვებზე "თამაშობდა" და მისი მოშლა ბევრჯერ გვინატრია: ვარჯიში ხშირად იხურებოდა, ჩვენ კი ჭოკით მხტომელები არ ვართ, კედლის მიღმა მომხდარისთვის შეგვევლო თვალი. ეს უფრო ახირება და იმის დემონსტრირების მცდელობა იყო, თითქოს შიგნით განსაკუთრებულ ჩანაფიქრზე მუშაობდნენ – ნაკრებიც და კლუბიც. მაგრამ დღემდე ვერ ვხვდები, რას მალავდნენ – გენიალურ ჩანაფიქრებს რალაც ვერ ვიხსენებთ.

ახლა კედლები ღია მესერმა შეცვალა, რაც ევროპაშიც მიღებულია. ამით "დინამომ" დააფიქსირა ის, რომ საზოგადოებისგან განცალკევება, კარჩაკეტილობა და საიდუმლო ორგანიზაციასავით არსებობა აღარ სურს – ნებისმიერ გულშემატკივარს მიეცემა ვარჯიშის გარედან ცქერის საშუალება.

სხვათა შორის, თბილისის მერიასთან შეთანხმებით, კლუბმა ბაზის გარე პერიმეტრის გალამაზებაც ივალდებულა და სკვერის მოწყობა თითქმის დაასრულა, რომლის განათებაზეც "თბილქალაქგანათების" ხელმძღვანელი, საქართველოს ნაკრების ყოფილი მეკარე **ნიკა ტოგონიძე** ზრუნავს.

ბაზაზე უკვე დაგებულია მართლაც ჩინებული საფარი - საწყენია, რომ ასეთი მინდორი ჯერ მხოლოდ "დინამოს" ბაზაზეა. ფეხბურთელები ამბობენ, რომ უმაღლესი ხარისხის მოედანია. მალე აქ კიდევ ორ მინდორს დააგებენ, ბუნებრივ და ხელოვნურსაფრიანს და "დინამოს" განკარგულებაში იქნება სამი მოედანი - ორი ბუნებრივი და ერთი ხელოვნურსაფრიანი.

თბილისის "დინამოს" კაპიტანი **ალეკო კოშკაძე**: *"ფეხბურთელის გაზრდაში მოედნის საფარს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. უხარისხო მოედანზე ერთი შეხებით ვერ ითამაშებ და არასწორად იზრდები. მაგალითისთვის ეროვნულ სტადიონს მოვიყვან, სადაც ბოლო დროს ერთი შეხება, პასის მიცემა და სწრაფი თამაში ძნელი იყო. კარგ მოედანზე ბურთის ნაცვლად თამაშს უყურებ, შეტევასაც უფრო სწრაფად ახერხებ, ეს ყველაფერი კი საკუთარ ბაზაზე ვარჯიშიდან მოდის და ამიტომაც მიხარია, ხარისხიან მოედნებს რომ აკეთებენ ბაზაზე, ეროვნულ სტადიონზე, ზესტაფონში, ქუთაისსა და სხვა ქალაქებში. ჩემპიონატშიც უფრო სწრაფი თამაშები იქნება და ეს ყველაფერი ქართულ ფეხბურთს ძალიან წაადგება".*

როდის დასრულდება ბაზის მშენებლობა, ამაზე დილმის ბაზის დირექტორს **ვიტალი გულორდავას** გავესაუბრეთ: *"მთავარი სამუშაოები 20 სექტემბრისთვის უნდა დასრულდეს – საფრის გარდა, სრულად განახლდა საცხოვრებელი კორპუსი და სატრენაჟორო დარბაზი, პირველს ახალი ნომრები დაემატა, მეორეს — გასახდელები. მალე ტერიტორია მოწესრიგდება, საფარი კი უკვე დაგებულია. სათადარიგო და ხელოვნურსაფრიანი მოედნების მშენებლობა ამის მერე დაიწყება. მეორე ეტაპზე კი აშენდება კორტები, 25-მეტრიანი აუზი, შადრევანი, რაც ბაზას კიდევ უფრო გაალამაზებს".*

საცხოვრებელ კორპუსში ფეხბურთელები მხოლოდ შეკრების დროს დაბინავდებიან, დანარჩენ დროს კი ტრენაჟორების დარბაზის გასახდელებით ისარგებლებენ. სხვათა შორის, ესეც მნიშვნელოვანი და პრინციპული გადაწყვეტილებაა – ევროპაში გუნდები ბაზაზე არ ცხოვრობენ, ფეხბურთელები მატჩზე სახლიდან მიდიან. ჩვენთან კი თავიდანვე გამეფებული იყო მოთამაშეებზე ტოტალური კონტროლი და მათ მიმართ უნდობლობა. ადრე თუ გვიან ესეც წარსულს უნდა ჩაბარდეს და ევროპელებისთვის ჩვეულ წესზე გადავერთოთ, როცა მოთამაშე საკუთარ თავს თავად აკონტროლებს – სხვაგვარად პროფესიონალად ვერ ჩამოყალიბდება.

თბილისის "დინამოს" პრესატაშე **გიგა გვენცაძე** სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას: *"სპორტული მხარისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ბევრს ნიშნავს, მაგრამ ახალი ხელმძღვანელების დამსახურებაა, რომ გუნდში ატმოსფერო შეიცვალა. ვამჩნევთ, რომ ფეხბურთელები და თანამშრომლები საათზე აღარ იყურებიან, რაც გუნდის მშენებლობაში მნიშვნელოვანი ნიუანსია".*

*ქუთაისში საქართველო-ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა შეხვედრისას ნანახმა საშინელებამ დაგვარწმუნა, რომ "დინამოს" გეზი გამართლებულია, როდესაც ესპანელებს მიანდეს გუნდის გაწვრთნა, აკადემიის ხელმძღვანელობა და პირინეელი მოთამაშეები ჩამოიყვანეს — ესპანელები მართლაც სხვა განზომილებაში ცხოვრობენ და დინამოელები ამბობენ კიდეც, რომ ჩამოსულთაგან ბევრს სწავლობენ.*

*უცხო თვალით დანახული შენი ყოველთვის საინტერესოა, ამიტომ "დინამოს" დინამიურ შენებაზე გუნდის ესპანელ ლეგიონერ* **ჩისკოსაც** *დავეკითხე, რადგან ბევრი უნახავს და ბაზებითა და სტადიონებით ვერ გააკვირვებ. მალე უმაღლესი დონის ბაზაზე ვივარჯიშებთ, ევროპული დონის სპორტული კომპლექსი შენდებაო, თქვა და იგრძნობოდა, რომ კოჭს კი არ გვიგორებდა, ასეც ფიქრობდა.*

*გიგა გვენცაძე: "როდესაც რომან ფიფიამ თბილისის "დინამო" შეიძინა და გენერალურ დირექტორად ზურაბ პოლოლიკაშვილი დანიშნა, ყველა სიახლის მოლოდინში იყო, მაგრამ ბევრს ეგონა, რომ ბაზაზე მხოლოდ კოსმეტიკური სამუშაოები ჩატარდებოდა. სინამდვილეში, ბაზის აშენების შემდეგ პირველად დაიწყო მისი მასშტაბური მოდერნიზაცია, რაც ყველაფერს შეეხო. მიზანი კი საერთაშორისო სარბიელზე კონკურენტუნარიანი გუნდის ჩამოყალიბებაა.*

*სხვათა შორის, მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს გუნდის წევრთა საკონტრაქტო პირობებიც, რაც გუნდის მშენებლობაში სულაც არაა უმნიშვნელო ფაქტორი. რაც მთავარია, ულტრათანამედროვე ბაზა გვექნება.*

*თამამად ვიტყვი, რომ მალე დინამოელებს ფეხბურთზე ფიქრისა და საკუთარი მოვალეობების კარგად შესრულების გარდა, საფიქრალი არ ექნებათ.*

*ტექნიკური სპონსორი "ადიდასი" მალე კლუბის ფორმას ახალი დიზაინით დაამზადებს და "დინამოს" ყველა გუნდს შემოსავს, აკადემიის ასაკობრივ გუნდებსაც კი, მომავალი სეზონიდან გუნდი იმ ფორმით იასპარეზებს, რომელსაც გერმანული კომპანია მხოლოდ თბილისელებისთვის დაამზადებს".*



## დინამოს ახალი ბაზა გუნდის მომავლის ბაზაა

"დინამოს" ლოჯისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი **გიორგი გოგოლაძე**: *"გუნდის მეპატრონე რომან ფიფია და გენერალური დირექტორი ზურაბ პოლოლიკაშვილი ამხელა პროექტით რომ დაინტერესდნენ, ეს კლუბის მასშტაბებზე მეტყველებს. დიდი სამუშაოები ჩატარდება ეროვნულ სტადიონზეც, შეიცვლება ბალახის საფარი, განათების სისტემა და კიდევ ბევრი რამ. იქ ველოდებით უეფას რეკომენდაციებს და აუცილებლად გავითვალისწინებთ, რადგან გუნდი დაინტერესებულია, რომ ეროვნულმა სტადიონმა მეოთხე კატეგორია მიიღოს. საფრისა და განათების სისტემის გამოცვლის შემდეგ დაიწყება სხვა სამუშაოებიც და, წესით, 25 სექტემბრამდე უნდა დავასრულოთ. მოედანს კი ქართული კომპანია "გრინტექსი" დააგებს, რომელიც, კონტრაქტის მიხედვით, გარკვეული პერიოდი ვალდებული იქნება, საფარსაც თავად მოუაროს. სხვათა შორის, განათების სისტემა ბაზაზე ორივე ხელოვნურსაფრიანი მოედანისთვისაც დამონტაჟდება"*

ტორპედო

# ქუთაისმა თქვას, შვილი გამეზარდა და დამიბრუნდაო

ქუთაისის "ტორპედოში" მნიშვნელოვანი ცვლილებებია, თუმცა ჯერ გავეცნოთ გუნდში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებულ კომენტარს, რომელიც კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ბესო აბაშიძემ** გააკეთა.

*„ვინაიდან ბოლო დროს აქტიურად ვრცელდებოდა ხმები, თითქოს გუნდი მწვრთნელებმა დატოვეს, საჭიროდ მივიჩნიეთ ამ ინფორმაციის ოფიციალურად უარყოფა, რათა მას ფეხბურთელებზე ნეგატიური გავლენა არ მოეხდინა და მზადების პროცესი არ შეფერხებულიყო. ვხვდებით, რომ ქუთაისის „ტორპედოს" სეზონის სტარტი კრიტიკას იმსახურებს. მწვრთნელები მდგომარეობის გამოსასწორებლად დროულად გააკეთებენ სათანადო დასკვნებს.. გამცნობთ სიახლესაც: თითქმის გადაწყვეტილია, რომ დღეს კლუბს ახალი ფეხბურთელი შეემატება" – თქვა აბაშიძემ.*

"ტორპედოს" პრესსამსახურმა კი დაპირებული სიახლეების გავრცელება არ დაახანა: კლუბი და გუნდის მცველი **რევაზ ქემოკლიძე** შეთანხმდნენ მოქმედი კონტრაქტის გაწყვეტაზე და ფეხბურთელი კარიერას სხვა კლუბში გააგრძელებს.

შეპირებული „ახალი ფეხბურთელი" კი ძველი ტორპედოელი აღმოჩნდა – სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ერთი დღით ადრე გუნდთან 1-წლიანი კონტრაქტი **დავით გამეზარდაშვილმა** გააფორმა.

*"ქუთაისის „ტორპედომ" სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიმატა. ახალწვეული ყველასთვის კარგად ნაცნობი და ქუთაისელი გულშემატკივრისთვის სიხარულის არაერთხელ მომტანი 29 წლის ქუთაისელი, 196 სმ სიმაღლის ცენტრალური მცველი დავით გამეზარდაშვილია.*



*"ზაიანომ" (როგორც მას ქუთაისში შეარქვეს) კარიერა „ტორპედოში" დაიწყო, 5 წელი ლატვიის „სკონტოს" უკაპიტნა, „ზესტაფონში" სეზონი ითამაშა და ერთი წელი მოლდოვურ „დაჩიაშიც" გამოდიოდა. მან ქომაგებს უკანა ხაზში საიმედო მოქმედების გარდა, მისი ამპლუის მოთამაშისთვის უჩვეულო შედეგიანობითაც დაამახსოვრა თავი.*

*ფეხბურთელმა მშობლიური ქალაქის გუნდთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. წარმატებებს ვუსურვებთ დავითს, იმედი გვაქვს, მისი ქუთაისის „ტორპედოში" დაბრუნება ფეხბედნიერი იქნება და გუნდთან ერთად დიდ გამარჯვებებს იზეიმებს" –* იუწყება "ტორპედოს" პრესსამსახური.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი პირველი ლიგა, II ტური



29.08. ხონი. ცენტრალური. 300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| იმერეთი | 2 |
| გურია | 2 |

1:0 ჩიხლაძე (25. გოდერიძის პასით), 1:1 კვერენჩხილაძე (28. გ. მელქაძის პასით), 2:1 ჩიხლაძე ( 40. კუპრეიშვილის პასით) , 2:2 დეისაძე (65. გ. მელქაძის პასით).

| იმერეთი | გურია |
|---|---|
| 4-4-2 | 4-4-2 |
| მეძველია | კეკელიძე |
| ხაბურძანია | რაზმაძე |
| ხელაძე | ა. დვალიშვილი |
| გაჩეჩილაძე | ნათენაძე |
| რ.კაშია | რ.კეკულაძე |
| გ.გოდერიძე | გ.მელქაძე |
| ბ. ჩხეტიანი | კილაძე |
| კუხალაშვილი | ტ. კუკულაძე |
| დანელია | დეისაძე |
| სულაბერიძე | გოგიბერიძე |
| ნ. ჩიხლაძე | კვერენჩხილაძე |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| დ.ჭელიძე | გ.იმნაძე |

**იმერეთი**

46. სულაბერიძე - **ცაგარეიშვილი**
74. რ. კაშია - **ჩაჩიბაია**
79. ჩხეტიან ი- **დ.გოდერიძე**

*სათადარიგოები:* ნიქაბაძე, გენძეხაძე, კეჟაყმაძე, ქუთათელაძე.

**გურია**

40. ტ. კუკულაძე - **კობახიძე**
86. რ. კუკულაძე - **მ.კოტრიკაძე**
90. გ. მელქაძე - **შენირული**

*სათადარიგოები:* გოგუაძე, რუსეიშვილი, ფირცხალაიშვილი

გაფრთხილება: ჩიხლაძე(25), დანელია(53), შენირული(90+1)

არბიტრი: თ. ხუჭუა (სამტრედია).

# იმერულ-გურული წყვილ-წყვილი

## მსაჯმა, ეგ მე ვიციო...

„იმერეთმა" პირველი შეხვედრა გამართა ხონის განახლებულ სტადიონზე, სადაც მოწესრიგდა საფარი, განახლდა გასახდელები, საშხაპეები, მსაჯთა და დელეგატთა ოთახები.

თამაში იმერელთა უპირატესობით დაიწყო და 25-ე წუთზე მათ გოლიც გაიტანეს: **გიორგი გოდერიძემ** დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა გუნდის კაპიტანი **ნიკა ჩიხლაძე**, რომელმაც ზუსტად დაარტყა — 1:0. გურულებმა სამ წუთში გაათანაბრეს ანგარიში –**გიორგი მელქაძის** გადაცემა გოლად **გიორგი კვერენჩხილაძემ** აქცია. მას ტაიმის დასრულებამდე კიდევ მიეცა გატანის შანსი, თუმცა ველარ ივარგა. ტაიმის ბოლოსკენ ხონელებმა კვლავ იყოჩაღეს, კუთხურიდან **კუხალაშვილმა** ჩამოაწოდა, დასწრებაზე კარგად ითამაშა ჩიხლაძემ და დუბლიც შეასრულა.

მეორე ტაიმში დავით კუხალაშვილმა ორი რეალური მომენტი ვერ გამოიყენა,

ამის შემდეგ კი ლანჩხუთელების ჯერიც დადგა, მათ მარჯვედ შეუტიეს და საწადელსაც მალე მიაღწიეს — 65-ე წუთზე **იაგო დეისაძემ** საბოლოო ანგარიში — 2:2 დაფიქსირა.

თამაშისას სტუმრები ორჯერ ამაოდ ითხოვდნენ თერთმეტმეტრიანს: პირველად თავდამსხმელის წაქცევისთვის, რაც მეტად საეჭვო იყო, ხოლო მეორე შემთხვევაში ბურთი ნამდვილად მოხვდა ხონელთა მცველს ხელზე, თუმცა პენალტის დანიშვნა, მოგეხსენებათ, მსაჯის გადასაწყვეტია...

**ბესიკ გვაზავა**
ხონიდან

**ა ზონა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათუმი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. მერცხალი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 3. მესხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 4. მეშახტე | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 5. სტუ. | 2 | 0 | 2 | 0 | 5-5 | 2 |
| 6. ჩხერიმელა | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| 7. კოლხეთი (ხ) | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 8. ჭიათურა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 9. ლოკომოტივი | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| 10. სამტრედია | 2 | 0 | 0 | 2 | 14 | 0 |

**ბ ზონა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. ნ.დინამოელი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. იმერეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 4. სქური | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 5. ზოოვეტი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| 6. გურია | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 7. სამგურალი | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 8. სულორი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 9. ადელი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 10. აეტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

### ა ზონა

**დინამო (ბ)–ჭიათურა 2:0**

29.08. ბათუმი. ადელი. 700 მაყურებელი

1:0 ბერიძე (78), 2:0 ნასუაშვილი (90+3)

დინამო: შ. მამინაშვილი, მ. ფარტენაძე, ნ. ხუხია, ა. ბაჯელიძე, კ. მაკარიანი, მ. ჟვანია (38. ვ. თევდორაძე), ზ. ლობჟანიძე, ა. მუჯირი (57. ა. ბაციკაძე), თ. ბერიძე, ლ. გაბრიჭიძე, ნ, დიასამიძე (90. ნ. ნასუაშვილი).

*სათადარიგოები:* თ. კაკალაძე, მ. ჯორბენაძე, ლ. რამიშვილი, კ. თოდაძე

მწვრთნელი: ი. ნასუაშვილი

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, გ. ქირია, ლ. ცუცქირიძე, გ. ბრეგვაძე, ნ. გაფრინდაშვილი (83. ზ. ნოზაძე), დ. ქირია, ი. ტყებუჩავა, გ. გაგნიძე (25. ბ. ჭუმბურიძე), დ. სევასტოპულო, შ. ფირცხალავა, ზ. ხაჭიპერაძე

სათადარიგოები: ზ. ჯაფარიძე, ა. ბაბლიძე, ლ. მაჩალაძე, გ. მეცხოვრიშვილი, თ. ფხალაძე

მწვრთნელი: მ. კიპაროიძე

გაფრთხილება: ვ. თევდორაძე; ი. ტყებუჩავა, ბ. ჭუმბურიძე

არბიტრი: გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**მეშახტე–კოლხეთი (ხ) 2:0**

29.08. ტყიბული. „ვ. ბოჭორიშვილი". 300 მაყურებელი

1:0 დ. კუტალია (2), 2:0 თ. ხარებავა (67, პენალტით)

მეშახტე: დ. ოდიშარია, ზ. ენდელაძე, ნ. ხარაბაძე, თ. ხარებავა, მ. კოპალიანი, ა. მეტონიძე (54. გ. ხეცურიანი), ი. ღიბრაძე, ვ. ჭრელაშვილი (87. თ. ჭელიძე), გ. უგლავა, ჯ. ავალიშვილი (54. გ. გვენეტაძე), დ. კუტალია

*სათადარიგოები:* თ. ჯოხაძე, ლ. კობახიძე, ბ. ჯიშიაშვილი, ა. სახელაშვილი

*მწვრთნელი:* დ. რუხაძე

კოლხეთი: დ. ხარძეიშვილი, ლ. ჩაჩიბაია, ო. ფიფია, ლ. გოგენია, გ. გოგენია, კ. ალანია (56. ი. კუტალია), ბ. ბუკია (56. მ. ბესარაშვილი), ც. ბუკია, მ. ჭკადუა, პ. ბაკარანძე, ლ. მეფიშვილი (70. გ. ლომაია)

*სათადარიგოები:* ზ. გელაშვილი, გ. ქირია, დ. ნარსია, ვ. ფირცხელავა

*მწვრთნელი:* კ. ხურცილავა

გაფრთხილება: ი. ღიბრაძე, ზ. ენდელაძე, ვ. ჭრელაშვილი; კ. ალანია, ლ. გოგენია.

არბიტრი: ო. ხეცაძე (თბილისი)

**ჩხერიმელა–სტუ 3:3**

29.08. ხარაგაული. ცენტრალური. 200 მაყურებელი

0:1 ა. ლალაძე (11. პენალტით), 1:1 დ. კოსტავა (30, პენალტით), 2:1 გ. ბოხუა (63), 3:1 დ. კოსტავა (68), 3:2, 3:3 მ. კოსტავა (71, 80)

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე (18. მ. ლომსაძე), ლ. მახარაძე (46. გ. ბოხუა), დ. ბერუაშვილი, გ. ჭაავა, ი. ჭანკვეტაძე, ო. გიორგობიანი, ი. გვეტაძე, ა. დოლონაძე, ლ. კირკიტაძე (60. გ. ივანაშვილი), დ. კოსტავა, გ. ზაქარაშვილი

*სათადარიგოები:* ა. ქაშაკაშვილი, ჯ. არევაძე, ი. გვარჯალაძე, ბ. ახალაია

*მწვრთნელი:* მ. ხუნდაძე

სტუ: დ. მეფარიძე, ლ. თვალავაძე, გ. კვახაძე, ნ. მაღრაძე, ზ. ჭავჭავაძე, ლ. საბაძე, ა. ლალაძე, გ. ბიბილაშვილი (65. ლ. ცხოიძე), ნ. მახვილაძე (46. მ. კოსტავა), გ. ჯიშკარიანი (90. ლ. ციკოლია), ლ. ჯიქიძე

*სათადარიგოები:* ა. აბულაძე, გ. გოგატიშვილი, ჯ. კოლუა, ნ. ბიწკინაშვილი

მწვრთნელი: გ. ყორყოლიანი

გაფრთხილება: ლ. მახარაძე, გ. ბოხუა, გ. ჭაავა; ლ. საბაძე, დ. მეფარიძე, გ. კვახაძე, ლ. ცხოიძე

არბიტრი: კ. ჭაჭუა (ქუთაისი)

**მერცხალი–სამტრედია 2:1**

**მესხეთი-ლოკომოტივი გადაიდო**

### ბ ზონა

**სქური–აეტი 1:0**

29.08. წალენჯიხა. „ს. კვარაცხელია". 200 მაყურებელი

1:0 ლ. გაბუნია (52)

სქური: ნ. ჯოლოგუა, ჯ. ყურუა, შ. გაბუნია, ი. ფაცაცია, ზ. მოლაშხია (80. ზ. გახარია), ბ. სვანიძე (46. ა. სოხინი), ლ. გაბუნია, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია (38. გ. კვირკვია), გ. ჭკუასელი, ა. მიქენაია

*სათადარიგოები:* ტ. ხარჩილავა, ზ. ლარიბაშვილი, გ. წურწუმია, ნ. არახამია

მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა

აეტი: ლ. ეზიეშვილი, დ. ლობჟანიძე, გ. ნიჟარაძე, ლ. როსტობაია (79. თ. მეტრეველი), გ. მაგალიშვილი. ლ. ჯობავა (57. გ. მალაზონია), ლ. ბიწაძე, ნ. მამრაში, გ. ნარსია, გ. ყულიჯანაშვილი, ლ. არაყიშვილი (28. გ. ვასაძე)

სათადარიგო: ლ. ჩიქოვანი

მწვრთნელი: ო. სოხაძე

გაფრთხილება: გ. კვირკვია, ლ. ბოჯგუა; ლ. ბიწაძე, ლ. როსტობაია, თ. მეტრეველი

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**ზოოვეტი–ჩიხურა 0:3**

29.08. რუსთავი. ფოლადი. 200 მაყურებელი

0:1 გ. სილაგავა (51), 0:2, 0:3 ნ. კვასხვაძე (82, 87)

ზოოვეტი: მ. ძიძიგური, თ. ჯიმშელეიშვილი, ი. ალასანია, შ. გალეგაშვილი, შ. ფარულავა (59. ი. ჯოჯიშვილი), უ. მამულაშვილი (59. გ. ხუციშვილი), თ. მოსიაშვილი, ზ. ტიელიძე, ბ. ბარბაქაძე (46. ი. სვანიძე), გ. ჯოხაძე

*სათადარიგოები:* მ. ბაბაიანი, ს. ლორთქიფანიძე, თ. კოჩაძე, ი. მღებრიშვილი

მწვრთნელი: ჯ. გუგუშვილი

ჩიხურა: რ. თევდორაძე, ლ. ბაკურაძე, ლ. ჭელიძე, ჯ. ბერიანიძე, ლ. ჩიკვაიძე (46. ე. ზივზივაძე), ლ. ნოზაძე, ი. ზაბახიძე (87. გ. ქიმაძე), ნ. კვასხვაძე, გ. სილაგავა, ი. ლილუაშვილი (37. ლ. ვაშაკიძე), თ. მუმლაძე

*სათადარიგოები:* ზ. მწყერაშვილი, გ. ცარციძე

*მწვრთნელი:* ს. ფრუიძე

გაფრთხილება: ი. ალასანია, შ. გალეგაშვილი, თ. მოსიაშვილი; ლ. ბაკურაძე, ლ. ნოზაძე

არბიტრი: ი. ურუშაძე (ლანჩხუთი)

**სულორი–სამგურალი 0:0**

29.08. ვანი. „გ. ნიკოლეიშვილი". 1000 მაყურებელი

სულორი: დ. ხურციძე, ვ. ნუცუბიძე, ა. ქებულაძე, ლ. გაბუნია, პ. ბელთაძე, ბ. ბელქანია, თ. ძაგნიძე, ნ. გიორგაძე (46. ბ. სულაბერიძე), თ. მაღლაკელიძე (46. კ. კვიმსაძე), მ. დვალიშვილი, გ. დიაკონიძე (71. ნ. ბრეგვაძე).

*სათადარიგოები:* ი. დვალიშვილი, გ. ნიკოლეიშვილი, ბ. დვალიშვილი, გ. ბრეგვაძე

მწვრთნელი: გ. ბრეგვაძე

სამგურალი: დ. მემარნიშვილი, ბ. ხაჭიპერაძე, კ. ძაგანია, ბ. ბიბილაშვილი, ნ. უგრეხელიძე, გ. გედენიძე, გ. გორგოძე, ი. შალიკაშვილი (57. რ. კვერნაძე), ლ. ცხადაძე (51. ლ, ნავერიანი), ზ. კუხალაშვილი (90. გ. ბუხაიძე), ზ. ქუთათელაძე

*სათადარიგოები:* ლ. გორდეზიანი, ხ. უგრეხელიძე, თ. შეყრილაძე, ზ. სალინაძე

*მწვრთნელი:* გ. გოგიაშვილი

გაფრთხილება: თ. ძაგნიძე; კ. ძაგანია, დ. მემარნიშვილი

გაძევება: თ. ძაგნიძე

არბიტრი: მამუკა ურუშაძე (თბილისი)

**ნ. დინამო–ადელი 3:1**

29.08. თბილისი. შატილი. 100 მაყურებელი

1:0 ზ. ძაგანია (45), 2:0 ი. ჩახვაშვილი (49), 2:1 ა. ლორია (61), 3:1 მ. ხოკერაშვილი (82)

ნ. დინამო: ა. ბილიხოძე, გ. ლომიძე, ზ. ძაგანია, გ. ქვარაია, ა. ჩუენსე, გ. თანიაშვილი, გ. ოქრუაშვილი (57. ლ. ელიზბარაშვილი), ვ. ჭანტურიშვილი. ი. ქავთარაძე (80. ბეროშვილი), ლ. ლაბარტყავა, ი. ჩახვაშვილი (66. მ. ხოკერაშვილი)

*სათადარიგოები:* ნონოსი, ზ. კვარაცხელია, ზ. ქარდავა, ბ. შუბითიძე

მწვრთნელი: ი. შენგელია

ადელი: თ. ცინცაბაძე, ლ. კვანტალიანი (46. ს. მამისეიშვილი), გ. ხაჩიძე, ს. კახიძე, ნ. წულუკიძე, ვ. ხიდაშელი, მ. ფუტკარაძე (87. ნ. დავითაძე), ა. ლორია, ა. აბუსერიძე, გ. სირაბიძე (46. გ. დევაძე)

*სათადარიგო:* გ. რომანაძე

*მწვრთნელი:* გ. ჯორბენაძე

გაფრთხილება: ი. ქავთარაძე; ვ. ხიდაშელი

არბიტრი: ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**მომდევნო ტური, 4 სექტემბერი**

სტუ-ბათუმი
სამტრედია-ჩხერიმელა
ლოკომოტივი-მერცხალ
კოლხეთი (ხ)-მესხეთი
ჭიათურა-მეშახტე
ჩიხურა-სქური
სამგურალი-ზოოვეტი
ადელი-სულორი
გურია-ნ. დინამო

## დებიუტანტი



# ნიკოლოზ ქუთათელაძე

**დაიბადა** 2001 წლის 19 მარტს თბილისში.

**ვარჯიშობს** საფრანგეთის "ლილის" საფეხბურთო აკადემიაში;

5 წლიდან ვარჯიშობდა თბილისი "ლიდერში", 8 წლიდან - პრაღის "სპარტაში."

**პირველი მწვრთნელი** – ირაკლი გორგოშიძე.

**ამჟამინდელი მწვრთნელები** - მიშელ რობილარდი, მიშელ ფაურე.

**პოზიცია** – თავდამსხმელი.

**წარმატებები:** 2010-2011 წლების სეზონში ჩეხეთის ჩემპიონ "სპარტაში" გატანილი 29 ბურთით ჩეხეთის ბავშვთა ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა, 12 მატჩში დაასახელეს საუკეთესო მოთამაშედ.

ჩეხეთში გატარებულ ორ სეზონში (ოფიციალურ და არაოფიციალურ შეხვედრებში) გაიტანა 284 გოლი.

**გატაცება:** ხატვა, სიმღერა, მუსიკა, კინო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული

# რატომ გაახსენდა ლივერპულს ბელამი?




კრეიგ ბელამი

ასე და ამგვარად, **კრეიგ ბელამი** ისევ „წითელია". ოთხი წელიწადი გავიდა მას მერე, რაც 32 წლის უელსელი ვარსკვლავი მერსისაიდსა და **რაფა ბენიტესს** გაექცა, მაგრამ ცხოვრებამ ისევ „ენფილდ როუდზე" მიიყვანა.

საინტერესო და დაძაბული ოთხშაბათი ჰქონდა ცნობილ მოჩხუბარს. იჯდა და ელოდა როგორ გადაწყდებოდა მისი ბედი. ვინ აჯობებდა, „ლივერპულის" თავკაცი **კენი დალგლიში**, „ტოტენჰემის" შეფი **ჰარი რედნაპი** თუ რომელიმე სხვა ინგლისური გუნდი, რომელთაც ამ ორ გიგანტთან შედარებით ბელამის ყიდვის შანსი განუზომლად მცირე ჰქონდათ. რასაკვირველია, მოკრძალებული სიტყვა მის მშობლიურ „კარდიფ სიტისაც" ეთქმოდა და იყო კიდევ ერთი რუსული კლუბი, როგორც ამბობენ, მოსკოვური, რომელიც უელსელს, ალბათ რუსულ ანუ ძალიან დიდ გასამრჯელოს და ზამთარს ჰპირდებოდა.

და რა მდგომარეობაში იყო თავად ფეხბურთელი? ის კონტრაქტით „მანჩესტერ სიტისთან" გახლდათ შეკრული, იქ კი მწვრთნელად **რობერტო მანჩინი** მუშაობს, კაცი, რომელსაც უელსელი ხშირად ეჩხუბებოდა და რომელიც მას მოედანს არ მიაკარებდა. მეორე მხრივ, ბელამის ისტლენდზე, ხელშეკრულებით კიდევ ერთი წელიწადი უნდა გაეტარებინა და გავიდოდა მოედანზე თუ არა, 4,5 მილიონი ფუნტი უნდა მიეღო — აი, ასეთი ხელფასი ჰქონდა. დაგვეთანხმებით, ამ ფულის ალებაზე უარის თქმა და სხვაგან გადასვლა იოლი საქმე არ არის.

მაგრამ ბელამი გადავიდა. ოღონდ, არ იფიქროთ, რომ „ლივერპულში" მას დიდ ხელფასს აღარ გადაუხდიან. კლუბებს შორის ისეთი მოლაპარაკება შედგა, რომ მერსისაიდელებმა ისტლენდელებს უელსელი ფაქტობრივად კაპიკის გადაუხდელად „გამოსტყუეს" (თუ ისტლენდელებმა შეაჩეჩეს „შერეკილი") ასე რომ, სატრანსფერო თანხა დაიზოგა და ხელფასის გადახდის საშუალება გამოჩნდა.

რა უნდა ბელამის „ლივერპულისგან"? უპირველეს ყოვლისა ძირითად შემადგენლობაში თამაში, გარდა ამისა კი, შინაურული გარემო, „თავის კლუბში" ყოფნა. ამას დალგლიში და კომპანია თითქოს ჰპირდება, ოღონდ მისგან სანაცვლოდ, თავდადებას, **დირკ კუიტით** დაუზარელ სირბილს და ორივე ფრთაზე აქტიურობას ითხოვს. ბელამისაც, აბა სხვა რა შეუძლია. და კიდევ, უელსელს იმედი აქვს, რომ „ლივერპულში" მწვრთნელთან ექნება კარგი ურთიერთობა, ოღონდ ეს მასზეც არის დამოკიდებული. მეტისმეტად ფიცხი და შერეკილია.

უელსელმა თქვა: *„ჰკითხეთ „ლივერპულის" ნებისმიერ გულშემატკივარს, ის გეტყვით, რომ „წითლების" ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელი კენი დალგლიში იყო. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. ის გახლდათ პირველი მოთამაშე-მწვრთნელი, რომელმაც გუნდს დუბლი მოაგებინა".*

ვიღაცამ ეს სიტყვები, შესაძლოა, ახალ გუნდში მისვლის წინა დიპლომატიად ჩამოართვას, მაგრამ მაშინ გავიხსენოთ ის, რაც მან კარგა ხნის წინ თქვა, როდესაც „ლივერპული" საერთოდ არაფერ შუაში იყო და მანჩინიზე გაბრაზებული ბელამი „კარდიფში" წავიდა. მან თქვა:

*„ბავშვობაში „ლივერპულს" ვქომაგობდი. ძალიან მიხარია იქ დალგლიში რომ დაბრუნდა. ძალიან მიყვარს, როდესაც გასახდელში ნაღდი ბრიტანული, კაცური ატმოსფეროა. ასეთს „ბუცის სროლის გასახდელს" ეძახიან. თუ კაცი გუნდს ქომაგობ, მისი გულისცემა გესმის და იცი როდის აღწევს ის წარმატებას. შენკლის დროსაც ასე იყო, „ბუცების გასახდელი" ჰქონდათ და გუნდმა რამდენი ჩემპიონთა თასი მოიგო".*

ამბობენ, რომ „ლივერპულში" თამაშის დროს ბელამიმ გუნდის მაშინდელი მწვრთნელი, ბენიტესი ვერ დაარწმუნა, რომ მაღალი დონის ფეხბურთელია. მერე, ამას „გოლფის ინციდენტი" დაემატა, როდესაც პორტუგალიაში შეკრებაზე ყოფნის დროს უელსელი გოლფის ხელჯოხით **იონ არნე რიისეს** ეჩხუბა. კლუბში ამას ვერავინ დაივიწყებდა, თუმცა, არც ბელამის მიერ „კამპ ნოუზე" გატანილი გოლის დავიწყებაა ადვილი — „ლივერპულმა" მაშინ გათამაშებიდან „ბარსელონა" გამოაგდო. მაშინდელ „ბარსაში" თამაშობდნენ **ჩავი, ინიესტა, რონალდინიო**...

მაშინ „ლივერპული" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა და „მილანს" შეხვდა. უელსელი სათადარიგოთა სკამზე იჯდა. მარჯვენა ფრთაზე „წითლებს" **ბუდევინ ზენდენი** ჰყავდათ, მარცხენაზე კი **ჯერმაინ პენანტი**. ჰოდა, ბელამიც გაბრაზდა და „ვესტ ჰემში" გადავიდა.

ისე, ინგლისური პრესა წერს, რომ კევინ დალგლიში მაჩხუბარსა და ბრაზიანს ყოველ ტურში სულაც არ ათამაშებს. ასე რომ, ძალიანაც ნუ განეწყობა...

მწვრთნელი

# შვიდი თამაშის მერე



ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, **სტივ მაკლარენი** „ნოტინგემ ფორესტიდან" წასვლას აპირებს, არადა, ამ გუნდის სათავეში მან მხოლოდ შვიდი თამაში ჩაატარა. დღეისათვის, ხუთი ტურის შემდეგ, ნოტინგემის გუნდი ჩემპიონშიპში მე-18 ადგილზეა.

მაკლარენი კლუბის ხელმძღვანელობამ გააბრაზა. გასული ზაფხულის განმავლობაში „ფორესტს" არანაირი მხარდაჭერა არ ჰქონია — გუნდიდან 9 ფეხბურთელი წავიდა, ყიდვით კი მხოლოდ 5 იყიდეს. ინგლისური „მიდლსბროს", ჰოლანდიური „ტვენტეს" და გერმანული „ვოლფსბურგის" ყოფილმა თავკაცმა ნოტინგემის კლუბის დირექტორატთან შეხვედრა მოითხოვა. კლუბის მავანმა თანამშრომელმა ტაბლოიდებს უთხრა:

*„სტივს გუნდის მიტოვება, რასაკვირველია, არ უნდა, მაგრამ იმდენად გაბრაზებულია, რომ ამბობს, შესაძლოა სხვა გზა არც მქონდესო".*

„ვესტ ჰემთან", შინ, 4:1 დამარცხების შემდეგ მაკლარენი ასე ამბობდა: *„სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე რამდენიმე დღე რჩება და ამ დღეებში ჩვენ, ყველანი მკაფიოდ დავინახავთ აქვს თუ არა „ნოტინგემ ფორესტს" ამბიცია".*

გაზეთებისთვის ცნობილი გახდა, რომ მაკლარენს უპირველეს ყოვლისა დაცვის გაძლიერება უნდოდა და დირექტორატს სასურველი მცველების სიაც კი გადასცა, მაგრამ აი, გავიდა სატრანსფერო პერიოდი და კლუბის ხელმძღვანელებმა ვინმე უყიდეს კი არა, იჯარითაც ვერავინ დაიმატეს. შეგახსენებთ, რომ მაკლარენის ხელმძღვანელობით ინგლისის ნაკრები 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდა.

ყოფილი გუნდის შესახებ

# ნახავთ, ნიუკასლს რას მოუვაო

„ქუინზ პარკ რეინჯერსის" ახალმა ფეხბურთელმა, 29 წლის **ჯოი ბარტონმა** თავის ყოფილ გუნდზე, „ნიუკასლ იუნაიტედზე" თქვა, კარგი დღე არ ელისო. ბარტონი „კაჭკაჭთა" მეპატრონეებზე, **მაიკ ეშლისა** და **დერეკ ლემბიასზე** გახლავთ გაბრაზებული. ის „სენტ ჯეიმს პარკიდან" ლონდონში გასულ კვირას გადაბარგდა და დარწმუნებულია, რომ მომდევნო ერთი წლის განმავლობაში კიდევ ბევრი მოთამაშე მიბაძავს — „ნიუკასლს" გაექცევიან და გაექცევიან.

ბარტონმა „ტვიტერზე" დაწერა: *„საკმარისია ხეირიანი წინადადება გამოჩნდეს, რომ „ნიუკასლი" უპირველეს ყოვლისა ჩეიკ ტიოტესა და ტიმ კრულს გაყიდის. გარანტიას გაძლევთ, რომ გაისად გუნდიდან ხონას გუტიერესი და ფაბრიციო კოლოჩინი წავლენ. ჯორდების ნაცვლად ვწუხვარ (ჯორდებს ნიუკასლის რეგიონის მცხოვრებლებს ეძახიან), ეშლი და ლემბიასი ასეთ კლუბს, გულშემატკივარს და მემკვიდრეობას არ იმსახურებდა. დარწმუნებული ვარ, ისინი' ფიქრობენ, რომ ხალხი შტერია და მათ ყველაფერი გაუვათ. ხომ ნახეთ, როგორ დახარჯეს ეშლიმ და ლემბიასმა ენდი ქეროლის გაყიდვით მიღებული ფული? 59 მილიონ ფუნტზეა ლაპარაკი. ამბიციაც ამას ჰქვია!"*

შეგახსენებთ, რომ ბარტონსა და ეშლის შორის კონფლიქტი ამ ზაფხულში აგორდა, როდესაც ფეხბურთელმა კლუბის ხელმძღვანელები „ტვიტერში" გააკრიტიკა, მათ კი ორი კვირის ხელფასი დაუქვითეს და ეგრეთ წოდებულ თავისუფალ ტრანსფერზე დააყენეს.

შეგახსენებთ, აგრეთვე, რომ პრემიერლიგის ახალი სეზონი ბარტონმა „ნიუკასლის" შემადგენლობაში დაიწყო. მეორე ტურის შეხვედრაში, „კაჭკაჭები" შინ „სანდერლენდთან" დამარცხდნენ, 0:1. ამ შეხვედრაში ფიცხმა ბარტონმა ყვითელი ბარათი მიიღო, მწვრთნელი **ალან პერდიუ** კი მსაჯ **ჰოვარდ ვებს** ეხვეწა ფეხბურთელი არ დაესაჯა, რისთვისაც ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა დასაჯა.

არსენალი

# ბენდტნერი: არსენალში ფეხს აღარ შევდგამ




23 წლის დანიელ თავდამსხმელ **ნიკლას ბენდტნერს** ერთიხანობა ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ახალგაზრდა ფორვარდად მიიჩნევდნენ და ამბობდნენ, რომ მისი სახით საფეხბურთო ზეცაზე ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა, მაგრამ... ბენდტნერის საქმე ისე წავიდა, რომ ბოლო ორი სეზონია „არსენალის" თავკაც **არსენ ვენგერს** ძირითად შემადგენლობაში ხეირიანად აღარც უთამაშებია და 31 აგვისტოს ანუ საზაფხულო სატრანსფერო ბაზრის ბოლო დღეს, „სანდერლენდში" გაყიდა კიდეც. ფეხბურთელი ამას ორი წლის წინ მომხდარი ავტოავარიით ხსნის. თუ გახსოვთ, მაშინ, ბენდტნერის „ასტონ მარტინი", ტრასაზე, სავალი ნაწილიდან გადავიდა და გზისპირა რელიეფში დაიმტვრა. მაშინ წერდნენ, რომ მანქანა გადასაგდები იყო, ფეხბურთელს კი არაფერი დამართნია, მაგრამ როგორც ჩანს მთლად ასეც არ იყო საქმე. ყოველ შემთხვევაში, თავად დანიელი საკუთარ დაღმასვლას იმ ავარიას აბრალებს. გარდა ამისა, ის „არსენალზე" გაბრაზებულიც არის.

*„ცხოვრებაში არ დავბრუნდები „არსენალში". რა გინდა შანსი გამომიჩნდეს, ამ გუნდის მაისურას არ ჩავიცვამ. ავარიის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების ერთი შანსიც კი არ მოუციათ ჩემთვის. დამივიწყეს და დამივიწყეს. იმ ამბიდან წელიწადნახევარი გავიდა. წარმოგიდგენიათ, ამდენ ხანში ერთხელ რომ არ გენდობიან? ერთხელ რომ არ შეგიწყობენ ხელს? ახლა „სანდერლენდში" გადავედი და ძალიან მონადინებული ვარ. მინდა „შავი კატების" გამარჯვებებში მონაწილეობა მივიღო, შემდეგ ზაფხულს კი შევხედავ, როგორ განვითარდება მოვლენები. ალბათ, ახალ გუნდს მოვძებნი, მაგრამ „არსენალში" არასდროს რომ არ დავბრუნდები, ეს მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი".*

მანჩესტერ სიტი

# ჰარგრივზი ბაიერნს ემუქრება




**ოუენ ჰარგრივზი** იმედოვნებს, რომ ფეხბურთს თავის ყოფილ, უფრო სწორად კი ბავშვობის ანუ აღმზრდელ გუნდთან, მიუნხენის „ბაიერნთან" შეხვედრაში დაუბრუნდება. „მანჩესტერ სიტის" ახალი მოთამაშე ცდილობს საბოლოოდ დაძლიოს ტრავმა, რომელმაც ოთხი წელიწადი გამოატოვებინა. 30 წლის ჰარგრივზმა ისტლენდელებთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, უეფაში გამართულმა კენჭისყრამ კი „სიტი" და „ბაიერნი" ერთ ჯგუფში მოახვედრა. შეგახსენებთ, რომ ჰარგრივზი იმ „ბაიერნის" წევრი იყო, რომელმაც 2001 წელს ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა.

*„მიუნხენელებს დიადი გუნდი ჰყავთ, მე იქ დაუვიწყარი წლები გავატარე და ჩემპიონთა ლიგაშიც გავიმარჯვე. საუკეთესოსთან შეჯიბრება და ძალების მოსინჯვა კი სწორედ ის არის, რასაც ყოველთვის ვნატრულობ. „მანჩესტერ სიტისა" და „ბაიერნის" შეხვედრა შესანიშნავი და რთული თამაში იქნება".*

შეხვედრა, რომელზეც ოუენ ჰარგრივზი ლაპარაკობს, 27 სექტემბერს გაიმართება, თუმცა, რამდენად მზად იქნება ფეხბურთელი ამ დღისთვის? შეძლებს ის ძირითად შემადგენლობაში თამაშს? თავად ასე ამბობს:

*„ძალიან მნიშვნელოვანია ფეხბურთელმა თამაშების რიტმი იგრძნოს. ერთი ხანია ამ მიმართულებით ბევრს ვმუშაობ".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

პარლამენტის ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● ქუინზ პარკი

# ბიძაშვილის ნაკვალევი



ანტონ ფერდინანდი

26 წლის მცველი, **ანტონ ფერდინანდი** ოცნებობს გახდეს „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ ლეგენდა. სწორედ აქ, ამ კლუბში თამაშობდა თავის დროზე მისი ბიძაშვილი **ლეს ფერდინანდი**, რომელმაც 1987-1995 წლებში „რეინჯერსის“ მაისურით 163 შეხვედრა ჩაატარა და 80 გოლი გაიტანა. ანტონ ფერდინანდმა კარიერა „ვესტ ჰემში“ დაიწყო, შემდეგ კი „სანდერლენდში“ გამოდიოდა — სწორედ „სანდერლენდიდან“ გადავიდა ფერდინანდი დასავლეთ ლონდონის კლუბში. „რეინჯერსმა“ მცველში 4 მილიონი ფუნტი გადაიხადა.

ზემოთ ლეს ფერდინანდი ვახსენეთ. მას „ლოფტას როუდზე“ „სერ ლესს“ ეძახდნენ. ანტონს სერობამდე ჯერ ბევრი უკლია, მაგრამ იმედოვნებს, რომ სამწლიანი კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ „რეიჯერსის“ ფანებისთვის ისიც საგანგებო ფეხბურთელი იქნება.

„ქუინზ პარკის“ ახალმა ფერდინანდმა თქვა: *„ლესთან დიდი ხანია არ მილაპარაკია, მაგრამ, ეჭვი არ მეპარება, რომ უახლოეს დღეებში ჩვენ ერთმანეთს დავუკავშირდებით. პატარა ბიჭი რომ ვიყავი, ამ სტადიონზე ბიძაშვილის თამაშის სანახავად ხშირად დავდიოდი. ვიცი, რომ ის აქ გმირად მიაჩნდათ. მინდა წლების შემდეგ „ლოფტას როუდზე“ მეც გმირად მივაჩნდე. ვფიქრობ, ამის შანსი მაქვს, რადგან ამ კლუბის სულს ძალიან კარგად ვიცნობ“.*

ანტონ ფერდინანდი გასულ სეზონში „შავი კატებისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელი იყო და ისე ჩანდა, რომ ახალ სეზონშიც იგივე გაგრძელდებოდა, მაგრამ როგორც თავად ფეხბურთელი ამბობს, „ქუინზ პარკის“ თავკაცმა **ნილ უორნოკმა** მას სხვა პერსპექტივა დაანახა.

*„ისე ჩანს, რომ აქ დიდი გამოცოცხლება იწყება. მწვრთნელმა დამარწმუნა, რომ ჩემთვის კარიერის „რეინჯერსში“ გაგრძელება სწორი ნაბიჯი იქნებოდა“.*

„რეინჯერსმა“ კიდევ ერთი მოთამაშე დაიმატა. ეს გახლავთ „საუთჰემპტონიდან“ იანვრამდე წამოყვანილი **ჯეისონ პანჩიონი**. უორნოკმა თქვა:

*„ჯეისონი დიდებული შენაძენია. მას გუნდში სისწრაფე და თავდადება მოაქვს. პანჩიონს ისე უნდოდა „ქუინზ პარკში“ გადმოსვლა, რომ მგონი მზად იყო ფული თავად გადაეხადა“.*

● ბლექბერნი

# სამბა, დენი და სხვა

„ბლექბერნის“ თავკაცმა, **სტივ კინმა** 27 წლის საფრანგეთში დაბადებულ-გაზრდილ კონგოელ მცველ **კრის სამბას** უთხრა, რომ ზაფხული დამთავრდა, მისი ყიდვა არავინ მოინდომა და ახლა, ერთადერთი, რაც მას დარჩენია, ყურადღების ისევ რივერსაიდის გუნდზე მოკრებაა.

*„სატრანსფერო ფანჯრის დახურვა მის კონცენტრაციაზე კარგად იმოქმედებს. ყოველ ზაფხულს, კარგი ფეხბურთელების გარშემო დიდი მითქმა-მოთქმა ტყდება ხოლმე. არც ის არის დასამალი, რომ კრისს რეალური მყიდველებიც ჰყავდა, მაგრამ ახლა ვაჭრობისთვის განკუთვნილი დრო გავიდა“.*

კინმა აგრეთვე დაადასტურა, რომ „ბლექბერნმა კონტრაქტი გაუწყვიტა ცნობილ სენეგალელ თავდამსხმელს, 30 წლის **ელ ჰაჯი დიუფს**.

*„დიუფი კლუბიდან გავუშვით“* — თქვა კინმა, რომელსაც სენეგალელმა ცოტა ხნის წინ პრესის ფურცლებიდან სერიოზულად შეუტია. დიუფი ამტკიცებდა, რომ „ბლექბერნში“ ის ყველაზე მაღალი დონის ფეხბურთელია, რომელსაც მწვრთნელი პიროვნული სიძულვილის გამო არ ათამაშებს. ფორვარდის თქმით, სანამ კინი მწვრთნელის ასისტენტად მუშაობდა, მასთან მეგობრობდა, მაგრამ საკმარისი იყო მთავარი მწვრთნელი გამხდარიყო და ფეხბურთელისადმი მისი დამოკიდებულებაც შეიცვალა.

ახლა კი „ბლექბერნის“ ახალწვეულებს გადავხედოთ. 24 წლის **სკოტ დანი** კმაყოფილია, რომ ბოლოს და ბოლოს მისი ტრანსფერი განხორციელდა. მცველი, რომელშიც კინმა „ბირმინგემ სიტის“ 6 მილიონი ფუნტი გადაუხადა, ამბობს:

*„სანამ „ბირმინგემში“ ვთამაშობდი, ჩემზე ბევრს წერდნენ. სულ ჭორი დადიოდა, რომ სადღაც გადავდიოდი და დღეს, როდესაც ბოლოს და ბოლოს გადავედი ახალ გუნდში, მიხარია, რომ ეს ალიაქოთი დასრულდება. ჩემი შეძენა „ბლექბერნს“ რომ უნდოდა, სულ რამდენიმე დღის წინ გავიგე და შემდეგ ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა.*

*დღეს ვარჯიშზე მომეჩქარებოდა. მოგეხსენებათ, შარშან, „ბირმინგემში“ დავშავდი. არც „ქარლინგის თასის“ ფინალში მითამაშია და ნახევარი სეზონიც გამიცდა. საბოლოოდ ზაფხულში გამოვჯანმრთელდი და, მართალია, სეზონისწინა მოსამზადებელ პერიოდში ინტენსიურად ვივარჯიშე, თუკი კაცს კარგა ხანია შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიგიღია, პირდაპირ შემადგენლობაში მოხვედრა ძნელია. ესეც არ იყოს, „ბირმინგემ სიტი“ პრემიერლიგიდან გავარდა და მე ვგრძნობდი, რომ ჩემპიონშიპში თამაში ჩემთვის უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. გარემოს შეცვლა იყო საჭირო და სწორედ ამ დროს გამოჩნდა „ბლექბერნი“, რაც ძალიან მახარებს“.*



„ბლექბერნმა“ „ევერტონის“ მიერ „ლესტერ სიტიში“ გაქირავებული, ნიგერიელი **იაკუბუც** იყიდა. იაკუბუ 28 წლის თავდამსხმელია. კარიერის მანძილზე, ინგლისური გუნდებიდან მას უთამაშია „მიდლსბროსა“ და „პორტსმუთში“.

● კონკურენცია

# უშიშარი ჯურუ

„არსენალის“ მცველი, დაბადებით კოტ დ'ივუარელი, ნაკრების მიხედვით კი შვეიცარიელი, 24 წლის **იონ ჯურუ** ამბობს, რომ ახალშეძენილი გერმანელი ვარსკვლავის, **პერ მერტეზაკერის** კონკურენციისა არ ეშინია. ჯურუმ უკვე დაივიწყა ის შოკი, რომელიც კვირას, „ოლდ ტრეფორდზე“, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრაში გადახდა — მოგეხსენებათ, „იუნაიტედმა „მეთოფეებს“ 8:2 მოუგო. მცველი ამბობს:

*„გარწმუნებთ, იმ შეხვედრის შემდეგ შესანიშნავად მეძინა. არანაირი მორალური ტრავმა არ მიმიღია. ყველაფერი რიგზეა და მზად ვარ ბრძოლა განვარგძო. რაც იმ დღეს მოხდა, თითოეული ჩვენგანის ბრალია. ჩვენ ძალიან ცუდად ვითამაშეთ, „მანჩესტერ იუნაიტედი“ კი მთელი თავით გვჯობდა.*

*მერტეზაკერის ჩამოსვლა ჩემთვის, ალბათ, დიდ კონკურენციას ნიშნავს, მაგრამ კონკურენცია ჩემთვის უცხო არ არის. ყველაფერს გავუძლებ“.*



**ილია ბაბუნაშვილი**

● ბუნდესლიგა. ტრანსფერების მიმოხილვა



ფელიქს მაგათმა სიმონ კიაერი რომში გააგდო

# პანიკური შოპინგ-ტური

## ფანატიკოსი მაგათი და უბედური ჰამბურგი რომ არა, სატრანსფერო ფანჯარა გინდ ყოფილა - გინდ არა...

„ჰამბურგმა“ 4 მილიონი ევრო გადაიხადა ფეხბურთელში, რომელსაც ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს, „ვოლფსბურგის“ თავკაცი **ფელიქს მაგათი** კი, როგორც სჩვევია, ბოლო დღეებში სატრანსფერო ქაოსში იყო – ყიდულობდა და ყიდდა, თვითონაც არ იცოდა, ვის და რამდენად. ერთი სიტყვით, გერმანული კლუბების უმეტესობას სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეებში პანიკა უფრო ეტყობოდათ, ვიდრე კონცეფციური თავდაჯერება.

31 აგვისტოს ციფრებში თვით ყველაზე დალაგებული **ფელიქს მაგათიც** აუცილებლად აირეოდა. ოთხშაბათამდე, მის განკარგულებაში 30 ფეხბურთელი იყო, ოთხშაბათს კი, „დესპოტმა ფელიქსმა“ კიდევ სამი ახალი ფეხბურთელი გადაიბირა – ერთი მცველი, ერთი გამთამაშებელი და ერთი თავდამსხმელი. თვითონ ის ფაქტი, რომ მაგათმა სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეებში გუნდის კიდევ ერთხელ (უფრო სწორად, სამჯერ) გაძლიერება გადაწყვიტა, გასაკვირი არ არის, რადგან „ვოლფსბურგმა“ ახალ სეზონში საშინელი სტარტი აიღო (3 ქულა, მე-15 ადგილი და ეს ყველაფერი 4 ტურის შემდეგ). ამ შემთხვევაში გაოცებას იწვევს და ეჭვს ბადებს იმ ფეხბურთელების სახელები და გვარები, რომლებიც მაგათმა „ვოლფსბურგში“ მირეკა.

აიღეთ **კრისი**: ცენტრალური მცველი, რომელსაც კარიერის უმეტესი ნაწილი ლაზარეთში აქვს გატარებული და რომელიც გასულ სეზონში ფრანკფურტის „აინტრახტთან“ ერთად მეორე ბუნდესლიგაში გავარდა, რის შემდეგაც კონტრაქტი გაუწყვიტეს.

**ალიაკსანდრ ჰლები**: წლებია, ბელარუს ნახევარმცველს თავისი შესაძლებლობების 50 პროცენტიც კი არ გამოუვლენია, თავის დროზე „შტუტგარტში“ სწორედ მაგათის ხელში კი დაფრინავდა (2000-დან 2005 წლამდე), მაგრამ მას მერე ფეხბურთი კარგად აღარსად უთამაშია – არც „არსენალში“ და არც მით უმეტეს „ბარსელონაში“, სადაც ბოლო ორი წელია, ხორცმეტივითაა.

**რასმუს იონსონი**: შვედი ახალგაზრდა თავდამსხმელია და უფრო პერსპექტიული ფორვარდი ეთქმის, ვიდრე ჩამოყალიბებული ფეხბურთელი. შეუძლიათ კი ამ ფეხბურთელებს „ვოლფსბურგის“ დახმარება? აღარაფერს ვამბობთ მანამდე განხორციელებულ ტრანსფერებზე – დაბერებულ, ჩამოწერილ **ჰასან სალიჰამიჯიჩსა** თუ გაზარმაცებულ **თომას ჰიტცლშპერგერზე**, რომელიც უკლუბოდ იყო.

მართლა სერიოზული ფეხბურთელის გადაბირება არათუ მარტო მაგათმა, ვერცერთმა სხვა გერმანულმა კლუბმა ვერ შეძლო. ვისაც სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეს ხეირიანი გარიგების გაჩარხვა უნდა, ან ბევრი ფული უნდა ჰქონდეს, ანაც მაგარი იღბალი, რადგან ბოლო დღეებში თავისუფლად ან სატრანსფეროდ გამზადებულები მხოლოდ ძვირადღირებული ან მაღალანაზღაურებადი მოთამაშეები არიან ხოლმე. აგვისტოს ბოლო დღეებში კლუბები ხომ უსწრაფესად ცდილობენ ამა თუ იმ ფეხბურთელის გადაბირებას და იმ დანაკარგის ანაზღაურებას, რაც მთელი ივლის-აგვისტოს პერიოდში უფულობის, უმარიფათობის თუ უბრალოდ უიღბლობის გამო ვერ შეძლეს. ამიტომაც იყო, აგვისტოს მიწურულს „ვოლფსბურგთან“ ერთად, „ჰამბურგმაც“ რომ იაქტიურა – ამ კლუბს ხომ არასდროს უწერია გონიერი ხელმძღვანელების ყოლა.

თუმცა სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს და „ჰამბურგის“ შეფებიც მიხვდნენ, რომ კატასტროფული სტარტის შემდეგ (1 ქულა, ბოლო ადგილი), დიდი შანსია, ეს სეზონი ჯოჯოხეთად ექცეთ. ჩრდილოგერმანულმა კლუბმა „იუვენტუსში“ გადასული **ელჯერო ელიას** სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო მიიღო. სამაგიეროდ, HSV-მ ჰოლანდიელის შემცვლელი **ივო ილიჩევიჩი** (კაიზერსლაუტერნიდან) მხოლოდ 4 მილიონად იყიდა. აქ სულელური მხოლოდ ის არის, რომ ხორვატ გარემარბს ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს, თუმცა იმდენად იაფი გამოდგა, რომ ჰამბურგელებმა ამაზე თვალი დახუჭეს.

ასეთი პრობლემები დიდ კლუბებს, „ბაიერნს“, დორტმუნდის „ბორუსიას“ ან „ლევერკუზენს“ არ შეჰქმნიათ - დიდ სამეულს აგვისტოს ბოლო დღეებში სატრანსფერო ბაზარზე საერთოდ აღარ უაქტიურია, რადგან მათ გუნდები მანამდე დააკომპლექტეს. სხვებმა კი, მაგალითად, „მაინცმა“, მხოლოდ მცირე დანახარჯები გაიღეს. მაინცელებმა „შალკედან“ თავდამსხმელი **მარიო გავრანოვიჩი** ინათხოვრეს, „მანჩესტერ სიტიდან“ კი ნიჭიერი მეკარე **ლორის კარიუსი**. მწვრთნელი **თომას ტუხელი** მიიჩნევს, რომ მისი გუნდი დაკომპლექტებულია, თუმცა ფაქტია, რომ მხოლოდ ნათხოვარი ფეხბურთელებით „მაინცი“ შორს ვერ გაფრინდება.

ბრემენი კი შიშმა შეიპყრო, რადგან „ვერდერის“ ისედაც დახვრეტილმა დაცვამ თავისი ბურჯი დაკარგა – **პერ მერტეზაკერმა** ბავშვობის ოცნება აისრულა და ლონდონის „არსენალში“ გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ „მუსიკოსებმა“ მერტეს სანაცვლოდ დაახლოებით 10 მილიონი აიღეს, მისი შემცვლელი აღარ უყიდიათ. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან „ვერდერს“ ფინანსურად უჭირს.

კლუბები აუცილებლად უნდა გამოეცვალათ **მიხაელ ბალაკს**, რომელიც „ლევერკუზენში“ სათადარიგოთა სკამის ხეხვისთვისაა განწირული და **პატრიკ ჰელმესს**, რომელიც „ვოლფსბურგში“ მაგათს არ სჭირდება, მაგრამ ახალი, ხეირიანი გუნდი ვერც მიხაელმა იპოვა და ვერც პატრიკმა. ამრიგად, გამოდის, რომ ორივემ იანვრამდე უნდა მოითმინოს. სატრანსფერო ფანჯარა სწორედ პირველი იანვრიდან გაიღება და ორი აზრი არ არსებობს, ფელიქს მაგათს საშოპინგე სია დღესვე ჩამოწერილი ექნება.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალია. სერია A

# მადლობა სილვიოს, გაუგებრობა მთავრდება

## თუ ტომაზიმ კიდევ რამეზე არ გაჭედა, იტალიის ჩემპიონატი 9 სექტემბერს დაიწყება

აბა, იტალიაში რაიმე სადავო საკითხი ისე როგორ მოგვარდება, საქმეში თვით სილვიო ბერლუსკონი რომ არ ჩაერიოს. ამჯერადაც ასე მოხდა: მას მერე, რაც იტალიის პრემიერ-მინისტრმა და „მილანის" მფლობელმა ე.წ. დამატებითი გადასახადების მოხსნაზე თანხმობა განაცხადა, საფეხბურთო იტალიამ გვირაბის ბოლოს სინათლე დაინახა.

ერთი ეგაა, რომ ამ შეთანხმებას ძალა მხოლოდ ერთი სეზონით ექნება, თუმცა ფეხბურთელებისთვის ასეთი კომპრომისიც დიდი შეღავათია. ვინ ვინ და, ბერლუსკონიმ ყველაზე უკეთ იცის, რომ სეზონის დიდხანს გადადება ან, უარეს შემთხვევაში, მთლიანი ჩავარდნა, თვითონ კლუბებს და ფეხბურთელებსაც არ აწყობთ. შეთანხმებას, რომელსაც „ოქროს შუალედი" უნდა დავარქვათ, ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, ხელი მაქსიმუმ ორშაბათს მოეწერება.



### სტარტი მეორე ტურიდან

ახლა იტალიის საფეხბურთო ლიგისა და იტალიის ფეხბურთელთა ასოციაციის წარმომადგენლებს შორის უკანასკნელი მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ბოლო დეტალები თანხმდება. თუ შეთანხმება შედგა და სავარაუდოდ ასეც იქნება, სანაკრებო პაუზის შემდეგ, ანუ, 9 სექტემბერს იტალიის ჩემპიონატი აუცილებლად დაიწყება და გამოვა, რომ მხოლოდ ერთი, პირველი ტური ჩავარდა. ამრიგად, სეზონი ჩემპიონ „მილანისა" და რომის „ლაციოს" მატჩით უნდა გაიხსნას. იტალიის საფეხბურთო ლიგის შეფების განცხადებით, მთავარია, ეს სეზონი როგორმე დაიწყოს და ჩატარდეს, ერთი წელი კი საკმარისი დროა იმისათვის, რომ სამომავლო გეგმები ისე დაისახოს, ერთი წლის შემდეგ ასეთი ამბები აღარ დატრიალდეს – თუ, რა თქმა უნდა, ყველაფერი იტალიურად არ მოხდა და ეს ერთი წელიც არ დაიკარგა.

### ბლატერი: მათ გაფიცვის უფლება არ ჰქონდათ

*„სეზონის უკონტრაქტოდ დაწყება არ გვინდოდა და ეს შეუძლებელიც იყო. ყველაფერი ქაღალდზე თუ არ დაიწერა და ხელი არ მოეწერა, მერე უფრო დიდი არეულობა და დომხალი იქნება. იმედი მაქვს, ორშაბათამდე ყველაფერზე შევთანხმდებით და სერია A-ც სტარტს აიღებს,"* - აცხადებს ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტი **დამიანო ტომაზი**.

*„თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ დღეებში უდიდესი ნაბიჯი გადაიდგა და თუ კიდევ რაიმე გაიგებრობა მოხდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ტომაზის ბრალი იქნება,"* - ეს სიტყვები კი „ნაპოლის" პრეზიდენტ **აურელიო დე ლაურენტისს** ეკუთვნის, რომელიც ტომაზის ჯიბრში უდგას.

აღსანიშნავია, რომ ხუთშაბათს იტალიურ ფეხბურთში მომხდარ დაპირისპირებაზე კომენტარი ფიფას პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმაც** გააკეთა, რომელმაც თქვა: *„მთელი ეს ალიაქოთი უდიდესი შეცდომაა. ფეხბურთმა და ფეხბურთელებმა პატივი უნდა სცენ ყველა პარტნიორს, მედიას და ფანებს. ფეხბურთელებს ყველგან მაღალი ხელფასები აქვთ და მით უმეტეს, იტალიაში. მათ გაფიცვის უფლება არ ჰქონდათ, ეს ყველაფერთან ერთად, გულშემატკივრების უპატივცემლობაა."*

### ბოლო დეტალებიც და...

ის, რომ პრობლემა გვარდება და იტალიის ჩემპიონატი მეორე ტურიდან დაიწყება, მარტო ბერლუსკონის დამსახურება როდია. მოლაპარაკებებში უდიდესი როლი ითამაშა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჯანკარლო აბეტემაც**. მეტიც: პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სანამ ეს უკანასკნელი საქმეში არ ჩაერთო, ყინულს დნობა არ დაუწყია. აბეტემ ამ კვირაში არაერთი მოლაპარაკება გამართა როგორც საფეხბურთო ლიგის, ისე ფეხბურთელთა ასოციაციის წარმომადგენლებთან და შეიძლება ითქვას, რომ შუამავლის როლი შეასრულა. რეალურად კი, ყინული მაშინ გადნა, როცა ბერლუსკონი ფეხბურთელთა აზრით, ზედმეტი გადასახადების მოხსნას დათანხმდა.

*„მთავარ საკითხზე შეთანხმება უკვე მიღწეულია. ახლა მთავარია, რომ კლუბები და ფეხბურთელთა ასოციაციაც შეთანხმდნენ. ფეხბურთელები შიშობენ, რომ სათადარიგო მოთამაშეები მაგრად დაზარალდებიან და იმედია, კომპრომისზე ამ შემთხვევაშიც ორივე მხარე წავა,"* - აცხადებს იტალიის საფეხბურთო ლიგის შეფი **მაურიციო ბერეტა**.

პრინციპში, ამ შეთანხმებას წინ ფაქტობრივად აღარაფერი უდგას, რადგან ჩემპიონატის დაწყების გადადება ფეხბურთელებსაც აღარ აწყობთ, მთავარი კი მათაც მიღებული აქვთ.

*„ბოლო წლებში ჩვენ, ფეხბურთელები მაგრად დავიჩაგრეთ. მე არ ვამბობ, რომ ფედერაციამ ან საფეხბურთო ლიგამ დაგვჩაგრა – ეს ბრალდება მეტწილად კლუბების ხელმძღვანელებისკენაა მიმართული. იტალიურ ფეხბურთს დღეს ისედაც არ ულხინს და მოთამაშეებსაც ბევრი რამ უკვე ყელში ამოუვიდათ. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაცია და საფეხბურთო ლიგა მხოლოდ კლუბების პრეზიდენტებს კი არა, ფეხბურთელებსაც უნდა იცავდეს. უფრო სწორად, პირველ რიგში ფეხბურთელებს უნდა იცავდეს და მხოლოდ ამის შემდეგ პრეზიდენტებს!"* - ეს „იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების მცველის, **ჯორჯო კიელინის** სიტყვებია.

● ფრაიბურგი



პაპის დემბა სისე ნიუკასლში არ გაუშვეს

# ესეც ასე: სისე დარჩა

## ნიუკასლში არგაშვების სანაცვლოდ, პაპის დემბას ხელფასს უმატებენ

კვირის დასაწყისში, „ფრაიბურგმა" „ნიუკასლისგან" კიდევ ერთი, რიგით მეოთხე შეთავაზება მიიღო: ინგლისელები მზად იყვნენ, 26 წლის სუპერგოლეადორ **პაპის დემბა სისეში** 12 მილიონი ევრო გადაეხადათ. მაგრამ „ფრაიბურგმა" „ნიუკასლს" ამაზეც უარი უთხრა. გერმანული კლუბის სპორტული დირექტორი **დირკ ჰუფნერი** ამბობს, ჯერ ერთი, ინგლისელებმა იმაზე გაცილებით ნაკლები შემოგვთავაზეს, ვიდრე სისე გვილირს და თანაც, ბოლო დღეს ჩვენს საუკეთესო თავდამსხმელს აღარ გავყიდდით, რადგან მისი შემცვლელის საყიდლად დრო არ გვრჩებოდაო.

ფეხბურთელის აგენტი **გვიდო ნიკოლაი** ადასტურებს, რომ „ნიუკასლი" მზად იყო, 12 მილიონთან ერთად, არაერთი ბონუსი დაემატებინა, მაგრამ „ფრაიბურგის" მოსათაფლად ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი – ბრაისგაუელები სუფთა 15 მილიონს ითხოვდნენ და ინგლისელებს ამდენი რომ გადაეხადათ, გერმანელებს, შესაძლოა, აღარც კი ეფიქრათ იმაზე, რომ სენეგალელის შემცვლელის ყიდვას ველარ ასწრებდნენ.

ტრანსფერი იმ ფაქტმაც გაართულა, რომ სისე ამ დღეებში სენეგალის ნაკრებშია გამოძახებული. ფორვარდი, რომელიც შარშან ბუნდესლიგის ვიცე-ბომბარდირი გახდა, ახლა კი, ოთხი ტურის შემდეგ ოთხი გოლით ერთ-ერთი საუკეთესოა, გერმანიაში მომავალ კვირაში დაბრუნდება და ფაქტია, რომ ნაღდად არ იქნება კარგ ხასიათზე, რადგან „ნიუკასლში" გადასვლა უნდოდა. მაგრამ ფრაიბურგელები ამისთვისაც მზად არიან: პაპის დემბას ხელფასს უმატებენ. ჰუფნერს არ აქვს იმის ილუზია, რომ სისეს ახალ კონტრაქტს გაუფორმებს (მოქმედ ხელშეკრულებას ვადა 2014 წლამდე აქვს), მაგრამ იმის იმედი კი აქვს, რომ ფეხბურთელი ხელფასის გაზრდის შემთხვევაში აღარ იქნება ისეთი უკმაყოფილო, როგორიც ახლაა. „ფრაიბურგის" შეფი ამბობს, არა უშავს, დარწმუნებული ვარ, რომ სულ მალე ევროპის ერთ-ერთ ტოპ-კლუბში გადავაო.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

● მილანი

# ჩემპიონთა ლიგა სუპერპიპოს გარეშე!

## ალეგრიმ 38 წლის ინძაგი განაცხადს მიღმა დატოვა

ევროტურნირების ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი **ფილიპო ინძაგი** ჩემპიონთა ლიგაში არ ითამაშებს. „მილანის" მთავარმა მწვრთნელმა **მასიმილიანო ალეგრიმ** გადაწყვიტა, რომ „სუპერპიპოზე" უარი თქვას და 38 წლის ვეტერანი გოლეადორი „როსონერის" საჩემპიონთალიგო განაცხადს მიღმა დატოვა. ალეგრიმ ბოლო მომენტში ინძაგის „პალერმოდან" გადაბირებული ახალწვეული, საყრდენი ნახევარმცველი **ანტონიო ნოჩერინო** ამჯობინა.



70 გოლი ევროტურნირებზე: პიპო ინძაგი

შეგახსენებთ, რომ ინძაგის, რომელსაც 38 წელი ცოტა ხნის წინ შეუსრულდა, ევროტურნირებზე 70 გოლი აქვს გატანილი და ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირებში მხოლოდ ერთ ფეხბურთელს, **რაულს** ჩამორჩება. 70 გოლიდან, პიპოს ჩემპიონთა ლიგაში 46 აქვს გატანილი. ინძაგიმ წინა სეზონში სერიოზული ტრავმა გადაიტანა, რის გამოც ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ სამ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ორი გოლის გატანა მაინც მოახერხა და სხვათა შორის, ორივე მადრიდის „რეალს" ერთ მატჩში გაუტანა. მერე კი, გოლეადორმა, რომელსაც იტალიის ნაკრებში 57 შეხვედრა აქვს ჩატარებული, მძიმე ტრავმა მიიღო და ფეხბურთს ექვსი თვით დაემშვიდობა.

დღესდღეობით, ინძაგის „მილანის" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი არ აქვს, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ უკვე 38 წლისაა, რაც ნამდვილად აღარ არის საფეხბურთო ასაკი (მით უმეტეს, თავდამსხმელისთვის), „როსონერის" ფანებს მისი იმედი ყოველთვის აქვთ, რადგან პიპო ისეთი თავდამსხმელია, რომელსაც ასაკი ხელს არასდროს უშლიდა. ალეგრი ინძაგიზე წინ **ზლატან იბრაჰიმოვიჩს, ალეშანდრე პატოს, რობინიოსა** და **ანტონიო კასანოს** აყენებს. შეგახსენებთ, რომ „მილანი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში „ბარსელონასთან", „ბატესთან" და „ვიქტორია პლზენთან" ერთად მოხვდა.

ფაქტია, ფილიპო ინძაგის გარეშე ჩემპიონთა ლიგა ცოტათი უფრო მოსაწყენი გახდება...

● იუვენტუსი

# მაროტა: ამაური ღორია!

## ბრაზილიელი მარსელში არ წავიდა და სათამაშო პრაქტიკას მუქთა ფული ამჯობინა

„იუვენტუსის" გენერალური დირექტორი **ჯუზეპე მაროტა** თავდამსხმელ **კარვალიო ამაურის** ლანძღავს. „ბებერი ქალბატონის" ბოსი წარმოშობით ბრაზილიელ ცენტრფორვარდს ვერაფრით პატიობს იმას, რომ ამ უკანასკნელმა მარსელის „ოლიმპიკში" გადასვლაზე უარი თქვა და „იუვეში" „ხორცმეტად" დარჩა.

ტურინული კლუბის შეფი პირდაპირ ამბობს, სხვაგანაც შეეძლო წასვლა, მაგრამ ბოლო დღეს ძალიან რეალური იყო ის ვარიანტი, რომ „მარსელში" გადასულიყო, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად, უარი თქვაო. არადა, „იუვეს" თავკაცმა **ანტონიო კონტემ** არაერთხელ გაიმეორა, რომ ამაური არ სჭირდება. მიუხედავად ამისა, თავდამსხმელმა ტრანსფერზე მაინც უარი თქვა, რაც იმას ნიშნავს, რომ სათამაშო პრაქტიკას და შედარებით დაბალ ხელფასს, „იუვენტუსში" სათადარიგოთა სკამის ხეხვა და ძველი ხელფასის შენარჩუნება ამჯობინა.

*„ამაურის ხელფასი ახლა წელიწადში 3.8 მილიონი ევროა. „მარსელმა" კი მას შედარებით დაბალი ჯამაგირი და ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზა, რაზეც უარი თქვა. რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ ამაური ხარბია და მისთვის მთავარი ფულია? ეს ყველა კლუბისთვის ჭკუის სასწავლებელი მაგალითი უნდა იყოს,"* - განრისხებულია მაროტა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ევრო 2012 საკვალიფიკაციო მატჩები

# გერმანია ევრო 2012-ზეა

## ჰოლანდია დაფრინავს

**იოახიმ ლიოვის** გუნდი პირველია, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა - ეს ჩვენ გუშინვე ვივარაუდეთ, თუმცა ვერ წარმოვიდგენდით, რომ გერმანელები ასე გააცამტვერებდნენ პრინციპულ მეტოქეებს, ავსტრიელებს. გელზენკირხენში მასპინძლებმა 6:2 გადაურბინეს სტუმრებს, „რეალის" ნახევარმცველმა **მესუთ იოზილმა** დუბლი შეასრულა, თითო გოლი გაიტანეს **პოდოლსკიმ** და **კლოზემ**, ისევე როგორც შეცვლაზე შესულებმა **შიურლემ** და **გიოტცემ**. აღსანიშნავია **თომას მიულერის** ორი საგოლე პასიც. შესარჩევი ეტაპის დასრულებამდე 2 ტურით ადრე გერმანიამ 8-დან 8 მატჩი მოიგო და მეტოქეთათვის მიუღწეველი გახდა.



გერმანელი ანდრე შიურლე გოლს ზეიმობს

მართალია, ჯერ ოფიციალურად ევრო 2012-ის საგზური არ მოუპოვებია ჰოლანდიის ნაკრებს, მაგრამ ამას **ვან მარვიიკის** გუნდი უახლოეს სამშაბათს გაიფორმებს - წუხელ „ნარინჯისფერებმა" 11:0 გაანადგურეს ევროპის ყველაზე სუსტი ნაკრები, სან მარინო. პოკერი შეასრულა **რობინ ვან პერსიმ**, დუბლი **კლას-იაან ჰუნტელაარმა**, რომელიც 10 გოლით ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბომბარდირია. 11:0 ჰოლანდიური ფეხბურთის ისტორიაში უდიდესი ანგარიშით გამარჯვებაა. გუნდს, ისევე როგორც გერმანიას, 100%-იანი შედეგი აქვს.

ამ მატჩში ყველაზე მეტად 25 წლის **ალდო სიმონჩინი** შეგვეცოდა, „ჩეზენას" გოლკიპერმა 11 გოლი გაუშვა. თუმცა, არ გეგონოთ, რომ ეს მის კარიერაში პირველი შემთხვევაა, 2008 წელს გერმანიის ნაკრებმა სიმონჩინის 13 გოლი გაუტანა, მანამდე, 2005 წელს, მას 10 გოლი აქვს გაშვებული ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრებისგან. მოკლედ, ტრაგიკომიკული პიროვნებაა თანამედროვე ევროპულ ფეხბურთში.

ჰოლანდიელთა გარდა, მიზანთან ძალიან ახლოს არიან ინგლისელები და იტალიელებიც. „აძურამ" შორეულ ფარერებზე **ანტონიო კასანოს** ერთადერთი გოლის წყალობით მოიგო, თუმცა 1:0-იც 3 ქულად ფასობს და 11:0-იც. ინგლისელებმა კი ბულგარეთში უცნაურ ფორმებში გამოწყობილებმა 3:0 იმარჯვეს, მაშინ, როცა ბრიტანეთში დამარცხდნენ მათი მთავარი კონკურენტები, ჩერნოგორიელები.

### A ჯგუფი

**აზერბაიჯანი-ბელგია 1:1**

**აზერბაიჯანი**: აგაევი - შუკუროვი, ნაბიევი, სადიგოვი, აბდულაევი - აბუშოვი (64. ამირგულიევი), ჰუსეინოვი - ისმაილოვი (58. მამედოვი), ჩერტოგანოვი (83. სუბაშიჩი), ჯავადოვი - ალიევი.

**ბელგია**: მინოლე - ალდერვეირელდი, კომპანი, ვერტონგენი, ლომბაერტსი - სიმონსი - ვიტსელი, ფელაინი - აზარი, ლუკაკუ (60. დე კამარგო), მერტენსი.

**გოლები**: 0:1 სიმონსი (55), 1:1 ალიევი (86)

**თურქეთი-ყაზახეთი 2:1**

**თურქეთი**: დემირელი - ბალტა, კესიმალი, კორკმაზი, სარიოგლუ - ბელოზოგლუ (60. ტორე), ინანი, თურანი, ილმაზი - ეკიჩი (51. ს. შაჰინი), კაზიმ კაზიმი (81. ბულუტი).

**ყაზახეთი**: მოკინი - კიროვი, ლოგვინენკო, მუხტაროვი, გორმანი - ნურდაულეტოვი, შმიდტგალი, შახმეტოვი (82. ბაიჟანოვი), გრიდინი, ხაირულინი (66. ოსტაპენკო) - კონისბაევი (86. ნუსერბაევი).

**გოლები**: 1:0 ილმაზი (31), 1:1 კონისბაევი (55), 2:1 თურანი (90)

**გაძევება**: ინანი (90)

**გერმანია-ავსტრია 6:2**

**გერმანია**: ნოიერი - ჰიოვედესი (46. ბოატენგი), ჰუმელსი, ბადშტუბერი, ლამი - შვაინშტაიგერი, კროოსი (85. გიოტცე) - მიულერი, იოზილი, პოდოლსკი (74. შიურლე) - კლოზე.

**ავსტრია**: გრაცეი - კლაინი, შიმერი, პოგატეცი, ფუხსი - დაგი, ბაუმგარტლინგერი, ალაბა, როიერი (73. ჰოფერი) - ჰარნიკი, არნაუტოვიჩი.

**გოლები**: 1:0 იოზილი (8), 2:0 იოზილი (23), 3:0 პოდოლსკი (28), 3:1 არნაუტოვიჩი (42), 4:1 იოზილი (47), 4:2 ჰარნიკი (51), 5:2 შიურლე (84), 6:2 გიოტცე (89)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 8 | 8 | 0 | 0 | 28-5 | 24 |
| 2. თურქეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 11-8 | 13 |
| 3. ბელგია | 8 | 3 | 3 | 2 | 16-11 | 12 |
| 4. ავსტრია | 7 | 2 | 1 | 4 | 12-16 | 7 |
| 5. აზერბაიჯანი | 7 | 1 | 1 | 5 | 6-19 | 4 |
| 6. ყაზახეთი | 7 | 1 | 0 | 6 | 3-17 | 3 |

**მომდევნო ტური**

**6 სექტემბერი**

აზერბაიჯანი-ყაზახეთი
ავსტრია-თურქეთი

### B ჯგუფი

**რუსეთი-მაკედონია 1:0**

**რუსეთი**: მალაფეევი - ანიუკოვი, ვ. ბერეზუცკი, ა. ბერეზუცკი, შიროკოვი - სემშოვი (46. პავლიუჩენკო), ზირიანოვი (60. ტორბინსკი), ჟირკოვი, დენისოვი - არშავინი, კერჟაკოვი (88. გლუშაკოვი).

**მაკედონია**: ბოგატინოვი - გეორგიევსკი (66. ჰასანი), იბრაიმი, ივანოვსკი (75. ტრაიკოვსკი), ნოვესკი - სიკოვი, შუმულიკოსკი (85. მუარემი), პოპოვი, ტიჩოვსკი - დემირი, პანდევი.

**გოლი**: 1:0 სემშოვი (41)

**ანდორა-სომხეთი 0:3**

**ანდორა**: ხ. გომესი - ბერნაუსი, აიალა (87. სანჩეს სოტო), გარსია, ხ.რ. გომესი, ალეხო - ლიმა, პუხოლი, სილვა გარსია (72. ს. გარსია), ვალესი - მარინი (80. ვიეირა).

**სომხეთი**: ბერეზოვსკი - ალექსანიანი, ჰაირაპეტიანი, ჰოვსეპიანი, მკოიანი - ღაზარიანი (89. ბადოიანი), მხითარიანი, მკრტიჩიანი, სარქისოვი - პიზელი (84. ედიგარიანი), მანუჩარიანი (78. მალაქიანი).

**გოლები**: 0:1 პიზელი (35), 0:2 ღაზარიანი (75), 0:3 მხითარიანი (90-პენ)

**გაძევება**: ლიმა (90)

**ირლანდია-სლოვაკეთი 0:0**

**ირლანდია**: გივენი - ოში, დანი, სტ. ლედჯერი, უარდი - დაფი, ენდრიუსი, უელანი, მაკგიდი (84. ჰანტი) - კინი, დოილი (64. კოქსი).

**სლოვაკეთი**: მუხა - პეკარიკი, დიურიცა, შკრტელი, ჩეხი - ვეისი (85. იენდრიშეკი), კარჰანი, ჰამშიკი, კუჩკა (76. გუედე), შტოხი - ჰოლოშკო (88. ვიტეკი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 10-4 | 16 |
| 2. ირლანდია | 7 | 4 | 2 | 1 | 11-6 | 14 |
| 3. სლოვაკეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 6-4 | 14 |
| 4. სომხეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 13-7 | 11 |
| 5. მაკედონია | 7 | 1 | 1 | 5 | 5-9 | 4 |
| 6. ანდორა | 7 | 0 | 0 | 7 | 1-16 | 0 |

**მომდევნო ტური**

**6 სექტემბერი**

რუსეთი-ირლანდია
მაკედონია-ანდორა
სლოვაკეთი-სომხეთი

### C ჯგუფი

**ჩრდ. ირლანდია-სერბეთი 0:1**

**ჩრდ. ირლანდია**: კამპი - მაკაული, კეზკარტი, ჰიუზი, ევანსი (59. მაკგინი) - ბეირდი, ევანსი, დევისი, მაკენი (71. ფენეი) - ბრანტი, ჰილი (84. მაკქუოიდი).

**სერბეთი**: იორგაჩევიჩი - რაიკოვიჩი, ივანოვიჩი, სუბოტიჩი, კოლაროვი - ტოშიჩი (79. ლიაიჩი), სტანკოვიჩი, ნინკოვიჩი (74. პეტროვიჩი), კუზმანოვიჩი (89. ფეისა) - იოვანოვიჩი, პანტელიჩი.

**გოლი**: 0:1 პანტელიჩი (67)

**სლოვენია-ესტონეთი 1:2**

**სლოვენია**: ჰანდანოვიჩი - ბრეჩკო, ილიჩი, ბოსტიანი, იოკიჩი - ბირსა, კორენი, რადოსავლიევიჩი (56. ვრშიჩი), ილიჩიჩი (82. პეჩნიკი) - მატავჟი, ნოვიკოვიჩი (56. ლიუბიანკიჩი).

**ესტონეთი**: პარეიკო - იააგერი, რანი, პიროია (74. სტეპანოვი), კლავანი - ტენისტე, დმიტრიევი, ვუნკი, კრუგლოვი (69. პურიე) - ვასილიევი, ზენიოვი (61. აჰიუპერა).

**გოლები**: 0:1 ვასილიევი (29), 1:1 მატავჟი (78), 1:2 პურიე (81)

**ფარერები-იტალია 0:1**

**ფარერები**: ტორგარდი - ნაესი, გრეგერსენი, ბალდვინსონი, დავიდსენი - ბენიამინსენი - იუსტინუსენი (87. სამუელსენი), ჰოლსტი (87. მოურიტსენი) - ელტორი, ედმუნდსონი, ოლსენი (76. დანიელსენი).

**იტალია**: ბუფონი - მაჯო, რანოკია, კიელინი, კრიშიტო - მოტა (73. აკვილანი), პირლო, დე როსი - მონტოლივო - კასანო (86. ბალოტელი), როსი (59. პაცინი).

**გოლი**: 0:1 კასანო (11)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 7 | 6 | 1 | 0 | 15-1 | 19 |
| 2. სლოვენია | 8 | 3 | 2 | 3 | 10-6 | 11 |
| 3. სერბეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 9-9 | 11 |
| 4. ესტონეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 9-12 | 10 |
| 5. ჩრდ. ირლანდია | 7 | 2 | 3 | 2 | 7-4 | 9 |
| 6. ფარერები | 9 | 1 | 1 | 7 | 5-23 | 4 |

**მომდევნო ტური**

**6 სექტემბერი**

სერბეთი-ფარერები
ესტონეთი-ჩრდ. ირლანდია
იტალია-სლოვენია

### D ჯგუფი

**ბელარუსი-ბოსნია 0:2**

**ბელარუსი**: ჟევნოვი - კალაჩევი, კულჩი, მარტინოვიჩი, შიტოვი - ტრუბილა, პუტცილა, ვერხოვცოვი, ჟავნერჩიკი (63. შიტკო) - კორნილენკო (63. ვორონკოვი), კისლიაკი.

**ბოსნია**: ჰასაგიჩი - პაპაცი, ზაჰიროვიჩი, პანძა, სპაჰიჩი - სალიჰოვიჩი (72. მალეტიჩი), ლულიჩი, პიანიჩი, რაჰიმიჩი, - ჯეკო (80. მიშიმოვიჩი), მედუნიანინი (88. მუსლიმოვიჩი).

**გოლები**: 0:1 სალიჰოვიჩი (21-პენ), 0:2 მედუნიანინი (24)

**ლუქსემბურგი-რუმინეთი 0:2**

**ლუქსემბურგი**: ჟუბერი - შნელი, ბლაიზი, ჰოფმანი (76. ბუკვიჩი), მუტში - ჟერსონი - პაიალი, ბეტმერი - ლევეკი, ჟოახიმი (46. კიტენგე), და მოტა (61. იანიში).

**რუმინეთი**: ტატარუსანუ - მატელი, გალამაზი (61. ჩირიჩესი), გოიანი, რაცი - კოკისი, ლაზარი, ტანასე - ტორჟე (76. ნიკულაე), მარიკა (86. სტანჩუ), ბუკური.

**გოლები**: 0:1 ტორჟე (34), 0:2 ტორჟე (45)



პორტუგალიელი ბრუნო ალვეში კვიპროსელთა წინააღმდეგ

## ალბანეთი-საფრანგეთი 1:2

**ალბანეთი:** უჯკანი - დალკუ, კანა, ტელი, ვანგიელი - ცური (24. ლალა) - ბულკუ (70. ბაკაი), აგოლი - შკელა (46. ჰიკა), ბოგდანი, სალიჰი.

**საფრანგეთი:** ლორისი - რევეიერი, ქაბული, აბიდალი, ევრა - მვილა, ნასრი, დიარა - მალუდა (82. მარტინი), ბენზემა, რიბერი.

**გოლები:** 0:1 ბენზემა (11), 0:2 მვილა (18), 1:2 ბოგდანი (46)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 11-3 | 16 |
| 2. ბოსნია | 7 | 4 | 1 | 2 | 10-7 | 13 |
| 3. ბელარუსი | 8 | 3 | 3 | 2 | 6-4 | 12 |
| 4. რუმინეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 8-2 | 11 |
| 5. ალბანეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 5-8 | 8 |
| 6. ლუქსემბურგი | 8 | 0 | 1 | 7 | 1-15 | 1 |

**მომდევნო ტური**

**6 სექტემბერი**

ბოსნია-ბელარუსი
ლუქსემბურგი-ალბანეთი
რუმინეთი-საფრანგეთი

## E ჯგუფი

### ფინეთი-მოლდოვა 4:1

**ფინეთი:** ჰრადეცკი - არკივუო, ტოივიო, მოისანდერი, რაიტალა - რინგი (72. ვაირინენი), ერემენკო, ჰეტემაი - ჰამალაინენი (76. ფურუჰოლმი), სიოლუნდი (61. პუკი) - ფორსელი.

**მოლდოვა:** ჩალანტეა - გოლოვატენკო, სავინოვი, არმაში, ბორეცი - ჩებოტარუ, ეპურეანუ - სუვოროვი (55. ბოროდიანი), ზმეუ, დოროში (55. ჩეპტინე) - ოვსეანიკოვი(69. ალექსეევი).

**გოლები:** 1:0 ჰამალაინენი (11), 2:0 ჰამალაინენი (43), 3:0 ფორსელი (52-პენ), 4:0 არმაში (70 ს.კ.), 4:1 ალექსეევი (85)

### უნგრეთი-შვედეთი 2:1

**უნგრეთი:** კირაი - ლაჩკო, ვარგა, კორსმარი, ლიპტაკი (73. შანდორი) - საბიჩსი (80. პრისკინი), რუდოლფი, პინტერი, ელეკი - კომანი, ჰაინალი (65. შტიბერი).

**შვედეთი:** ისაკსონი - ლუშტიგი, გრანკვისტი, მაისტროვიჩი, ვენდტი - სვენსონი (52. ელმი), კალსტრიომი (88. ვერბლოომი) - ლარსონი (68. ტოივონენი), ელმანდერი, **ვილჰელმსონი** - იბრაჰიმოვიჩი.

**გოლები:** 1:0 საბიჩსი (44), 1:1 ვილჰელმსონი (60), 2:1 რუდოლფი (90)

### ჰოლანდია-სან მარინო 11:0

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი - ვან დერ ვილი, ჰეიტინგა, მატეისენი, პიეტერსი - ვან ბომელი (74. მადურო), სტროოტმანი (86. ვინალდუმი) - ვან პერსი, სნეიდერი, კუიტი (74. ელია) - ჰუნტელაარი.

**სან მარინო:** ა. სიმონჩინი - ვ. ვიტაიოლი, დ. სიმონჩინი (82. ბაჩიოკი), ბენედატინი, ვანუჩი - ბოლინი (68. გასპერონი), მაძა (54. ჩოპინი), ჩერველინი - ანდრეინი, სელვა, მ. ვიტაიოლი.

**გოლები:** 1:0 ვან პერსი (7), 2:0 სნეიდერი (12), 3:0 ჰეიტინგა (17), 4:0 კუიტი (49), 5:0 ჰუნტელაარი (56), 6:0 ვან პერსი (65), 7:0 ვან პერსი (67), 8:0 ჰუნტელაარი (77), 9:0 ვან პერსი (79), 10:0 სნეიდერი (87), 11:0 ვინალდუმი (90).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 7 | 7 | 0 | 0 | 32-5 | 21 |
| 2. შვედეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 21-8 | 15 |
| 3. უნგრეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 20-14 | 15 |
| 4. ფინეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 15-12 | 9 |
| 5. მოლდოვა | 7 | 2 | 0 | 5 | 8-13 | 6 |
| 6. სან მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 0-44 | 0 |

**მომდევნო ტური**

**6 სექტემბერი**

ფინეთი-ჰოლანდია
მოლდოვა-უნგრეთი
სან მარინო-შვედეთი

## F ჯგუფი

### ისრაელი-საბერძნეთი 0:1

**ისრაელი:** ავატე - შპუნგინი, ბენ-ჰაიმი, გერშონი, ბენ ჰარუში - კოენი (61. ნატხო), კაიალი - ბენაიუნი, ზაჰავი (54. ჰემედი), რაფაელოვი - შეხტერი (55. დამარი).

**საბერძნეთი:** სიფაკისი - ტოროსიდისი, კ. პაპადოპულოსი, ა. პაპადოპულოსი, ზარადუკასი - ნინისი (77. ფეტფაციდისი), კარაგუნისი, კაცურანისი, კაფესი (41. მაკოსი) - სამარასი, სალპინგიდისი (84. მანიატისი).

**გოლი:** 0:1 ნინისი (60)

### მალტა-ხორვატია 1:3

**მალტა:** ჰოგი - ბრიფა (78. პეისი), მუსკატი, შკიბერასი, ა. აგიუსი - კოენი, ფაილა, ფენეჩი (88. მამო), შკემბრი - მიფსუდი (82. ვუდსი), ჰატჩინსონი.

**ხორვატია:** პლეტიკოშა - სრნა, სტრინიჩი, ლოვრენი, ჩორლუკა - ვრსალიკო, ვუკოევიჩი, მანძუკიჩი, პერიშიჩი (67. დუიმოვიჩი), - კლასნიჩი (46. კალინიჩი), ბადელი (81. ედუარდო).

**გოლები:** 0:1 ვუკოევიჩი (11), 0:2 ბადელი (32), 1:2 მიფსუდი (38), 1:3 ლოვრენი (68)

საქართველო-ლატვია 0:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 9-3 | 17 |
| 2. ხორვატია | 7 | 5 | 1 | 1 | 13-4 | 16 |
| 3. ისრაელი | 8 | 4 | 1 | 3 | 10-8 | 13 |
| 4. საქართველო | 8 | 2 | 3 | 3 | 5-6 | 9 |
| 5. ლატვია | 7 | 2 | 1 | 4 | 6-9 | 7 |
| 6. მალტა | 7 | 0 | 0 | 7 | 3-16 | 0 |

**მომდევნო ტური**

**6 სექტემბერი**

ხორვატია-ისრაელი
ლატვია-საბერძნეთი
მალტა-საქართველო

## G ჯგუფი

### ბულგარეთი-ინგლისი 0:3

**ბულგარეთი:** მიხაილოვი - ბოდუროვი, ბანდალოვსკი (46. სარმოვი), ივანოვი, ზანევი - მილანოვი, გეორგიევი, ს. პეტროვი, მ. პერტოვი - გენკოვი (61. ბოჟილოვი), პოპოვი (81. მარკინიოსი).

**ინგლისი:** ჰარტი - სმოლინგი, კეჰილი, ტერი, ე. კოული - პარკერი, ბერი (80. ლამპარდი) - უოლკოტი (83. ჯონსონი), ე. იანგი (61. მილნერი), დაუნინგი - რუნი.

**გოლები:** 0:1 კეჰილი (13), 0:2 რუნი (21), 0:3 რუნი (45)

### უელსი-ჩერნოგორია 2:1

**უელსი:** ჰენესეი - განტერი, უილიამსი, ბლეიკი, ტეილორი - ვოენი, ლედლი, რემსი (64. კროფტსი) - ბეილი (90. ერნშოუ), მორისონი (83. რობსონ-კანუ), ბელამი.

**ჩერნოგორია:** ბოჟოვიჩი - ზვეროტიჩი, სავიჩი, ბატაკი, ბალიჩი (83. იოვანოვიჩი) - ვუჩინიჩი (79. დელიბაშიჩი), დრინჩიჩი, პეკოვიჩი, ვუკჩევიჩი - იოვეტიჩი, დიალოვიჩი (57. დამიანოვიჩი).

**გოლები:** 1:0 მორისონი (29), 2:0 რემსი (50), 2:1 იოვეტიჩი (71)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 6 | 4 | 2 | 0 | 14-3 | 14 |
| 2. ჩერნოგორია | 6 | 3 | 2 | 1 | 5-3 | 11 |
| 3. შვეიცარია | 5 | 1 | 2 | 2 | 7-7 | 5 |
| 4. ბულგარეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 2-9 | 5 |
| 5. უელსი | 5 | 1 | 0 | 4 | 3-9 | 3 |

**მომდევნო ტური**

**6 სექტემბერი**

შვეიცარია-ბულგარეთი
ინგლისი-უელსი

## H ჯგუფი

### ნორვეგია-ისლანდია 1:0

**ნორვეგია:** იარშტეინი - ვაელერი, ჰოგლი, ჰანგელანდი, ჰუსეკლეპი (87. ბრენი) - გრინდჰეიმი (80. კარეუ), ჰაუგერი, პარი (68. ბრაატენი), რუუდი - აბდელაუე, ტეტეი.

**ისლანდია:** მაგნუსონი - ს. იონსონი, საევარსონი, სიგურდსონი, ვალგარდსონი - დანიელსონი (90. ბიარნასონი), გისლასონი, ე. იონსონი, სიგტორსონი (77. გუნარსონი) - გუდიონსენი, გუდმუნდსონი (80. ტორსტეინსონი).

**გოლი:** 1:0 აბდელაუე (88)

### კვიპროსი-პორტუგალია 0:4

**კვიპროსი:** გეორგალიდესი - ხრისტუ, მერკისი, ხრისტოფი (80. ეფრემი), დობრასინოვიჩი - დემეტრიუ, მაკრიდისი (38. ნიკოლაუ), პურსაიტიდისი - ხარალამბიდისი (63. ალექსანდრუ), ოკასი.

**პორტუგალია:** პატრისიო - ბ. ალვეში, პეპე, პერეირა, კოენტრაო - რუბენ მიკაელი (63. ველოზო), მეირელეში, მოუტინიო - რონალდო, პოშტიგა (76. ალმეიდა), ნანი (85. დანი).

**გოლები:** 0:1 რონალდო (35-პენ), 0:2 რონალდო (83), 0:3 ალმეიდა (84), 0:4 დანი (90)

**გაძევება:** დობრასინოვიჩი (34)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუგალია | 6 | 4 | 1 | 1 | 15-7 | 13 |
| 2. ნორვეგია | 6 | 4 | 1 | 1 | 7-4 | 13 |
| 3. დანია | 5 | 3 | 1 | 1 | 4-3 | 10 |
| 4. კვიპროსი | 5 | 0 | 2 | 3 | 5-12 | 2 |
| 5. ისლანდია | 6 | 0 | 1 | 5 | 2-9 | 1 |

**მომდევნო ტური**

**6 სექტემბერი**

დანია-ნორვეგია
ისლანდია-კვიპროსი

## I ჯგუფი

### ლიტვა-ლიხტენშტაინი 0:0

**ლიტვა:** კარჩემარსკასი - შემბერასი, კიანსკასი, ჟალიუკასი, ნოვიკოვასი (46. ლაბუკასი) - პენკა (88. სავენასი), მიკოლიუნასი (64. პაპშისი), კლიმავიჩიუსი, დ. ჩესნაუსკისი - ე. ჩესნაუსკისი, დანილევიჩიუსი.

**ლიხტენშტაინი:** იელე - მიხაელ შტოკლასა, რეხშტაინერი, ოერი (51. კაუფმანი), რიტცბერგერი - მარტინ შტოკლასა, ბურგმაიერი, ბუხელი (90. კიბერი), ვიზერი (46. ნ. ჰესლერი) - დ. ჰესლერი, ფრიკი.

**გაძევება:** ე. ჩესნაუსკისი (74)

შოტლანდია-ჩეხეთი 18:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 15-5 | 15 |
| 2. ჩეხეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 6-3 | 9 |
| 4. ლიტვა | 6 | 1 | 2 | 3 | 3-8 | 5 |
| 3. შოტლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 5. ლიხტენშტაინი | 6 | 1 | 1 | 4 | 3-10 | 4 |

**მომდევნო ტური**

**6 სექტემბერი**

შოტლანდია-ლიტვა
ესპანეთი-ლიხტენშტაინი

**ბომბარდირები:**

10 - **კლაას-იან ჰუნტელაარი** (ჰოლანდია)
9 - **მიროსლავ კლოზე** (გერმანია)
7 - **მიკაელ ფორსელი** (ფინეთი)
6 - **რობინ ვან პერსი** (ჰოლანდია)
5 - **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (შვედეთი), **რობი კინი** (ირლანდია), **ტიმ მატავჟი** (სლოვენია), **დირკ კუიტი** (ჰოლანდია), **დერდეი რუდოლფი** (უნგრეთი).
4 - **ადამ სალაი** (უნგრეთი), , **მარიო გომესი** (გერმანია), **იოსი ბენაიუნი** (ისრაელი), **მარვინ ოგუნჯიმი** (ბელგია), , **დავიდ ვილია** (ესპანეთი), **ნიკო კრანჩარი** (ხორვატია), **კასპერ ჰამალაინენი** (ფინეთი), **კრიშტიანო რონალდო** (პორტუგალია), **მარკო არნაუტოვიჩი** (ავსტრია), **არდა თურანი** (თურქეთი), **ანტონიო კასანო** (იტალია), **მესუთ იოზილი** (გერმანია).



ექვსი გოლი ორ კაცზე: რობინ ვან პერსი და კლას-იან ჰუნტელაარი

**ლა ლიგა. კლუბების წარდგენა**
**ვილიარეალი**




# ნაბიჯი უკან, ორი ნაბიჯი წინ?

## ყვითელი წყალქვეშა ნავი დიდ რყევებს გადაურჩა

კლუბის პრეზიდენტ **ფერნანდო როიგს** დიდი ოდენობით ფულის დახარჯვა არ სურს, „ვილიარეალისთვის" ფინანსურად რთული ხანა დადგა. ახლა ვალენსიის მხარის პატარა ქალაქის დიდი გუნდის ხელმძღვანელებს ერთი რამ აფიქრებთ - ამის გამო არ დაიჩაგროს „ვილიარეალის" გამორჩეული, შემტევი სტილი. ჩემპიონატის პირველ ტურში მომხდარი კატასტროფა (0:5 „ბარსასთან") ბუნებრივ ეჭვს იწვევს...

როიგი ფინანსებში დიდებულად ერკვევა, რომ არ მოხდეს ფინანსური კატასტროფა, აუცილებელია ნაბიჯი უკან, მაგრამ რაც შეიძლება პატარა. სწორედ ამ ტაქტიკის დამსახურებაა, რომ გუნდმა სარფიანად გაყიდა „მალაგაში" ესპანეთის ნაკრების წევრი **სანტი კასორლა**. საბოლოო ჯამში, „ვილიარეალმა" მაინც შეძლო გუნდის ხერხემლის შენარჩუნება, ლიდერებიდან მხოლოდ კასორლა და **ხოან კაპდევილა** წავიდნენ. არადა, ბევრს ლაპარაკობდნენ **ჯუზეპე როსისა** და **ნილმარის** წასვლაზეც.

კასორლას შემცვლელად „ოსასუნადან" გადმოყვანილი გარემარბი **ხავიერ კამუნიასი** ეგულებათ. თუმცა სანტის შეცვლა, რომელიც ორივე ფეხს ერთნაირად კარგად იყენებს და აქვს დიდებული დარტყმა, ძალიან ძნელი იქნება.

„ვილიარეალი" ამ სეზონში მეტად დაეყრდნობა კლუბის კანტერას, ახალგაზრდა ფეხბურთელებმა დაიმსახურეს ყურადღება და თუ მათ თანატოლებს „ბარსელონაშიც" კი უჩნდებათ დამკვიდრების შანსი, „ვილიარეალი" გამონაკლისი ხომ ვერ იქნება (შეგახსენებთ, რომ მხოლოდ ამ ორი კლუბის სარეზერვო შემადგენლობები თამაშობენ სეგუნდადივიზიონში, სხვები უფრო დაბალ ლიგებში გამოდიან).

მოკლედ, ახლანდელი „ვილიარეალის" პლუსები სულ სხვადასხვა ინგრედიენტების ნაზავია - გამოცდილება, ახალგაზრდობა და მოთამაშეთა უნივერსალიზმი.

**ციტატები**

**ხუან კარლოს გარიდო:** *„ჩვენ უდიდესი არჩევანი გვაქვს, გუნდში დიდი კონკურენციაა. სატრანსფერო პოლიტიკით კმაყოფილი ვარ, ვისი დამატებაც მსურდა, ყველა ჩვენთანაა".*

**ფერნანდო როიგი:** *„ყოველ ახალ სეზონს წინაზე უკეთ ჩავატარებთ".*

**რუბენ კანი:** *„ჩვენი ამოცანა ძალიან მარტივია - ოთხეულში შეღწევა".*

### სეზონის ამოცანა: ჩემპიონთა ლიგის საგზური

„ვილიარეალი" ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზებს, კლუბის ფინანსების გათვალისწინებით „ელ სუბმარინოსთვის" სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ ლიგის საგზური საგაისოდაც მოიპოვოს. ეს არის „ვილიარეალის" მიზანიც. აი, რამდენად შეძლებენ ვალენსიელები ამას, სხვა საკითხია. სიმართლე გითხრათ, პესიმისტურად ვართ განწყობილნი.

**ტრანსფერები**

**მოვიდნენ:** სესარ სანჩესი („ვალენსია", თავ. აგენტი), **კრისტიან საპატა** („უდინეზე", 9 მლნ. ევრო), **ჯონათან დე გუზმანი** („მალიორკა", 8 მლნ.), **ხავიერ კამუნიასი** („ოსასუნა", 2,3 მლნ.), **იკეჩუკვე უჩე** („სარაგოსა"), **ვაკასო მუბარაკი** („ვილიარეალი ბ"), **ერნან პერესი** („ვილიარეალი ბ"), **ხერარდ ბორდასი** („ვილიარეალი ბ").

**წავიდნენ:** ოლივა, მარკესი, კაპდევილა, კასორლა, ალტიდორი, მატილია, მარკანო, მონტერო, ხუან კარლოსი, უჩე, სისინიო.

**ლიგის**



**ვილიარეალ კლუბ დე ფუტბოლ**

**დაარსდა:** 1923 წ.

**სტადიონი:** ელ მადრიგალი, 25 000

**პრეზიდენტი:** ფერნანდო როიგი

**მწვრთნელი:** ხუან კარლოს გარიდო

**კლუბის წევრი:** 23 000

13 სეზონი ლა ლიგაში
ინტერტოტოს თასი (2003, 2004)

**მეტსახელი:** ელ სუბმარინო ამარილიო (ყვითელი წყალქვეშა ნავი)

**გასულ სეზონში:** მე-4 ადგილი

**ოფიციალური საიტი:** http://www.villarrealcf.es/

**ყველაზე მეტი თამაში 2010/11:** დ. ლოპესი (38), ბრუნო (37), კასორლა (37), როსი (36), ბ. ვალერო (35).

**ყველაზე მეტი გოლი 2010/11:** როსი (18), ნილმარი (11), კანი (5), კასორლა (5), რუბენი (5).

**გუნდი 2011/12**

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. **სესარ სანჩესი** | 02.09.1971 |
| 13. **დიეგო ლოპესი** | 03.11.1981 |
| 31. **დიეგო მარინო** | 09.05.1990 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. **გონსალო როდრიგესი** (ურუგ.) | 10.04.1984 |
| 3. **ხოან ორიოლი** | 05.11.1986 |
| 4. **მატეო მუსაკიო** (არგენტინა) | 26.08.1990 |
| 5. **კარლოს მარჩენა** | 31.07.1979 |
| 6. **ანხელ ლოპესი** | 10.03.1981 |
| 12. **კრისტიან საპატა** (კოლუმ.) | 30.09.1986 |
| 14. **მარიო გასპარი** | 24.11.1990 |
| 15. **ხოსე კატალა** | 01.01.1985 |
| 27. **მანუ** (პორტუგალია) | 09.04.1987 |
| 28. **დორიან დერვიტი** (საფრან.) | 25.07.1988 |
| 30. **ტომას კარლოსი** | 18.05.1988 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 8. **ჯონათან დე გუზმანი** (ჰოლ.) | 13.09.1987 |
| 10. **რუბენ კანი** | 03.08.1981 |
| 11. **ერნან პერესი** (პარაგვაი) | 25.02.1989 |
| 17. **ხავიერ კამუნიასი** | 17.07.1980 |
| 18. **ვაკასო მუბარაკი** (განა) | 25.07.1990 |
| 19. **მარკოს სენა** | 17.07.1976 |
| 20. **ბორხა ვალერო** | 12.01.1985 |
| 21. **ბრუნო სორიანო** | 12.06.1984 |
| 26. **მარკუს გულონი** | 20.02.1989 |
| 32. **ხორდი პაბლო** | 01.01.1990 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 7. **ნილმარი** (ბრაზილია) | 14.07.1984 |
| 9. **მარკო რუბენი** (არგენტინა) | 26.10.1986 |
| 22. **ჯუზეპე როსი** (იტალია) | 01.02.1987 |
| 23. **ხერარდ ბორდასი** | 11.09.1981 |

*შენიშვნა:* *მუქი შრიფტით წარწერა მაისურზე*

გვერდები მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

Warsteiner EINE KÖNIGIN UNTER DEN BIEREN
ევროპასკეტის ნარმოგიდგენთ ლუდი ვარშტაინერი
EuroBasket LITHUANIA
როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

საქართველო-სლოვენია. მატჩის წინ.

# ფავორიტთან მოგების იმედით



ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე სლოვენიის ნაკრებს ყოველთვის ვქომაგობდი. ამ ქვეყანაში ხომ არაერთი ქართველი კალათბურთელი დაოსტატდა. ვერასოდეს ნარმოვიდგენდი, რომ ევროპის ჩემპიონატზე სლოვენიელების წინააღმდეგ ვინმეს ვუქომაგებდი. ეს დღეც დადგა – ის "ვინმე" საქართველოა. დღეს თბილისის დროით 19 საათზე ჩვენი გუნდი სლოვენიის წინაშე წარდგება.

**ვლადიმერ ბოისას** სიტყვებს მოვიშველიებ:

- ჩემი მეგობარი სლოვენიელები მემუქრებიან, მოგიგებთო. ვპასუხობ: თქვენი გამარჯვება არავის გააკვირვებს, ქართველთა მოგება კი სენსაცია იქნება. ასე რომ, გვიფრთხილდით-მეთქი.

მართლაც, დღევანდელ მატჩში სლოვენია ფავორიტია, მაგრამ ევრობასკეტის დასაწყისში საქართველოს ნაკრების შთამბეჭდავმა და სლოვენიელთა არადამაჯერებელმა თამაშმა იმედი გაგვიჩინა.

- სლოვენიელებს კარგად ვიცნობთ და მათთან საბრძოლველად მზად ვართ. რუსეთთან მატჩის შემდეგ გუნდი კიდევ უფრო შემართულია. მეტოქეს არაფერს დავუთმობთ, - გვითხრა გუშინ **გიორგი შერმადინმა**, რომელმაც გასული სეზონი სლოვენიის "ოლიმპიაში" გაატარა.

ქართველებმა საწყის ორ მატჩში დაინახეს, რომ ჯგუფში არავისზე ნაკლებები არ არიან. ეს მათ სლოვენიასთან თავდაჯერებას შემატებთ. საბრძოლო ჟინი რომ არ აკლიათ, ეს შერმადინმაც გვითხრა, მთავარი მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვი** კი დაგვპირდა, რომ ნაკრებმა თამაში კიდევ უნდა გააუმჯობესოს:

- წინ ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ. რუსეთთან მატჩის შემდეგ სლოვენიისთვის ვემზადებით. ჯგუფის ფავორიტთან რთული მატჩი გველის, მაგრამ ბრძოლას ვაპირებთ.

1 სექტემბერს სლოვენიისა და უკრაინის შეხვედრა შემდეგ პრესკონფერენციას დავესწარი. სლოვენიელთა თავკაცი **ბოჟიდარ მალიკოვიჩი** გაბრაზებული იყო: ამდენი მაღალი კლასის კალათბურთელი გვყავს, მაგრამ უკრაინის ზონური დაცვა ვერ გავშალეთო. საგულისხმოა, სწორედ ზონური დაცვით ალმოფხვრა საქართველოს ნაკრებმა რუსეთთან 14-ქულიანი ჩამორჩენა.

საწყისი მატჩების შემდეგ ჩვენს ნაკრებზე ყველა დადებითად ლაპარაკობს. როცა სლოვენიელთა კაპიტან **გორან იაგოდნიკს** ვკითხე, ქართველთა ასეთი თამაში რამდენად მოულოდნელია-მეთქი, მომიგო:

- ბოისას, მარკოიშვილს, შერმადინს ძალიან ახლოს ვიცნობ და მათი შესაძლებლობები კარგად ვიცი. ამიტომ, საქართველოს ნაკრების ასეთი კარგი თამაში ჩემთვის მოულოდნელი სულაც არ არის. მასთან სერიოზული ბრძოლა გველის.



**ვაჟა სიმონიშვილი კლაიპედიდან**

ინტერვიუ დევიდ ბლატთან

# საქართველოსთან მატჩმა ბლატი ზიმბაბველ ჯადოქრებზე დააფიქრა

ევრობასკეტზე ჩვენს ჯგუფში გუშინ დასვენება იყო. ტურნირის ორგანიზატორებმა მედიის მუშაკებისთვის ერთგვარი ექსკურსია მოაწყვეს, რაზეც შემდეგში დაწვრილებით მოგითხრობთ. საინტერესო სანახაობების პარალელურად მნიშვნელოვანი იყო სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი ჟურნალისტების გაცნობა.

რუსმა კოლეგამ, როცა გაიგო საქართველოდან ვიყავი, პირდაპირ მითხრა – ჩვენმა მწვრთნელმა თქვა, ჯგუფიდან ჩვენთან ერთად საქართველო გავაო. შედარებით გამოცდილი, sports.ru-ს მიმომხილველი კი გაოცებული ჩანდა: *„შვიდი ევროპის ჩემპიონატი მაქვს მოვლილი და ჯგუფურ ეტაპზე რუსეთი-საქართველოს დარი საინტერსო მატჩი ჯერაც არ მინახავს. ეფექტურ სროლებს არ ვგულისხმობ, შინაარსიანი თამაში იყო, ერთმანეთს კარგად ორგანიზებული და გაწვრთნილი გუნდი ებრძოდა".*

თამამად შეიძლება ითქვას, საქართველომ ბევრი უკვე გააკვირვა და ქომაგიც შეიძინა. ხუთჯვრიანი დროშით შეიარაღებული არაერთი ლიტველი ესწრება თამაშებს. ერთმა ისიც გვითხრა – მთელი ლიტვა თქვენ გქომაგობთო.

არ გაკვირვებულა რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, დევიდ ბლატი, რომელმაც წინასწარ უთხრა შეგირდებს, რომ ჯგუფში ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი საქართველოსთან ელოდა.

პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ ბლატმა ჯერ რუსი ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა, ბოლოს ჩვენთვისაც მოიცალა.

- შეგირდები სანიკიძისა და ფაჩულიას წინააღმდეგ სათამაშოდ სათანადოდ მოვამზადე, ვუთხარი – თუ ამ ორ კალათბურთელს შევაჩერებთ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება-მეთქი.

**- სამწამიანში ქართველებს მართლაც გაუჭირდათ, სამაგიეროდ მანუჩარ მარკოიშვილმა ბევრი სამქულიანი ჩააგდო.**

- ეგეც გათვლილი გვქონდა. სანიკიძისა და ფაჩულიას გარდა, სხვებისთვის დიდი ყურადღება არ მიგვიქცევია, რადგან მატჩის გასაღები ამ ორ კალათბურთელში იყო. მანუ უმაღლესი კლასის კალათბურთელია, ძალიან გაგვაწვალა, მაგრამ როგორც ვვარაუდობდი, მატჩი ვერ მოიგო.

**- პირველ ტაიმში რუსეთმა ითამაშა კარგად, მეორეში – საქართველომ. რა იყო ამის მიზეზი?**

- დიდი ხანია, რუსეთის ნაკრებს ვხელმძღვანელობ და ისეთი დონის კალათბურთი, რაც პირველ ტაიმში უჩვენა, აქამდე არ უთამაშია. დაცვაში საოცრად გაისარჯნენ, გაოგნებული შევცქეროდი. მეორე ტაიმში კი ფსიქოლოგიურად განვიტვირთეთ – მანამდე იმდენად კარგად ვითამაშეთ, რომ კალათბურთელებმა დაიჯერეს, მუდმივად ასე შეეძლოთ გამოსვლა. არადა, ალმავლობას დალმავლობა მოსდევს. როგორც ყველა გუნდს, რუსეთსაც აქვს პლუსები და მინუსები. სამწუხაროდ, უარყოფითი ელემენტების ტალანტის ხარჯზე გადაფარვა არ შეგვიძლია. სწორედ ამიტომ, წარმატებისთვის ყოველ მატჩში მაქსიმალური მობილიზება, მოწესრიგებულობა და ბრძოლაა საჭირო. ავილოთ თუნდაც ხრიაპას მაგალითი. მან მხოლოდ 1 ქულა ჩააგდო, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს იყო მისი საუკეთესო მატჩი ნაკრებში. მაშინ, როცა საქართველომ ზონური დაცვა დაგვიყენა და კალათისკენ გზას ვერ ვპოულობდით, მნიშვნელოვანი იყო დაცვაზე გაორმაგებული ყურადღების მიმართვა. ხრიაპამ ყველა რგოლი შეაკავშირა და მეტოქეს დაწინაურების საშუალება არ მისცა. ეს მიუთითებს მის მაღალ ოსტატობაზე. არადა, დაბალი კლასის კალათბურთელები მაშინ, როცა თამაში არ მისდით, ფსიქოლოგიურად ტყდებიან.

**- როგორც წესი, ზონური დაცვის "გახვრეტა" სამქულიანებით შეიძლება. რუსეთმა კი მეოთხე პერიოდში ერთი შორეული ტყორცნაც ვერ გამოიყენა.**

- როგორც ჩანს, არ გვყავს სათანადო მსროლელები. ახლა ვაპირებ ზიმბაბვეში



წასვლას, რათა ჯადოქარი ჩამოვიყვანო და შევალოცვინო. იქნებ ამან უშველოს კალათბურთელებს სამქულიანების ტყორცნისას.

**- რამდენად მნიშვნელოვანი იყო თქვენი გუნდისთვის ქართველებთან გუშინდელი გამარჯვება?**

- ეს იყო რუსეთისთვის მთავარი მატჩი ჯგუფში, რადგან ვფიქრობ, რომ საქართველო მომდევნო ეტაპზე გადავა, სადაც მათთან მოგება გადაგვყვება. მეოთხედფინალზე მოფიქრალი გუნდისთვის ეს აუცილებელია. ასე რომ, დღეიდან საქართველოს ნაკრებს ვქომაგობ.

**- სლოვენიასთან დაპირისპირებაზე მნიშვნელოვანი საქართველოსთან მატჩი იყო?**

- დიახ. მე ასე მიმაჩნია.

**- სლოვენიელებმა საწყისი მატჩები არადამაჯერებლად ჩაატარეს...**

- ეს ჩვეულებრივი ამბავია. სადებიუტო შეხვედრებში ყველას გაუჭირდა. მათ შორის ესპანეთს. მეორე-მესამე მატჩებს ლიდერები გაცილებით უკეთესად ატარებენ. ჩვენს შემთხვევაშიც ასე იყო – საქართველოსთან უკეთესად გავისარჯეთ, ვიდრე უკრაინასთან. სლოვენიას ბევრი იარალი აქვს და, ბუნებრივია, ფავორიტადაც ითვლება. ვფიქრობ, ჯგუფიდან რუსეთი, სლოვენია და საქართველო გავლენ. თუმცა ჯერ ყველას დიდი ბრძოლა ელის.

**- საქართველოს ნაკრების პოტენციალზე რა აზრისა ბრძანდებით?**

- გუნდს აშკარად ეტყობა მწვრთნელის ხელი. შესანიშნავადაა ორგანიზებული. არადა, წინა წლებში ამ მხრივ მოიკოჭლებდა. ზაზა ფაჩულიას ფანი ვარ. იგი მომწონს, როგორც კალათბურთელი, როგორც ლიდერი და როგორც პიროვნება. იგი იმ იშვიათთა კატეგორიიდანაა, რომლებიც რამდენიმე მეტოქის ყურადღებას საჭიროებენ. ერთი კაცი მის შესაჩერებლად საკმარისი არ არის. ნაციონალურ გუნდებში ასეთი კალათბურთელები აუცილებელია. რუსეთში კირილენკოს შეუძლია გუნდის გაძლოლა, საქართველოში - ფაჩულიას.

**- საქართველოს ნაკრებში თქვენს შეგირდს ("მაქაბიში") ჯერემი პარგოს ეპატიჟებოდნენ...**

- გუნდისთვის, რომელსაც სწრაფი ევოლუცია სურს, ნატურალიზებული ამერიკელის დამატება ოპტიმალური გამოსავალია. თუმცა უცხოელების ჩამოყვანის მომხრე არ ვარ. მით უმეტეს, ისეთების, რომლებსაც მანამადე ქვეყანასთან შეხება არ ჰქონია. ნატურალიზებული შიდა ჩემპიონატში მაინც უნდა გამოდიოდეს. რუსეთში წლების განმავლობაში თამაშობდა ჰოლდენი. მასზე მაღალი კლასის უკანახაზელი არ გვყავს, მაგრამ როგორც ხედავთ, ჰოლდენის გარეშეც კარგად გამოვიყურებით. ერთი რამ ვერ გამიგია – რაში დასჭირდა ესპანეთს იბაკას დახმარება?!

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნიჩბოსნობა

# ულიცენზიოდ, მაგრამ შანსი შეინარჩუნეს

საქართველოდან ოლიმპიურ თამაშებში დღემდე სულ სამ ნიჩბოსანს უასპარეზია: 1972 წელს მიუნხენში სსრკ ორგზის ჩემპიონმა **ვიქტორ კრატასიუკმა** ორადგილიანი ბაიდარათი ოქროს მედალი მოიპოვა. იმავე ოლიმპიადაზე ნიჩბოსნურ სლალომში მოსინჯა ძალები საკავშირო პირველობების სამგზის გამარჯვებულმა **გიორგი ნასყიდაშვილმა**. 1976 წელს მონრეალის თამაშებში საკავშირო ჩემპიონატების სამგზის ოქროს მედალოსანი **გივი ნიკურაძე** (აკადემიური ნიჩბოსნობა) მონაწილეობდა.

სეგედში წარმატებული გამოსვლა მიულოცეს. ისინი ხომ ჩვენებურზე, სულ მცირე, 5-10 წლით უფროსები იყვნენ. ბაიდარასა და კანოეში გაისად ლონდონის ოლიმპიადის კიდევ 13 ლიცენზია გათამაშდება. მათ მფლობელებს გერმანიის, პოლონეთისა და კანადის მსოფლიოს თასების შედეგები გამოავლენს. შაბურიშვილი და ნადირაძე იმ შეჯიბრებებში პირველ ოცეულში თუ დაიმკვიდრებენ ადგილს, ბრიტანეთში გამგზავრების დიდი შანსი ექნებათ.

— **აკადემიურ ნიჩბოსნობაზე რას იტყვით?**



ეკატერინე შაბურიშვილი

— და აი, 35 წლის შემდეგ შანსი გვეძლევა, ლონდონის ოლიმპიადის საგზური მოვიპოვოთ, — გვითხრა საქართველოს ნიჩბოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვიტალი გრძელიშვილმა**. — ამას წინათ უნგრეთის ქალაქ სეგედში ბაიდარასა და კანოეში სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა. სხვადასხვა ქვეყნის სახელოვან და გამოცდილ სპორტსმენებს მედგარი მეტოქეობა გაუწიეს 16 წლის დუშელმა ეკატერინე შაბურიშვილმა და 17 წლის მცხეთელმა ზაზა ნადირაძემ. ერთადგილიანი ბაიდარათი შაბურიშვილმა 80 მონაწილეში 21-ე ადგილი დაიკავა. უკეთ იასპარეზა ნადირაძემ — კანოეთი 100 მონაწილეს შორის მე-15 ადგილზე გავიდა. არადა, მეორე ფინალში მცირედით წააგო მესამეადგილოსანთან, თორემ 9 საუკეთესოში დაიმკვიდრებდა ადგილს და ოლიმპიადის საგზურსაც მოიპოვებდა. სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტებმა და თვით მეტოქეებმაც ზაზას

— ინგლისმა წლეულს 18-წლამდელთა მსოფლიოს პირველობას უმასპინძლა. იმ ტურნირზე სამი მონაწილე გვყავდა. მცხეთელმა ნიკოლოზ კანდელაკმა ერთადგილიანი ნავით იასპარეზა, ლევან ბირკაია (ფოთი) და არჩილ ბაიაშვილი (მცხეთა) ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავით ეჯიბრებოდნენ მეტოქეებს. სამწუხაროდ, არასახარბიელოდ გამოვიდნენ. მართალია, 15-16 წლისანი არიან და ინგლისში, ფაქტობრივად, გამოცდილების მისაღებად გაემგზავრნენ, მაგრამ მათგან მაინც უფრო მეტს მოველოდით.

გუშინ სლოვენიაში აკადემიკოსების სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. იქ ერთადერთი მონაწილე გვყავს — მცხეთელი ლაშა მოთიაშვილი, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ აკადემიურ ნიჩბოსნობაში ოლიმპიადის საგზურის მოპოვების ნაკლები შანსი გვაქვს.

ვაჟა **დანელია**

## ოლიმპიური ფილატელია



მუშტით ბრძოლა



ბადროს ტყორცნა

პირველი ოლიმპიური საფოსტო მარკები მიეძღვნა აღორძინებული ოლიმპიური თამაშების პირველ ასპარეზობას და დაიბეჭდა პარიზში 1896 წლის 25 მარტს.

მარკაზე გამოსახულია მუშტით ბრძოლა — ძველბერძენი მოქანდაკე **ლისიპის** მიერ შექმნილი პოლიდამის ქანდაკების ფრაგმენტი. მეორე საფოსტო მარკაზე ასევე ძველბერძენი მოქანდაკე **მირონის** „ბადროს მტყორცნელია" აღბეჭდილი. ავტორები: **ე. მუშონი** (გრავიორი) და **გ. გილერონი** (მხატვარი).

## თარიღი. 3-9 სექტემბერი

**03. 1947 წ.** დაიბადა **ჟერარ ულიე** — ფეხბურთი, მწვრთნელი (საფრანგეთი).

**04. 1857 წ.** ქ. შეფილდში (ინგლისი) დაარსდა საფეხბურთო კლუბი — დღევანდელი „შეფილდი".

**04. 2006 წ.** საჩოგბურთო კორტებზე გამოსვლა დაასრულა ლეგენდარულმა **ანდრე აგასიმ** (აშშ).

**05. 1951 წ.** დაიბადა **პაულ ბრაიტნერი** - ფეხბურთი (გერმანია).

**06. 1913 წ.** დაიბადა **სილვა ლეონიდასი** - ფეხბურთი (ბრაზილია).

**07. 1944 წ.** დაიბადა **ბორა მილუტინოვიჩი** - ფეხბურთი (მწვრთნელი, სერბეთი).

**07. 1968 წ.** დაიბადა **მარსელ დესაი** - ფეხბურთი (მწვრთნელი, საფრანგეთი).

**08. 1972 წ.** დაიბადა **მარკუს ბაბელი** - ფეხბურთი (გერმანია).

**09. 1893 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „შტუტგარტი".

**09. 1926 წ.** დაიბადა **გერმან ზონინი** - ფეხბურთი (თბილისის „დინამოს" ყოფილი მწვრთნელი).

## სპორტის ნაკლებად ცნობილი სახეობები

# კორფბოლი

კორფბოლი (ჰოლანდ. დე კორფ – კალათი). კალათბურთის მსგავსი გუნდური თამაში. ჩაისახა 1903 წელს ჰოლანდიაში. დღეს ამ ქვეყანაში კორფბოლს პოპულარობით მხოლოდ ფეხბურთი უსწრებს. იდეისა და წესების ავტორია ამსტერდამელი პედაგოგი ნიკო ბორკჰუისენი.

ერთადერთი სპორტული თამაში, სადაც გუნდში ერთდროულად 4 ქალი და 4 მამაკაცია. ამასთან, ერთი გუნდის მამაკაცებს შეუძლიათ შეუტიონ მხოლოდ მოწინაალმდეგე გუნდის მამაკაცებს, ქალები კი მხოლოდ ქალებს უტევენ. კორფბოლს თამაშობენ ბალახით დაფარულ მოედანზე (სიგრძე — 40 მ, სიგანე — 20 მ).

მოთამაშეთა მიზანია კალათბურთის ბურთის ჩაგდება ცილინდრულ კალათში, რომელიც 3,5 მეტრის სიმაღლის ბოძზეა დამაგრებული. კალათის დიამეტრია 38-40, ხოლო სიმაღლე — 25 სმ. კალათბურთისგან განსხვავებით, კორფბოლის კალათები განთავსებულია არა მოედნის კიდეებში, არამედ უშუალოდ მოედანზე და ამიტომ შეტევა შესაძლებელია ნებისმიერი მხრიდან.

კორფბოლის საერთაშორისო ფედერაცია დაარსდა 1933 წელს ანტვერპენში. 1967 წლიდან ტარდება ევროტურნირები საკლუბო გუნდებს შორის. პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა ჰოლანდიაში (1978).




## საინტერესო ამბები

**ჩინეთში** ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3 ათასი წლის წინათ არსებობდა საჭიდაო სკოლები. ჩინეთშივე დაუწესებიათ პირველად ეგრეთ წოდებული „მოჭიდავის დღე". 708 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჭიდაობა ოლიმპიური თამაშების პროგამაში შეიტანეს, როგორც პენტატლონის (ბერძნული ხუთჭიდი) მეხუთე სახეობა. თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებში ჭიდაობა პირველად ჩართეს 1904 წელს სანტ ლუისის (აშშ) III ოლიმპიადაზე მასპინძლების დაჟინებული თხოვნით.

**რომმა** ჭიდაობა საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ გაიცნო და მალე დაიმკვიდრა ადგილი გლადიატორების ბრძოლასა და მუშტი კრივის გვერდით.

## პირველი, პირველმა, პირველად...

■ ■ ■

**პირველი** მატჩი საფეხბურთო ევროთასების გათამაშებაში შედგა 1955 წლის 4 სექტემბერს ქ. ლისაბონში.

■ ■ ■

**პირველმა** მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ველოსპორტში ქალთა შორის მოიპოვა ამერიკელმა **დორის კოპსკიმ**.

■ ■ ■

**პირველად** ერთმა მოცურავემ ერთ ოლიმპიურ თამაშებში შვიდი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა ლეგენდარულმა **მარკ სპიცმა** (აშშ) 1972 წელს მიუნხენში. ეს მიღწევა 2008 წელს პეკინში გააუმჯობესა ასევე ამერიკელმა **მაიკლ ფელპსმა,** რომელმაც ცურვის სხვადასხვა დისტანციაზე 8 ოქროს მედალი დაიმსახურა. საერთო ჯამში კი იგი თოთხმეტგზის ოლიმპიური ჩემპიონია.

## ვიქტორინა

**1. კანადელმა ლეგენდარულმა ჰოკეისტმა გორდი ჰოუმ, რომელიც ეროვნულ ლიგაში საკუთარ ვაჟიშვილებთან ერთად თამაშობდა, 1971 წლის 9 სექტემბერს განაცხადა, რომ თავს ანებებს აქტიურ სპორტს. რამდენი წლის იყო მაშინ ეს ჰოკეისტი?**

ა — 48 წლის
ბ — 55 წლის
გ — 62 წლის

**2. მერამდენედ გახდა „ბარსელონა" ფეხბურთში ევროპის სუპერთასის მფლობელი 2011 წელს?**

ა — მეორედ
ბ — მესამედ
გ — მეოთხედ

**3. რომელ ქვეყანაშია ყველაზე დიდი სარაგბო სტადიონი მსოფლიოში?**

ა — შოტლანდიაში.
ბ — ინგლისში
გ — ახალ ზელანდიაში

**4. პირველად აზიის კონტინენტზე რომელ წელს ჩატარდა ზაფხულის ოლიმპიური თამაშები?**

ა — 1964 წელს
ბ — 1988 წელს
გ — 2004 წელს

**5. რომელ ოლიმპიურ თამაშებში მოეწყო საჩვენებელი გამოსვლა-შეჯიბრება ბეისბოლში?**

ა — 1956 წელს, მელბურნში
ბ — 1960 წელს, რომში
გ — 1964 წელს, ტოკიოში

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-ა, 5-გ

# კროსვორდი



**თარაზულად:** 3. რუსთავის „ოლიმპის" წინამორბედი სახელი; 6. არგენტინის ნაკრების ყოფილი კაპიტანი; 7. დედამიწის სიმაღლით მეოთხე მწვერვალი; 9. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი; 10. თბილისის "დინამოს" ფეხბურთელი; 11. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 14. საფარიკაო იარაღი; 15. დროის ნახევარი ფეხბურთში; 17. დოლი გრძელ მანძილზე; 18. შტანგის აწევა ორივე ხელით; 19. მძლეოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 20. ფეხბურთში საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი მიშელ ...; 24. ძიუდოს სრულფასოვანი ილეთი; 25. ორადგილიანი ველოსიპედი; 27. სოკ-ის პრეზიდენტი; 30. ქართული ცხენოსნური თამაში; 31. ის. სურათი: ლეგენდაული რუსი მეკარე; 32. ბრაზილიელი ფეხბურთელი მაურისიო ...;

**შვეულად:** 1. სპორტსმენის დაშავება; 2. კრივში აკრძალული ილეთი; 3. თბილისის "დინამოს" ყოფილი მწვრთნელი; 4. თბილისის "დინამოს" ლეგიონერი; 5. თბილისის "დინამოს" ესპანელი ლეგიონერი; 6. ლეგენდარული იტალიელი საფეხბურთო მსაჯი; 8. ვეტერანი ჩოგბურთელი კრისტ ... ; 12. წარსულში ცნობილი შვედი ფეხბურთელი; 13. ცხენოსნობაში: სამდღიანი შეჯიბრება ერთი და იმავე ცხენით; 14. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 16. კოვბოების ქამანდი; 19. დროის მონაკვეთი კრივში; 21. ქართველი ალპინისტი, ორგზის "თოვლის ჯიქი", ...; 22. ვეტერანი ამერიკელი ჩოგბურთელი მაიკლ ... ; 23. "მილანის" მეკარე; 26. ცნობილი ბერძენი ძალოსანი; 28. ყოფილი იტალიელი მეკარე ......ძოფი; 29. სუმოისტების ტურნირი.

*შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ*

## იყო ასეთი შემთხვევა...

სასჯელი სპორტული ეთიკის დარღვევისათვის ჯერ კიდევ ანტიკური ოლიმპიადებიდან იღებს სათავეს. მერე მსოფლიო უფრო ცივილიზებული გახდა და გაროზგვა სხვადასხვა სასჯელით შეიცვალა. დღეს ყველაზე გავრცელებული არის — დისკვალიფიკაცია. თუმცა ჯერ კიდევ 1915 წელს „მანჩესტერისა" და „ლივერპულის" მატჩი „ჩაწყობილად" ჩაითვალა და ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ რამდენიმე ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია გამოუტანა. დასჯილთა შორის იყო უესტსი, რომელსაც სამუდამო დისკვალიფიკაცია 1945 წელს მოუხსნეს, როცა ის უკვე 60 წელს იყო გადაცილებული.

## ვინ რა თქვა...

■ ■ ■

„ცხოვრებასა და სპორტში მთავარია პარტნიორების, მოწინაალმდეგის, მსაჯების და გულშემატკივრების პატივისცემა".

*იოჰან კრუიფი*

■ ■ ■

„ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა არც ერთი წუთი, როცა მეგრძნოს, რომ მომწყინდა ფეხბურთელობა".

*სლავა მეტრეველი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა



# ალიევი–ლაშხი: ბრძოლა დაიწყო

## ოლიმპიური ჩემპიონი სპორტს უბრუნდება

**ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში აზერბაიჯანელ ბერძენ-რომაელთა ნაკრების შემადგენლობა გაგაცანით და ვწერდით, რომ ევროპის წლევანდელ ჩემპიონ რევაზ ლაშხს (60) მძიმე ბრძოლა ელოდა ჰასან ალიევთან. შეგახსენებთ, რომ ლაშხმა მას ევროპის წლევანდელი პირველობის ნახევარფინალში მოუგო, რითაც სამწლიანი წაუგებელი სერია შეაწყვეტინა. როგორც ირკვევა, ქართველთან რევანშისთვის ალიევიც საგანგებოდ ემზადება.**

„მსოფლიოს ჩემპიონატზე სუსტი მეტოქე არ არსებობს. უმეტესობა იქ ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებაზე ფიქრობს, მე კი ჩემპიონობისთვის მივდივარ. ჩემი ძირითადი კონკურენტები ყაზახი, რუსი, ირანელი და ქართველი მეტოქეები იქნებიან. განსაკუთრებით ქართველთან მსურს შეხვედრა, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე მომიგო. ის წარუმატებელი გამოსვლა არ დამვიწყებია, წაგების მიზეზზე ბევრიც ვიფიქრე და მივხვდი, რომ ფსიქოლოგიური მოუმზადებლობის გამო წავაგე, თორემ ფიზიკურად ფორმაში ვიყავი. უბრალოდ, ფსიქოლოგიურად გადავილალე", - განუცხადა ალიევმა აზერბაიჯანულ მედიას. თქმაც არაა საჭირო, რომ ლაშხს სერიოზული ბრძოლა ელოდება მასთან. იმედია, მეტოქეს სიურპრიზსაც შესთავაზებს.



რევაზ ლაშხი

მსოფლიოს ჩემპიონატი 12-18 სექტემბერს სტამბოლში გაიმართება და რამდენიმე წამყვანმა ქვეყანამ უკვე დაასახელა შემადგენლობა. რუსეთიდან ეს ოფიციალურად ჯერ მხოლოდ „თავისუფალთა" ნაკრების დამრიგებელმა **ჯამბულათ თედეევმა** გააკეთა, ბერძენ-რომაელთა ქართველი თავკაცი **გოგი კოღუაშვილი** კი დუმს. თედეევს გუნდში იმდენი პირველხარისხოვანი ვარსკვლავი ჰყავს, თავი ქუდში აქვს და შემადგენლობა შედარებით ადრე გააცხადა: მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ვიქტორ ლებედევი** (55), მსოფლიოს ასევე მოქმედი სამგზის გამარჯვებული, ოლიმპიური ბრინჯაოს მფლობელი **ბესიკ კუდუხოვი** (60), **ადამ ბატიროვი** (66), მსოფლიოსა და ევროპის ბოლო ორი პირველობის ზედიზედ მომგები **დენის ცარგუში** (74), **ალბერტ სარიტოვი** (84), ოლიმპიური და მსოფლიოს ოთხგზის გამარჯვებული **ჰაჯიმურატ გაცალოვი** (96), მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **ბილიალ მახოვი** (120). როგორც ვხედავთ, თედეევის ნაკრები არა უბრალო, არამედ ფენომენალური შედეგების მქონე ფალავნებითაა დახუნძლული - 2, 3 და 4-გზის მსოფლიოს ჩემპიონებიც კი ჰყავს და, აბა, რისი უნდა ეშინოდეს, რა უნდა დაუმალოს მეტოქე გუნდებს! ამ კრებულში დიდი ტიტულების გარეშე ჯერჯერობით მხოლოდ ორია დარჩენილი - ბატიროვი (ოღონდ ამან ორი წლის წინ ევროპის ფინალი იჭიდავა) და სარიტოვი, თუმცა პირველმა მთავარ შესარჩევ შეჯიბრებაში - რუსეთის პირველობაზე უფროსი ძმა, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **მავლეტ ბატიროვი** დაამარცხა, მეორემ - ევროპის მოქმედი ორგზის ჩემპიონი, ჩვენთვის არცთუ კარგად მოსაგონებელი **ანზორ ურიშევი** (გემახსოვრებათ - დორტმუნდში, ევროპის წლევანდელი პირველობის ფინალში მასთან შეხვედრაში **დავით მარსაგიშვილი** ლამის ჩემპიონად გამოაცხადეს, როცა მსაჯებმა გადაწყვეტილება შეცვალეს და ოქრო ჯიბიდან ამოგვაცალეს) და ევროპის 2009 წლის გამარჯვებული **სოსლან კცოევი**. ეთნიკურად რუსთა ვითომდა ეროვნულ გუნდში არაფერი შეცვლილა - იქ არც ამჯერადაა რუსთა ჭაჭანება, ორთავა არწივის ღირსებას კი იაკუტიელი ლებედევი, ოსები - კუდუხოვი და გაცალოვი, დაღესტნელი ავარელი ბატიროვი, აფხაზი ცარგუში, წითური ჩეჩენი სარიტოვი და ყაბარდოელი მახოვი დაიცავენ. ამათგან რუსეთის ჩემპიონატში მხოლოდ ცარგუშსა და მახოვს არ უჭიდავიათ. ალსანიშნავია, რომ მძიმე წონაში ქვეყნის ჩემპიონი დაღესტნელი კერპი, მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური ვერცხლის მედალოსანი **ბახტიარ ახმედოვი** გახდა, თუმცა მწვრთნელებმა მაინც ბოლო წლების შეუჩერებელი მანქანა მახოვი ამჯობინეს.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო გაცალოვის შემთხვევაა, როგორც **გიორგი გოგშელიძის** ერთ-ერთი მთავარი მეტოქისა. მან წინასწარ შეხვედრებში ოლიმპიური ჩემპიონი **შირვანი მურადოვი** დაჯაბნა, ფინალში კი იური ბელონოვსკის მოუგო.

სრულ საბრძოლო ფორმაშია გოგშელიძის კიდევ ერთი ოსი მეტოქე, ოღონდ აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე მსოფლიოს მოქმედი და ევროპის ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **ხეტაგ გოზიუმოვი**. იქაურთა თავკაც **საიპულა აბსაიდოვს** შემადგენლობა ჯერ ოფიციალურად არ დაუსახელებია, თუმცა გოზიუმოვი აზერბაიჯანულ მედიას ნაკრების წევრის რანგში წარუდგა და სამომავლო მიზნებზეც ისაუბრა. „მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველა მეტოქე ძლიერია, მაგრამ მთავარი კონკურენტი გაცალოვია. ოღონდ არ ვფიქრობ მასზე, რადგან შემწევს ძალა ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. ყველამ იცის, რომ სტამბოლში ლიცენზიები გათამაშდება, თუმცა არც მასზე ვფიქრობ, რადგან ჩემი უმთავრესი მიზანი გამარჯვებაა. თუ საგზურზე ვიზრუნებ, მაშინ, შეიძლება, მთავარი მიზანი აუსრულებელი დამრჩეს", - განაცხადა მან და დასძინა, რომ ლონდონში ოლიმპიური ჩემპიონობისთვის მიდის. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ბოლო ორი პირველობის ფინალში გაცალოვმა და გოზიუმოვმა იჭიდავეს. აქედან პირველად გამარჯვება რუსთა ოსს დარჩა, მეორედ - აზერბაიჯანელებისას.

გოზიუმოვის ამავე ინტერვიუდან და სხვა არაოფიციალური წყაროებიდან ირკვევა აზერბაიჯანის „თავისუფალთა" ნაკრების სავარაუდო შემადგენლობა: **მაჰმუდ მაგომედოვი** (55), **ზელიმხან ჰუსეინოვი** (60), **ჯაბრაილ გასანოვი** (66), **აშრაფ ალიევი** (74), **შარიპ შარიპოვი** (84) და **ჯამალედდინ მაგომედოვი** (120). ასევე ცნობილია ირანელ „თავისუფალთა" შემადგენლობა ერთის გამოკლებით: **ჰასან რახიმი** (55), მსოფლიოს ჩემპიონი **კერმან ტაგავი** (66), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **სადეგ გოუდარზი** (74), **ალირეზა გოუდარზი** (84), **რეზა იაზდანი** (84) და მსოფლიოს პრიზიორი **ფარიდ მასოუმ ვალადი** (120). აქ მხოლოდ 60 კილოგრამზე ვერ გეტყვით ვერაფერს. „თავისუფლებში" უკრაინელებსაც სრული საბრძოლო შემადგენლობა ეყოლებათ: **იური ლედენევი** (55), მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი **ვასილ ფედორიშინი** (60), ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **ანდრეი სტადნიკი** (66), მსოფლიოს ჩემპიონი **იბრაგიმ ალდატოვი** (84), **დმიტრი როჩნიაკი** (74), **ანდრეი ზასეევი** (96) და **ალექსანდრ ხოციანოვსკი** (120). გაირკვა მასპინძელთა - თურქების შემადგენლობაც „თავისუფალში": ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **ახმეტ პეკერი** (55), ახალგაზრდებში მსოფლიოს გამარჯვებული **ერსინ ცეტინი** (60), ოლიმპიური ჩემპიონი **რამაზან შახინი** (66), **ბატუხან დემირჩინი** (74), **სერხატ ბალცი** (96), ევროპის ჩემპიონი **ფატიჰ ჩაკიროღლუ** (120).

ამ ჩემპიონატის და ლონდონში გამოსვლის იმედით რამდენიმეწლიანი განშორების შემდეგ სპორტს დაუბრუნდა 32 წლის ამერიკელი ოლიმპიური ჩემპიონი **კაელ სანდერსონი** (84), რომელმაც ეს გამარჯვება ათენში მოიპოვა.

**ირაკლი თავაძე**

სამბო

# საშემოდგომო გამოცდა ბალტიისპირეთში

**როგორც ცნობილია, საქართველოს სამბოს სამყაროში ახლახანს ცვლილებები მოხდა. სპორტის ეს სახეობა მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან დაინერგა საქართველოში და იმთავითვე საჩვენო ორთაბრძოლა გახდა. ქართული ჭიდაობის შვილებმა უამრავი გამარჯვება მოიპოვეს სამბოს საერთაშორისო სარბიელზე. ალარაფერს ვამბობთ აწ უკვე ისტორიად ქცეულ სსრკ-ს პირველობებზე მოპოვებულ მედლებზე...**

რა ხდება დღეს ჩვენს სამბისტთა დიდ ოჯახში? თბილისში სამბოს ცენტრალურ დარბაზში (ძიუდოს ყოფილი სასახლე) ნაკრებმა გუნდმა რამდენიმე დღეა განაახლა წვრთნა. აგვისტოს პირველ ნახევარში მათ ქობულეთში გაიარეს საწვრთნელი შეკრება — ფიზიკურ მომზადებაში.

ოქტომბრის მეორე ნახევრიდან კი სამკვირიან შემაჯამებელ შეკრებას გამართავენ ჯერ დუშეთში, მერე თბილისში — მსოფლიოს ჩემპიონატის წინ.

ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში მსოფლიოს 35-ე ჩემპიონატი სამბოში 10-14 ნოემბერს გაიმართება. სწორედ ამ საიუბილეო და უმთავრესი ასპარეზობისათვის ემზადება ჩვენი ნაკრები საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუს" ფინანსური მხარდაჭერით.

მსოფლიოს პირველობისთვის ემზადებიან აგრეთვე საქართველოს ჭაბუკთა და ახალგაზრდა სამბისტთა ნაკრები გუნდის წევრები. მათ ერთი თვით ადრე 13-17 ოქტომბერს, ლატვიის დედაქალაქ რიგაში ელით პლანეტის პირველობა თანატოლთა შორის.

დასკვნით საწვრთნელ მოსამზადებელ შეკრებას ჭაბუკები და ახალგაზრდები 28 სექტემბრიდან 11 ოქტომბრამდე გაივლიან თბილისში. ასე რომ, საქართველოს სამბოს რჩეულებს დიდი საშემოდგომო გამოცდა ელით ბალტიისპირეთში.

რაც შეეხება საშინაო ტურნირებს, წლეულს დარჩენილია ერთადერთი შეჯიბრება. თანაც, საქართველოს 2011 წლის ჩემპიონატი, რომელიც დიდი ხნის შემდეგ პირველად იმართება თბილისის გარეთ — ქუთაისში.

23-24-25 სექტემბერს ქუთაისის მშვენიერი სპორტის სასახლე იწვევს ყველა სამბისტს და არა მარტო სამბისტს, ძიუდოისტს, ქართულის და თავისუფალის მოჭიდავეებსაც კი, მათ ქომაგებთან ერთად...

ლიტვაში მსოფლიოს 35-ე ჩემპიონატზე გამოვლენ ძირითადად საქართველოს 2011 წლის ჩემპიონები. ამიტომ ქუთაისში გასამართი ჩვენი ქვეყნის სამბისტთა ჩემპიონატი, სავარაუდოდ, გამორჩეული იქნება მოპაექრეთა სიმრავლითა და უკომპრომისო ორთაბრძოლებით.

ამ შეჯიბრებისათვის საგანგებოდ ემზადება საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაცია, ქუთაისის მერია და სამბოს მსაჯები (მთავარი მსაჯი **გივი სარდანაძე**), მწვრთნელები.

ჩემპიონატში ზუსტად იქნება დაცული სამბოს საერთაშორისო წესები, რეგლამენტი და ბოლოდროინდელი სიახლეები.

**გაბრიელ ბარჯაძე**

ჭადრაკი

# შვიდასიანთა ბრძოლა იწყება

გუშინ ხანტი-მანსიისკში მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიოს თასის გათამაშებაზე დასრულდა მე-2 რაუნდის ტაიბრეიკები და საბოლოოდ გაირკვა იმ 32 დიდოსტატის ვინაობა, რომლებიც მეთექვსმეტედფინალში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. უკვე გაუწყეთ, რომ გალელმა **ბაადურ ჯობავამ** მეორე ბარიერის გადასალახავად ორი კლასიკური პარტია იკმარა — 1,5:0,5 აჯობა პოლონელ რადოსლავ ვოიტაშეკს (პირველ წრეში კი აზერბაიჯანელ ნამიგ გულიევს მოუგო მშრალი ანგარიშით). მსოფლიოს თასის წინა ორ გათამაშებაშიც ჯობავამ ორი ზლუდე იოლად დაძლია, მესამე რაუნდებში კი მეტოქეებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია. იმედია, ბაადურისთვის ამჯერად მესამე ცდა იღბლიანი იქნება. მეთექვსმეტედფინალში თუ იგი რუს **დმიტრი იაკოვენკოს** ეთამაშება. ამ უკანასკნელმა პირველ წრეში ეგვიპტელ სალეხ სალემს მოუგო 2:0, მეორეში კი ინდოელ ჰარიკრიშნას დააყრევინა ფარ-ხმალი — 1,5:0,5.

ქართველი დიდოსტატი მეთექვსმეტედფინალსაც წარმატებით თუ გაივლის, მაშინ მე-4 რაუნდში აზერბაიჯანელ თეიმურ რაჯაბოვსა და ფრანგ ეტიენ ბაკროს შორის გამარჯვებულს შეხვდება.

დღეიდან უმთავრესად 2700-იანთა კლუბის წევრები ან ამ რეიტინგთან მიახლოებული მოჭადრაკეები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. მეოთხედფინალში გასასვლელად იბრძოლებენ: სერგეი კარიაკინი (რუსეთი)-იუდით პოლგარი (უნგრეთი), გატა კამსკი (აშშ)-იან ნეპომნიაშჩი (რუსეთი), პიოტრ სვიდლერი (რუსეთი)-ფაბიანო კარუანა (იტალია), რუსლან პონომარიოვი (უკრაინა)-ზახარ ეფიმენკო (უკრაინა), ვუგარ გაშიმოვი (აზერბაიჯანი)-ევგენი ტომაშევსკი (რუსეთი), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა)-ემილ სუტოვსკი (ისრაელი), თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)-ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი), დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი)-ბაადურ ჯობავა (საქართველო), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი)-ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი).

**ვაჟა დანელია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი

# გუნდები მეორე წრის მიჯნაზე


ლელო-არმია

დღეს საქართველოს ჩემპიონატი მეორე წრის პირველი ტურის მატჩებით განახლდება. თითქმის ორ თვეზე მეტი ხნით შესვენებისას გუნდებში საკმაოდ სერიოზული ცვლილებები განხორციელდა. სატრანსფერო ფანჯარა ზოგმა კარგად გამოიყენა და გაძლიერდა, ზოგიც მეტ-ნაკლებად დასუსტდა. თუმცა, ყველაფერი მხოლოდ მოედანზე გამოჩნდება.

დავიწყოთ გათამაშების ლიდერით. ქუთაისის „აიამ“ პირველ წრეში შესანიშნავად ითამაშა და შვიდი თამაშიდან შვიდივე მოიგო. პირველი წრის შემდეგ გუნდი დატოვა და საფრანგეთის ერთ-ერთ გრანდში, პარიზის „სტად ფრანსეში“ გადაბარგდა შერკინების პირველხაზელი **ზურაბ ჟვანია.** „აიას“ მინიმუმ თვენახევრის განმავლობაში ვერ დაეხმარება გარემარბი **ირაკლი ჩხიკვაძე,** რომელიც საქართველოს ნაკრებში მსოფლიოს თასზე იასპარეზებს.

გუნდს საფრანგეთიდანვე დაუბრუნდა მგეზავი **ზურაბ ზვიადაძე.** საკმაოდ სერიოზული ძალაა უკანა ხაზში კიდევ ერთი შუამარბი **გია ცნობილაძე.** შერკინებაში „აიამ“ ახალგაზრდა მორაგბეები, საკუთარი სარაგბო სკოლის სამი აღზრდილი დაიმატა.

ქუთათურები მე-8 ტურის მატჩს სტუმრად გამართავენ ბოლოსწინა, მეშვიდე ადგილზე მყოფ რუსთავის „ხარებთან“, რომელსაც წრეებს შორის შესვენებაზე არავინ დაუმატებია. გუნდიდან ახლახან წავიდა მესამეხაზელი **კახაბერ კობერიძე,** რომელიც ამიერიდან საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, მეორე დივიზიონის „ალბიში“ ითამაშებს.

ყველაზე დიდი ცვლილებები საქართველოს ჩემპიონატის ახალბედა, „არმიას“ რიგებშია, რომელიც ლიდერს ხუთი ქულით ჩამორჩება და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა. არმიელები საგრძნობლად გაძლიერდნენ და თავის პირველივე სეზონზე ჩემპიონობას უმიზნებენ.

თავად განსაჯეთ, გუნდს უკანა ხაზში დაემატა **გიორგი შკინინი, ალექსანდრე ტუჩაშვილი, ვანო გაბროშვილი** და **ფრიდონ უდესიანი.** საგრძნობლად გაძლიერდა არმიელთა შერკინება, საფრანგეთიდან დაბრუნდა მესამეხაზელი **ბესო უდესიანი,** რუმინეთიდან კი ასევე მესამეხზელი **ლაშა თავართქილაძე.** პირველი ხაზი საგრძნობლად გააძლიერა თბილისის „აკადემიას“ ლიდერმა, შერკინების კვაჭმა **ბექა მეკოკიშვილმა,** ქუთაისის „აიადან“ კი „არმიას“ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შერკინების ბურჯი **ზურაბ ერისთავი** დაემატა.

„არმიაში“ ითამაშებენ ასევე, საქართველოს ამავე ნაკრების მესამეხაზელები **გიორგი თხილაიშვილი** და **ხვიჩა ბუჯიაშვილი.** ამასთან არმიელებს მე-2 წრის საწყის ეტაპზე ვერ დაეხმარებიან ცხრა ნომერი **ბიძინა სამხარაძე** და შერკინების კვაჭი **ჯაბა ბრეგვაძე,** რომლებიც საქართველოს ნაკრებში ითამაშებენ ახალ ზელანდიაში.

„არმიას“ მეტოქე მე-8 ტურში ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი“ იქნება, რომელიც მე-2 წრის წინ საკმაოდ ბევრმა მოთამაშემ დატოვა. გუნდიდან წავიდნენ მეორეხაზელები **გიორგი ოზგებაშვილი** და **ბაჩუკი გუჯარაიძე.** საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, მეორე დივიზიონის „პოში“ გადაბარგდა **ზერო პეტრიაშვილი,** უკანახაზელთაგან **რატი ხუციშვილმა** კარიერის გაგრძელება თბილისის „ლელოში“ გადაწყვიტა.

საქართველოს ნაკრებში საწვრთნელ შეკრებაზე ყოფნისას მუხლი დაიშავა და საოპერაციო შეიქნა გუნდის ლიდერი, მესამეხაზელი **ზვიად მაისურაძე.** რკინიგზელებს დააკლდებათ კიდევ ერთი მესამეხაზელი **გივი ბერიშვილი,** რომელიც „ბორჯღალოსნებთან“ ერთად ახალ ზელანდიაში გაემგზავრება.

„ლოკომოტივის“ ნამატი დანაკლისთან შედარებით უმნიშვნელოა. რუმინეთიდან მობრუნდა პირველხაზელი **ოთარ ტურაშვილი,** უკანა ხაზში კი საქართველოს ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა **ილია გოგიშვილი** დაიმატა.

მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთმა ფავორიტმა თბილისის „ლელომ“ ეროვნულ ნაკრებში სამი მორაგბე მიავლინა, გარემარბი **ლექსო გუგავა,** შუამარბი **ალექსანდრე თოდუა** და მგეზავი **ლაშა ხმალაძე.** გუნდი არავის დაუტოვებია, უკანა ხაზში რატი ხუციშვილის მიწვევის თაობაზე უკვე ვთქვით. შერკინებაში კი ლელოელებს ყოფილი „ყოჩი“ **გაგა ჯორჯაძე** დაეხმარება. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს თასის გათამაშების დასრულების შემდეგ „ლელოში“ მესამეხაზელი **გიორგი ჩხაიძე** ითამაშებს, რომელიც აქამდე საფრანგეთის ელიტური, პირველი დივიზიონის „მონპელიეში“ ასპარეზობდა.

საქართველოს ჩემპიონატის პირველ წრეში შესანიშნავად ითამაშა თბილისის „აკადემიამ“, რომელიც წლევანდელი გათამაშების უდავო მშვენება იყო. აკადემიელებმა სატრანსფერო ფანჯრისას ლიდერი და მთავარი მექულე ბექა მეკოკიშვილი დაკარგეს. დამატებით კი, მხოლოდ საკუთარი სკოლის რამდენიმე აღზრდილი დაიმატეს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „აკადემია“ ერთადერთი გუნდია საქართველოში, რომელიც მხოლოდ საკუთარი სკოლის აღზრდილებით „საზრდოობს“.

თითქმის არაფერი შეცვლილა თბილისის „არმაზში“, რომელიც ხუთი ქულით მეექვსე ადგილზეა და უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის.

აი, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური გუნდის, თბილისის „ყოჩების“ ბოლო ადგილზე ყოფნა კი მიმდინარე სეზონის ყველაზე დიდი მოულოდნელობაა. „ყოჩებმა“ შვიდიდან შვიდივე შეხვედრა წააგეს და გავარდნის ყველაზე რეალური კანდიდატები არიან.

გუნდში უკრაინიდან დაბრუნდა მესამეხაზელი **ჯაბა მალალურაძე,** პირველ ხაზს კი, სადაც „ყოჩებს“ ყველაზე დიდი პრობლემები ჰქონდა, **ლევან შენგელია** გააძლიერებს.

**VIII ტური**

**არმია-ლოკომოტივი, არმაზი-ლელო, აკადემია-ყოჩები, ხარები-აია**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 7 | 7 | 0 | 0 | +97 | 14 |
| 2.არმია | 7 | 4 | 1 | 2 | +19 | 9 |
| 3.აკადემია | 7 | 3 | 2 | 2 | +8 | 8 |
| 4.ლელო | 7 | 4 | 0 | 3 | +36 | 8 |
| 5.ლოკომოტივი | 7 | 4 | 0 | 3 | +22 | 8 |
| 6.არმაზი | 7 | 2 | 1 | 4 | -31 | 5 |
| 7.ხარები | 7 | 2 | 0 | 5 | -59 | 4 |
| 8.ყოჩები | 7 | 0 | 0 | 7 | -92 | 0 |


ლოკომოტივი-აია

● მსოფლიოს თასი



# საქართველოს ნაკრებმა გეზი ახალი ზელანდიისკენ აიღო

საქართველოს ნაკრები დღეს საფრანგეთის ქალაქ ნიცადან, დუბაისა და სიდნეის გავლით, ახალ ზელანდიაში გაემგზავრება. „ბორჯღალოსნებმა“ მსოფლიოს თასისთვის მზადება ჯერ კიდევ ივლისის პირველ დეკადაში თბილისში დაიწყეს. პირველი ეტაპი, რომელიც ორ კვირას გაგრძელდა, მთლიანად ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას დაეთმო.

მერე ჩვენი მორაგბეები თბილისიდან საფრანგეთში გაემგზავრნენ, სადაც საკურორტო ქალაქ კანთან ახლოს მდებარე საწვრთნელ ბაზაზე **გარეთ ადამსონის** ხელმძღვანელობით განაგრძეს ვარჯიში. ერთი კვირა ისევ ფიზმომზადებას დაეთმო. მერე კი საქმეში **ჯონ მაგლტონი** და **რიჩი დიქსონი** ჩაერთნენ.

რვა აგვისტოს საქართველოს ნაკრები კლერმონთან ახლოს, პატარა ქალაქ ისუარში გაემგზავრა. სადაც ორი საწვრთნელი შეხვედრა გამართა. საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტური, მეორე დივიზიონის გუნდებთან „ორიაკთან“ და „ბურგუენთან“. მატჩებში ჩვენი გუნდი გამარჯვებული გამოვიდა. სამწუხაროდ, ამ შეხვედრებში დაშავდნენ მესამეხაზელი **ზვიად მაისურაძე** და ცხრა ნომერი **გიორგი ბეგაძე,** რომლებიც მსოფლიოს თასის მიღმა დარჩნენ.

საფრანგეთში საწვრთნელი შეკრების მიმდინარეობის სანახავად საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი **გიორგი ნიჟარაძე** იმყოფებოდა, რომელმაც, შეგახსენებთ, თბილისში დაბრუნებისას თქვა:

*„ვფიქრობ, ფიზიკურად გუნდი კარგადაა მომზადებული. მსოფლიოს თასამდე დარჩენილ დროში კი მორაგბეები ტაქტიკურ მონახაზებზე იმუშავებენ. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ორი თამაში საკმარისი არ იყო. სამწუხაროდ, ამის საშუალებას არ გვაძლევს მოკლე სათადარიგოთა სკამი. მეტი თამაში, მეტ ტრავმირებულ მორაგბეს ნიშნავს. ამის ფუფუნება კი ჩვენ არ გვაქვს.*

*ერთი სიტყვით, ინგლისის, შოტლანდიისა და არგენტინის ნაკრებები ჩვენზე ობიექტურად ძლიერი გუნდები არიან. მიუხედავად ამისა, პირობას გაძლევთ, რომ ჩვენი გუნდის თამაშით შერცხვენილი არ იქნებით.“*

„ბურგუენთან“ მატჩის შემდეგ რიჩი დიქსონმა მოთამაშეებს ერთკვირიანი შვებულება მისცა. გუნდი ორშაბათს ისევ შეიკრიბა და მორაგბეებმა სისწრაფესა და გამძლეობაში ტესტები ჩააბარეს.

„ბორჯღალოსნები“ ახალ ზელანდიაში ხუთ სექტემბერს, საღამოს ჩავლენ. პირველი ქალაქი, რომელიც ჩვენს გუნდს უმასპინძლებს, ქვეყნის სამხრეთში მდებარე ქალაქი ქვინზთაუნი იქნება. აქ საქართველოს ნაკრები ექვს დღეს დაჰყოფს და მერე კიდევ უფრო სამხრეთით, ინვერქარგილში გამგზავრება, სადაც მსოფლიოს თასის პირველ მატჩში შოტლანდიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.

ცოტა რამ სტატისტიკის მოყვარულთათვის. საქართველოს ნაკრები მსოფლიოს თასზე ზედიზედ მესამედ იასპარეზებს. აქამდე გამართულ რვავე შეხვედრაში მხოლოდ ორმა „ბორჯღალოსანმა“ **მერაბ კვირიკაშვილმა** და **აქვსენტი გიორგაძემ** ითამაშა. ყველაზე მეტი, 35 ქულა ასევე კვირიკაშვილის ანგარიშზეა. ჩვენ გუნდს აქამდე მსოფლიოს თასზე სულ ექვსი ლელო გაუტანია. ისინი **დავით დადუნაშვილმა, გიორგი შკინინმა, ირაკლი მაჩხანელმა, დავით კაჭარავამ, ზვიად მაისურაძემ** და **აქვსენტი გიორგაძემ** მიითვალეს.

**საქართველოს ნაკრები**

**I ხაზი:** გოდერძი შველიძე (მონპელიე), დავით ხინჩაგიშვილი, ვასილ კაკოვინი (ბრივი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), ჯაბა ბრეგვაძე (არმია), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი).

**II ხაზი:** ილია ზედგინიძე (კარკერენი) გიორგი ნემსაძე (ვალანსი), ვახტანგ მაისურაძე (ლა სეინი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი).

**III ხაზი:** ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), დიმიტრი ბასილაია (ობენა), გიორგი ჩხაიძე (ლელო), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), შალვა სუთიაშვილი (მასი).

**№:9:** ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (არმია).

**№:10:** მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი), ლაშა ხმალაძე (ლელო).

**№:12-13:** ლაშა მალაღურაძე (უგუნდო), რეზო გიგაური (ფიჟაკი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), დავით კაჭარავა (ნიცა).

**№:11-14:** ლექსო გუგავა, ალექსანდრე თოდუა (ორივე-ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია), ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი).

**№:15:** მალხაზ ურჯუკაშვილი (გურდო).

**მსოფლიოს თასი**

**14 სექტემბერი**

საქართველო-შოტლანდია

**18 სექტემბერი**

საქართველო-ინგლისი

**28 სექტემბერი**

საქართველო-რუმინეთი

**2 ოქტომბერი**

საქართველო-არგენტინა

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა



ნოვაკ ჯოკოვიჩი

# შოუ ცენტრალურ კორტზე

ამერიკის ღია პირველობაზე მამაკაცებმა მეორე წრე დაიწყეს. იოლი გასეირნება ჰქონდათ ფავორიტებს - **ნოვაკ ჯოკოვიჩსა** და **როჯერ ფედერერს**.

ჯოკოვიჩმა არგენტინელ **კარლოს ბერლოკთან** შეხვედრა ზედიზედ 14 გეიმის მოგებით დაიწყო. სერბი ისე იოლად ილებდა გათამაშებებს, რომ მაყურებელი თავიდანვე მიხვდა - ამ მატჩის სერიოზულად აღქმა არ შეიძლებოდა და ჩოგბურთელების შოუს მოწყობაზე პროვოცირება დაიწყო. ეს ბერლოკს ხელს აძლევდა და მაყურებლის გართობაზე გადავიდა, მხიარული ხასიათით ცნობილი ჯოკოვიჩიც აჰყვა არგენტინელს.

საინტერესო მომენტი შეიქმნა მესამე სეტის სტარტზე, როცა ნოვაკის მიერ ზედიზედ მოგებული გეიმების რიცხვი 14-ს გაუტოლდა. სერბს ლეგენდარული **ივან ლენდლის** მიერ 1987 წელს დამყარებული რეკორდის გამეორების საშუალება მიეცა, როცა ჩეხმა სამი სეტი „მშრალი" ანგარიშით მოიგო. მაგრამ ბერლოკმა პატარა სასწაული მოახდინა - 0:2-ზე ნოვაკის მოწოდებაზე ორი ბრეიკპოინტი მიიღო და მეორე ცდაზე აიღო მეტოქის მოწოდება, რასაც მაყურებელი ფეხზე ადგომითა და დიდი ოვაციით შეხვდა.

რამდენჯერმე ჩოგბურთელებმა ბადესთან ეფექტური გათამაშება მოაწყვეს, რაც საგამოფენო მატჩებისთვის არის დამახასიათებელი. მოკლედ, პუბლიკა ძალიან გაერთო, ჯოკოვიჩმა კი სეზონში 59-ე მატჩი მოიგო და თუ ხვალ ერთ დროს ძლიერი რუსის **ნიკოლაი დავიდენკოს** ძლევას მოახერხებს, მესამე წრეში საიუბილეო გამარჯვებას გაიფორმებს.

როჯერ ფედერერმა ისრაელელი **დუდი სელას** წინააღმდეგ საკუთარი გეიმებში გათამაშებული 60 ქულიდან მხოლოდ რვა წააგო და ერთი ბრეიკის შანსიც არ მისცა მეტოქეს - 6:3, 6:2, 6:2. შვეიცარიელმა „დიდი სლემის" ტურნირებზე 225-ე გამარჯვებას მიაღწია და ამ მაჩვენებლით **ანდრე აგასის** გაუსწრო. ახლა, როჯერის წინ მხოლოდ მეორე ლეგენდარული ამერიკელი - **ჯიმი კონორსია** 233 მოგებით.

გუშინ ფრანგებისთვის იყო ცუდი დღე - ბრძოლას გამოეთიშა ამ ქვეყნის ორი ჩოგბურთელი, რომლებსაც მაღალი განთესვის ნომერი ჰქონდათ. ტურნირის ყველაზე გრძელი მატჩი ითამაშეს **გაელ მონფილსმა** და ესპანელმა **ხუან კარლოს ფერერომ** - მათ კორტზე 4 საათი და 48 წუთი დაჰყვეს. 31 წლის ფერერო მეორე ახალგაზრდობას განიცდის. პირველ წრეში მან ასევე ხუთსეტიან მატჩში მოუგო თანამემამულე **პაბლო ანდუხარს**, ახლა კი ზედიზედ მეორე მარათონს გაუძლო მონფილსის წინააღმდეგ.

პირველი სეტის ტაი-ბრეიკზე წაგების შემდეგ მონფილსმა მომდევნო ორი სეტის დასკვნითი ნაწილი უფრო წარმატებულად ჩაატარა და თითქოს საბოლოო გარდატეხა შეიტანა თამაშში, მაგრამ მეოთხე სეტში ფრანგს ძვირად დაუჯდა ერთადერთი წაგებული გეიმი საკუთარ მოწოდებაზე, მეხუთეში კი გაელს ძალა არ ეყო. სხვათა შორის, ფრანგი მატჩის დღეს 25 წლის შესრულდა.

მონფილს 81 „ვინერსი" და ამდენივე უნებლიე შეცდომა ჰქონდა, ფერეროს ანალოგიური სტატისტიკა 34 „ვინერსსა" და 52 უნებლიე შეცდომას უდრიდა.

მეორე ფრანგმა **რიშარ გასკემ** კი ოთხ პარტიაში წააგო **ივო კარლოვიჩთან**. როგორც ჩანს, ხორვატზე დადებითად იმოქმედა წინა დღეს წყვილებში ძმებ **ბრაიანებზე** გამარჯვებამ. ყოველ შემთხვევაში, ივო პირველ ორ პარტიაში ძალიან კარგად თამაშობდა. სწორედ, რომ თამაშობდა და არა აწვდიდა - მისი უძლიერესი ფორჰენდები ერთიმეორის მიყოლებით აღწევდა მიზანს. მესამე სეტში გასკე გონს მოეგო და ორი ბრეიკით აიღო პარტია, მეოთხეში კი 4:1 დაწინაურდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და ტაი-ბრეიკზე დამარცხდა.

**II წრე**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 6:0, 6:0, 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 6:2, 6:4, 7:5; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 22)**-ფლავიო ჩიპოლა (იტა) 6:0, 7:5, 2:6, 5:7, 6:4; **ივო კარლოვიჩი (ხორ)**-რიშარ გასკე (საფ, 13) 6:4, 6:2, 2:6, 7:6(4); **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 9)**-ფაბიო ფონინი (იტა) 7:5, 6:0, 6:0; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 20)**-ფილიპ პეტცშნერი (გერ) 6:0, 6:3, 3:6, 6:3; **მარსელ გრანოლერსი (ესპ, 31)**-მიხაილ კუკუშკინი (ყაზ) 7:6, 6:3, 6:4; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ)**-გაელ მონფილსი (საფ, 7) 7:6(5), 5:7, 6:7(5), 6:4, 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-დუდი სელა (ისრ) 6:3, 6:2, 6:2; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 27)**-ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა) 6:1, 6:0, 6:2; **ხუან მონაკო (არგ)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 23) 6:4, 6:1, 2:0 შტეპანეკის უარი; **ტომი ჰაასი (გერ)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 7:6(5), 6:1, 7:5; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 11)**-სერგეი ბუბკა (უკრ) 6:3, 7:5, 6:2; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 19)**-მარსელ ილჰანი (თურ) 6:4, 6:3, 6:1; **კევინ ანდერსონი (ს.აფრ)**-მიხაელ ლოდრა (საფ, 29) 6:1, 6:2, 6:2; **მარდი ფიში (აშშ, 8)**-მალეკ ჟაზირი (ტუნ) 6:2, 6:2, 6:4.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

# ამერიკა ქალებით ხარობს

ძალიან საინტერესო მატჩი გველის ქალთა შორის 1/16 ფინალში. ამ ეტაპის ცენტრალურ შეხვედრაში ერთმანეთს შეხვდებიან **სერენა უილიამსი** და **ვიქტორია აზარენკა**. გუშინ ორივემ უპრობლემოდ გაიარა მეორე წრის ბარიერი.

ამჯერად სერენას კარგი ფორმის მსხვერპლი გახდა ჰოლანდიელი **მიხაელა კრაიჩეკი**, რომელმაც მხოლოდ ერთი გეიმი აართვა ამერიკელს. უმცროს უილიამსს ამერიკის ღიაზე ჩატარებულ ორ მატჩში მხოლოდ სამი გეიმი აქვს წაგებული. ჰარდზე მისმა მოგებათა სერიამ 14 შეხვედრას მიაღწია, სულ კი ამ საფარზე ბოლო 30 მატჩში 29 მოიგო. კრაიჩეკის წინააღმდეგ 49 წუთის განმავლობაში სერენამ 10 ეისი შეასრულა და მხოლოდ 10-ჯერ შეცდა.

რაც შეეხება აზარენკას, მას უფრო სერიოზული მეტოქე ჰყავდა არგენტინელი **ხისელა დულკოს** სახით, თუმცა მან დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ბელარუსს და ორ სეტში დამარცხდა - 4:6, 3:6.

საერთოდ, ამერიკელი ქალებისთვის ტურნირი ძალიან კარგად მიმდინარეობს. პირველად 2004 წლის შემდეგ მესამე წრეში გააღწია აშშ-ის ხუთმა წარმომადგენელმა. გუშინ ასეულის მიღმა მყოფმა ორმა ამერიკელმა გამოთიშა ბრძოლას განთესილი მეტოქეები.

18 წლის **სლოუნ სტივენსმა** ორი სეტში მოუგო **შაარ პეერს** ისრაელიდან - 6:1, 7:6(4). ამერიკელმა, რომელსაც ამ ტურნირამდე არასოდეს მოეგო მატჩი „დიდ სლემზე", ერთხელ საათში 200 კილომეტრი სიჩქარით ჩააწოდა ეისი. ახალგაზრდა ჩოგბურთელმა უკვე იცის, რაში დარჯავს ამერიკის ღიაზე მოპოვებულ ჰონორარს: *„პატარა მანქანას შევიძენ. დედამ მომცა ამის უფლება"*. ორი წლის წინ სტივენსი ამერიკის ღიას იუნიორთა ტურნირზე თამაშობდა, როცა შეჯიბრის მსვლელობისას მამა (**ჯონ სტივენსი** - 1988 წელს ამერიკული ფეხბურთის ლიგის საუკეთესო დებიუტანტი) გარდაეცვალა. სლოუნი ლუიზიანას შტატში დაკრძალვას დაესწრო, მეორე დღეს კი კორტზე იდგა და მორიგ შეხვედრას ატარებდა.

მეორე სიურპრიზი 21 წლის ამერიკელმა **ვანია კინგმა** შემოგვთავაზა, რომელმაც მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო ავსტრალიელ **იარმილა გაიდოშოვას** - 6:2, 6:0. ახლა, სტივენსსა და კინგს სერიოზული გამოცდა ელით 1/16 ფინალში - მათი მეტოქეები ყოფილი და მოქმედი პირველი ჩოგნები - სერბი **ანა ივანოვიჩი** და დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი** იქნებიან.

შეგახსენებთ, რომ სტივენსისა და კინგის გარდა მესამე წრეში ითამაშებს კიდევ სამი ამერიკელი - სერენა უილიამსი, **კრისტინა მაკჰეილი** და **ირინა ფალკონი**.

რაც შეეხება ვოზნიაცკის, მან პირველივე გეიმში საკუთარი მოწოდება წააგო ჰოლანდიელ **არანჩა რუსთან**, მაგრამ მომდევნო 13 გეიმში 12 მოიგო და 6:2, 6:0 გაიმარჯვა. ჯერჯერობით ვოზნიაცკის ტურნირზე მხოლოდ ექვსი გეიმი აქვს წაგებული. ივანოვიჩმა კი ისე გააღწია შემდეგ წრეში, რომ კორტზე გასვლა არ დასჭირდა, რადგან მისმა მეტოქემ **პეტრა ჩეტკოვსკამ** ტრავმის გამო მიატოვა ტურნირი.

**II წრე**

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან,1)**-არანჩა რუსი (ჰოლ) 6:2, 6:0; **ვანია კინგი (აშშ)**-იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა, 29) 6:2, 6:0; **აკგულ ამანმურადოვა (უზბ)**-პოლინ პარმენტიე (საფ) 6:3, 7:5; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 15)**-ელენა ბალტაჩა (ბრიტ) 6:4, 6:3; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 10)**-ჟიე ჟენგი (ჩინ) 3:6, 6:3, 6:3; **რობერტა ვინჩი (იტა, 18)**-ალიზ კორნე (საფ) 6:2, 6:3; **სილვია სოლერ-ესპინოსა (ესპ)**-კაია კანეპი (ესტ, 31) 6:4, 6:2; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ)**-სიმონა ჰალეპი (რუმ) 3:6, 6:2, 6:2; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 4)**-ხისელა დულკო (არგ) 6:4, 6:3; **სერენა უილიამსი (აშშ, 28)**-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ) 6:0, 6:1; **სლოუნ სტივენსი (აშშ)**-შაარ პეერი (ისრ, 23) 6:1, 7:6(4); **ანა ივანოვიჩი (სერ, 16)**-პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ) ჩეტკოვსკას უარი; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 11)**-ელენა დოკიჩი (ავსტრა) 6:3, 6:4; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 17)**-პეტრა მარტიჩი (ხორ) 6:4, 2:6, 6:4; **შანელ სხეპერსი (ს.აფრ)**-მონა ბარტელი (გერ) 6:4, 7:5; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 7)**-მირიანა ლუჩიჩი (ხორ) 6:1, 6:1.



სლოუნ სტივენსი

ფორმულა 1. ახალი ამბები

# ფული თუ ბარიკელო?

ფორმულა 1-ის ვეტერანს **რუბენს ბარიკელოს** იმედი აქვს, რომ მომავალი სეზონისთვის „უილიამსთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს, თუმცა ბრიტანული გუნდი აანალიზებს შესაძლებელ ფინანსურ მოგებას ისეთი პილოტის მიწვევით, რომელსაც კარგი სპონსორული მხარდაჭერა ექნება. კანდიდატებს შორის განიხილავენ **ადრიან სუტილს, ბრუნო სენასა** და **გიდო ვან დერ გარდეს**.

თეორიულად, „უილიამსის" მეორე პილოტს **პასტორ მალდონადოს** თითქმის გარანტირებული აქვს გაისად ადგილი ბრიტანულ საჯინიბოში, რადგან მას ვენესუელის ნავთობკომპანიის - PDVSA-ის სოლიდური მხარდაჭერა უმაგრებს ზურგს. 2012 წელს ვენესუელურ კომპანიას „უილიამსთან" თანამშრომლობა დაახლოებით 25 მილიონი ფუნტი დაუჯდება. თანხის ოდენობა იმაზეა დამოკიდებული, ბოლიდის კორპუსზე PDVSA-ის რამდენი ლოგოტიპი იქნება განთავსებული.

■ ■ ■

ესპანურ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, მონცაში უახლოეს უქმეებზე იტალიური „ტორო როსო" არა მხოლოდ ახალ სპონსორს (ესპანური სანავთობო კომპანია - Cepsa), არამედ ახალ მფლობელსაც შეიძენს. ეს გახლავთ საინვესტიციო ჯგუფი IPIC (International Petroleum Investment Company), რომლის შტაბ-ბინა არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში მდებარეობს.

სავარაუდოდ, IPIC ფორმულა 1-ის გამოყენებას აპირებს თავისი ბრენდების ეფექტური რეკლამისთვის, პირველ რიგში, Cepsa-თვის, რომელიც სერიოზულ იერიშს აპირებს ევროპულ ბაზარზე.

დადის ჭორი იმის შესახებ, რომ საამიროებში მალე დაიწყება „ტორო როსოს" ახალი ბაზის მშენებლობა, ხოლო მომავალში ამ საჯინიბოს, შესაძლოა, Team UAE ეწოდოს. რამდენად შეესაბამება ეს ჭორი სინამდვილეს, ამას უახლოეს ხანში გავიგებთ...

■ ■ ■

კვლავაც გაურკვეველია „ლოტუს რენოდან" გაგდებული **ნიკ ჰაიდფელდის** ბედი. როგორც იცით, გერმანელი პილოტი ფრანგულ საჯინიბოში ბრაზილიელმა **ბრუნო სენამ** შეცვალა, რის გამოც ნიკმა სასამართლოში იჩივლა.

პარალელურად, ჰაიდფელდი მოლაპარაკებებს აწარმოებს კონცერნ BMW-სთან DTM-ის გერმანულ სერიაში მონაწილეობაზე. ასე რომ, თუ ნიკი ვერ დაიბრუნებს ადგილს „ლოტუს-რენოში", მას მომავალ წელს სწორედ DTM-ის ჩემპიონატში ვიხილავთ.




რუბენს ბარიკელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოლიმპიზმი



# ექვსი პრეტენდენტი

საერთაშორისოოლიმპიურმა კომიტეტმა იმ ქალაქების საბოლოო სია გამოაქვეყნა, რომლებიც 2020 წლის ზაფხულის თამაშების მასპინძლობისთვის იბრძოლებენ. პრეტენდენტი ექვსია: ბაქო, დოჰა, სტამბოლი, მადრიდი, რომი და ტოკიო. განაცხადების შეტანის ბოლო ვადა პირველი სექტემბერი იყო.

ახლა ყველა საგანაცხადო კომიტეტმა ოლიმპიურ კომიტეტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ქალაქების შესაძლებლობებზე - რამდენად შეუძლიათ მათ ზაფხულის თამაშების ორგანიზება. ამ მონაცემების საფუძველზე სოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტი შეარ[illegible] ქალაქებს, რომლებიც გააგრძელებენ ბრძოლას 2020 წლის ოლიმპიადის მისაღებად (ქალაქების რაოდენობა არ ზუსტდება).

მეორე ეტაპზე ოლიმპიური კომიტეტის სპეციალური კომისია თითოეულ ქალაქს ეწვევა და უფრო დაწვრილებით გაეცნობა მათ შესაძლებლობებს. 2020 წლის ზაფხულის თამაშების არჩევნები 2013 წელს ბუენოს აირესში გაიმართება.

იმ ექვსი ქალაქიდან, რომლებიც 2020 წლის ოლიმპიადაზე აცხადებენ პრეტენზიას, აქამდე ამ უდიდესი სპორტული ფორუმისთვის მხოლოდ რომსა (1960) და ტოკიოს (1964) უმასპინძლიათ. ასევე იტალიასა და იაპონიას ორ-ორჯერ ჩაუტარებიათ ზამთრის ოლიმპიური თამაშები.

ესპანეთს ერთხელ მიუღია ზაფხულის ოლიმპიადა (ბარსელონა-1992). აზერბაიჯანს, კატარსა და თურქეთს არასოდეს ჩაუტარებია ოლიმპიური თამაშები.

## სხვადასხვა

**მოტოსპორტი**

### სამგზის ჩემპიონი მიდის

ცნობილი მოტომრბოლი **ლორის კაპიროსი**, რომელიც წელს Pramac-ის რიგებში გამოდის, ამ სეზონის შემდეგ დაასრულებს კარიერას, - წერს „გაძეტა დელო სპორტი". თავად იტალიელის თქმით, მისი ბოლო რბოლა ვალენსიაში 6 ნოემბერს გაიმართება.

38 წლის კაპიროსის მოტოგრანპრის კლასში 324 რბოლა ჩაუტარებია, რომელთაგანაც 29-ჯერ პირველი მივიდა ფინიშთან. იტალიელი 1990 და 1991 წლებში მსოფლიოს ჩემპიონი იყო 125 კუბური სანტიმეტრის კლასში, 1998 წელს კი ტიტული მოიგო 250 კუბურ სანტიმეტრში.

**ჰოკეი**

### სტენლის თასის მფლობელი პოლიციაში მოხვდა

„ვინიპეგ ჯეტსის" მცველი **დასტინ ბაფლინი** მინესოტას პოლიციამ დააკავა. როგორც TSN იუწყება, ჰოკეისტი კატერის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვისთვის აღმოჩნდა პოლიციაში. უახლოეს ხანში ცნობილი გახდება ექსპერტიზის შედეგები და შემდეგ პოლიცია გადაწყვეტს, წაუყენოს თუ არა 26 წლის ჰოკეისტს ბრალდება.

გასული სეზონი ბაფლინმა „ატლანტაში" ჩაატარა. 81 მატჩში მან 20 გოლი გაიტანა და 33 შედეგიანი გადაცემა შეასრულა. შეგახსენებთ, რომ ეს მცველი „ჩიკაგო ბლეკ ჰოქსში" სტენლის თასის მფლობელი გახდა.

**ექსტრემალური სპორტი**

### ლა მანში 70 წლის ექიმმა გადაცურა

70 წლის ბრიტანელი ექიმი **როჯერ ოლსოპი** ყველაზე ხანდაზმული ადამიანია, ვინც ლა-მანშის სრუტე გადაცურა: 39 კილომეტრი მან 17 საათსა და 51 წუთში დაფარა. მოცურავის გვერდით მუდმივად იმყოფებოდა ბრიტანელი ექიმების გუნდი, რომლებიც მზად იყვნენ საჭიროების შემთხვევაში რეკორდსმენისთვის სამედიცინო დახმარების გასაწევად.

ოლსოპის მთავარი მიზანი იყო თანხის შეგროვება კიბოს დაავადებასთან საბრძოლველად. „ამ გაცურვის წყალობით 750 ათასი ფუნტის მოზიდვა შევძელი და ეს ფული საჭირო კვლევებს ძალიან დაეხმარება", - განაცხადა ექიმმა.

## მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

**კაცები**

**სიგრძე**

1. **დუაიტ ფილიპსი** (აშშ) - 8,45; 2. **მიჩელ უოტი** (ავსტრალია) - 8,33; 3. **ნგონიძაშე მაკუშა** (ზიმ) - 8,29...

**ბირთვი**

1. **დავიდ შტორლი** (გერ) - 21,78; 2. **დილან არმსტრონგი** (კან) - 21,64; 3. **ანდრეი მიხნევიჩი** (ბლრ) - 21,40...

**4X400 მ. ესტაფეტა**

1. აშშ - 2.59,31; 2. ს. აფრიკა - 2.59,87; 3. იამაიკა - 3.00,10...

**ქალები**

**200 მ**

1. **ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი** (იამ) - 22,22; 2. **კარმელიტა ჯეტერი** (აშშ) - 22,37; 3. **ელისონ ფელიქსი** (აშშ) - 22,42...

**5000 მ**

1. **ვივიან ჯეპკემოი ჩერუიოტი** (კენ) - 14.55,36; 2. **სილვია ჯებივოტ კიბეტი** (კენ) - 14.56,21; 3. **მესერეტ დეფარი** (ეთი) - 14.56,94...

**შუბი**

1. **მარია აბაკუმოვა** (რუს) - 71,99; 2. **ბარბარა შპოტაკოვა** (ჩეხ) - 71,58; 3. **სანეტ ვილჯოენი** (ს. აფრ) - 68,38...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2012**

**შესარჩევი**

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი-ბელგია | 1:1 |
| თურქეთი-ყაზახეთი | 2:1 |
| გერმანია-ავსტრია | 6:2 |
| ანდორა-სომხეთი | 0:3 |
| რუსეთი-მაკედონია | 1:0 |
| ირლანდია-სლოვაკეთი | 0:0 |
| ფარერები-იტალია | 0:1 |
| ჩრ. ირლანდია-სერბეთი | 0:1 |
| სლოვენია-ესტონეთი | 1:2 |
| ბელარუსი-ბოსნია | 0:2 |
| ლუქსემბურგი-რუმინეთი | 0:2 |
| ალბანეთი-საფრანგეთი | 1:2 |
| ფინეთი-მოლდოვა | 4:1 |
| უნგრეთი-შვედეთი | 2:1 |
| ჰოლანდია-სან მარინო | 11:0 |
| ისრაელი-საბერძნეთი | 0:1 |
| მალტა-ხორვატია | 1:3 |
| ბულგარეთი-ინგლისი | 0:3 |
| უელსი-ჩერნოგორია | 2:1 |
| ნორვეგია-ისლანდია | 1:0 |
| კვიპროსი-პორტუგალია | 0:4 |
| ლიტვა-ლიხტენშტაინი | 0:0 |

**ევრო 2013**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| ბელარუსი-ბოსნია | 1:1 |
| კვიპროსი-საბერძნეთი | 0:2 |
| სერბეთი-ჩრ. ირლანდია | 1:0 |
| ალბანეთი-პოლონეთი | 0:3 |
| ლიხტენშტაინი-თურქეთი | 0:3 |
| ყაზახეთი-რუმინეთი | 1:1 |
| ლატვია-საფრანგეთი | 0:3 |

**ამხანაგური მატჩები**

**ნაკრებები**

| | |
|---|---|
| ვენესუელა-არგენტინა | 0:1 |
| უკრაინა-ურუგვაი | 2:3 |
| პოლონეთი-მექსიკა | 1:1 |
| ესპანეთი-ჩილე | 3:2 |
| ეკვადორი-იამაიკა | გვ. დასრულდა |

**კლუბები**

| | |
|---|---|
| ფრანკფურტი-ზაარბრიუკენი | 4:1 |
| კაიზერი-ვეენი | 1:0 |
| ზანდჰაუზენი-კიოლნი | 3:2 |

**ინგლისი**

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| სტოკპორტი-ლუტონი | 1:1 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| კილი-მეპენი | 3:1 |

**რეგიონალლიგა (სამ)**

| | |
|---|---|
| პფიულენდორფი-აინტრახტი A | 1:3 |
| მემინგენი-ჰოფენჰაიმი A | 0:2 |

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| კიოლნი A-ლევერკუზენი A | 1:0 |
| ფორტუნა A-ვიდენბრუკი | 1:1 |

**ბელგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბრიუსელი-ჰაისტი | 2:1 |

**ჩეხეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ულინი-სლოვანი | 0:0 |

**არგენტინა**

| | |
|---|---|
| ნიუელსი-კოლონი | 0:0 |
| ტიგრე-ბანფილდი | გვიან დასრულდა |

**მსოფლიოს თასი 2014**

**აზია. შესარჩევი**

| | |
|---|---|
| ჩინეთი-სინგაპური | 2:1 |
| ერაყი-იორდანია | 0:2 |
| ს. კორეა-ლიბანი | 6:0 |
| საემიროები-ქუვეითი | 2:3 |
| იაპონია-ჩრ. კორეა | 1:0 |
| ტაჯიკეთი-უზბეკეთი | 0:1 |
| ავსტრალია-ტაილანდი | 2:1 |
| ომანი-ს. არაბეთი | 0:0 |
| ირანი-ინდონეზია | 3:0 |
| ბაჰრეინი-კატარი | 0:0 |

**კალათბურთი**

**ევრობასკეტი**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-ბრიტანეთი | 86:69 |
| პორტუგალია-პოლონეთი | 73:81 |
| თურქეთი-ლიტვა | 68:75 |
| სერბეთი-ისრაელი | 89:80 |
| ლატვია-იტალია | 62:71 |
| საფრანგეთი-გერმანია | 76:65 |

**ამერიკის ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| კანადა-კუბა | 84:62 |
| პანამა-ურუგვაი | 61:77 |
| ბრაზილია-დომინიკის რეს | 74:79 |

**ჩოგბურთი**

**აშშ-ის ღია**

**კაცები**

| | |
|---|---|
| **ბენეტო**-ისტომინი | 6:4, 6:4, 6:4 |
| **დელ პოტრო**-ხუნკეირა | 6:2, 6:1, 7:5 |
| დარცისი-**ჩელა** | 2:6, 4:6, 4:6 |
| გულბისი-**ჟ. მიულერი** | 6:3, 6:7, 4:6, 6:7 |
| ჯინეპრი-**ისნერი** | 4:6, 3:6, 4:6 |
| **ვავრინკა**-იანგი | 6:7, 6:3, 6:2, 3:6, 6:7 |
| **სიმონი**-გარსია ლოპესი | 6:4, 6:7, 7:5, 6:3 |
| **ფ. ლოპესი**-პოსპიშილი | 5:7, 6:4, 7:6, 7:6 |
| **კუნიცინი**-მელცერი | 3:6, 6:3, 1:6, 6:2, 7:6 |
| **ნალბანდიანი**-ლუბიჩიჩი | 6:4, 1:6, 6:3, 6:2 |
| **ნადალი**-მაუ | 6:2, 6:2, 6:0 |
| ჰაასე-**მიურეი** | 7:6, 6:2, 2:6, 0:6, 4:6 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| საფაროვა-**ნიკულესკუ** | 0:6, 1:6 |
| **ზვონარევა**-მედინა გარიგესი | 6:4, 7:5 |
| **კერბერი**-კუდრიავცევა | 6:3, 6:1 |
| **პენგი**-გორჯესი | 6:4, 7:6 |
| **პენეტა**-შარაპოვა | 6:3, 3:6, 6:4 |
| ფალკონი-**ლისიცკი** | 0:6, 1:6 |

## TV პროგრამა

**3 სექტემბერი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
**11:00** ავსტრიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:00** ესპანეთის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
**13:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. IV ტურის წინ.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
**15:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
**16:00** გერმანიის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
**17:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. IV ტური. ეინდჰოვენი-ექსელსიორი.
**19:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. IV ტური. ლიონი-მონპელიე.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. III ტური. ლივერპული-ბოლტონი.
**23:00** ესპანეთის ჩემპიონატი. II ტური. სარაგოსა-რეალი.
**01:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXI ტური. ფიგურენსე-სან პაულუ (LIVE).

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი.
**11:55** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-პორტლუნდი.
**14:15** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. ფინალი. კუბა-იაპონია. შვეიცარია.
**15:30** ბადმინტონი. მსოფლიო თასი. 1/2 ფინალი. ლონდონი. ინგლისი.
**17:00** F1H20 - ფორმულა 1 წყალზე. მსოფლიოს ჩემპიონატი. III ეტაპი. ყაზანი. რუსეთი.
**18:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. II ტური. არსენალი-ლივერპული.
**20:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**20:30** კალათბურთი. ევროლიგა. სუპერმატჩი. ლეტუვოს რიტასი-კახა ლაბორალი.
**22:05** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ტულონი-ტულუზა.
**23:50** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-პორტლუნდი.

**I არხი**

**18:50** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. საქართველო-სლოვენია. ლიტვა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**17:55** ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. შოტლანდია-ჩეხეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**12:50** ჰოკეი. მოსკოვის მერის თასი. დინამო-ატლანტი (LIVE).
**16:50** ჰოკეი. მოსკოვის მერის თასი. ცსკა-სპარტაკი (LIVE).
**00:55** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფიგუერენსე-სან პაულუ (LIVE).
**05:00** პროფესიული კრივი. სატიტულო ბრძოლა. ი. ზავეკი-ა. ბერტო. აშშ (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**14:10** აკადემიური ნიჩბოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. რუსეთი (LIVE).
**03:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VI დღე. ნიუ იორკი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**19:00** ამერიკის ღია პირველობა. VI დღე. ნიუ იორკი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**16:25** ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. უკრაინა-ბულგარეთი. ლიტვა (LIVE).
**18:55** ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. საბერძნეთი-მაკედონია. ლიტვა (LIVE).
**21:55** ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ხორვატია-ჩერნოგორია. ლიტვა (LIVE).
**04:00** WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-სიეტლი (LIVE).

**SPORT+**

**21:40** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რუსეთი-ბელგია. ლიტვა (LIVE).

**EUROSPORT**

**07:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. V დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**13:45** მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. VIII დღე. ტეგუ. ს. კორეა (LIVE).
**18:00** ველოსპორტი. ვუელტა. XIV ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
**21:15** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VI დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**03:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VI დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**04:00** მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. IX დღე. ტეგუ. ს. კორეა (LIVE).

**EUROSPORT-2**

**11:30** ავსტრალიური ფეხბურთი. ავსტრალიის ლიგა. XXIV ტური (LIVE).
**15:30** ავტოსპორტი. GP3-ის სერია. II რბოლა. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
**16:30** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასი. კვალიფიკაცია. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
**19:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VI დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**21:45** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VI დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**02:15** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VI დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**05:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VI დღე. ნიუ იორკი (LIVE).

**4 სექტემბერი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXI ტური. ფიგურენსე-სან პაულუ.
**12:00** ინგლისის ჩემპიონატი. III ტური. მანჩესტერ იუნ-არსენალი.
**14:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**14:30** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. IV ტური. აიაქსი-ვიტესი.
**17:00** ესპანეთის ჩემპიონატი. II ტური. ბარსელონა-ვილიარეალი.
**19:00** ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. გერმანია-ავსტრია.
**21:00** არგენტინის ჩემპიონატი. IV ტური. რასინგი-ოლიმპო.
**23:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXI ტური. სანტოსი-ბოტაფოგო (LIVE).
**01:10** არგენტინის ჩემპიონატი. V ტურის. ინდეპედიენტე-ბოკა ხუნიორსი (LIVE).

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. II ტური. სევილია-მალაგა.
**11:55** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. ლეიკერსი-დალასი.
**14:10** ბადმინტონი. მსოფლიო თასი. ფინალები. ლონდონი. ინგლისი.
**17:20** F1H20 - ფორმულა 1 წყალზე. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV ეტაპი. კიევი. უკრაინა.
**18:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. III ტური. შტუტგარტი-ლევერკუზენი.
**20:00** კალათბურთი. ევროლიგა. სუპერმატჩი. რეალი-ვალენსია.
**21:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**22:00** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. კასტრი-ბეარიცი.
**23:40** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. ლეიკერსი-დალასი.

**I არხი**

**16:20** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. საქართველო-უკრაინა. ლიტვა (LIVE).
**21:55** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლიტვა-ესპანეთი. ლიტვა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**22:55** ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-ბოტაფოგო (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**12:50** ჰოკეი. მოსკოვის მერის თასი. სპარტაკი-ატლანტი (LIVE).
**16:50** ჰოკეი. მოსკოვის მერის თასი. ცსკა-დინამო (LIVE).
**21:55** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. სერბეთი-გერმანია. ლიტვა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**19:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VII დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**03:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VII დღე. ნიუ იორკი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**19:00** ამერიკის ღია პირველობა. VII დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**00:00** ამერიკის ღია პირველობა. VII დღე. ნიუ იორკი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**16:25** ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. საქართველო-უკრაინა. ლიტვა (LIVE).
**18:40** ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. იტალია-საფრანგეთი. ლიტვა (LIVE).
**21:55** ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლიტვა-ესპანეთი. ლიტვა (LIVE).

**SPORT+**

**18:40** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. რუსეთი-ბულგარეთი. ლიტვა (LIVE).

**EUROSPORT**

**06:30** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VI დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**11:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასი. გასახურებელი წრე. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
**11:30** ავტოსპორტი. GP3-ის სერია. II რბოლა. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
**13:00** მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. IX დღე. ტეგუ. ს. კორეა (LIVE).
**16:45** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასი. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
**17:45** სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. ნიურბურგი. გერმანია (LIVE).
**18:30** ველოსპორტი. ვუელტა. XV ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
**21:15** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VII დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**03:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VII დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**05:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VII დღე. ნიუ იორკი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**12:30** სუპერსტოკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნიურბურგი. გერმანია (LIVE).
**15:30** სუპერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნიურბურგი. გერმანია (LIVE).
**19:00** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VII დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**21:45** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VII დღე. ნიუ იორკი (LIVE).
**02:15** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. VII დღე. ნიუ იორკი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრობასკეტი 2011. ჯგუფური ეტაპი

# საფრანგეთმა ნოვიცკი გააჩერა

## ლიტვა-ესპანეთი პირველ ადგილს გაარკვევს

ზედიზედ მესამე მატჩია **ლუოლ დენგის** წყალობით ბრიტანეთი იბრძვის, მაგრამ ბოლოს მაინც დიდი ანგარიშით აგებს. ასე მოხდა ესპანეთთან მატჩშიც. დაახლოებით ორმეოთხედნახევარი ევროპის მოქმედი ჩემპიონი ექვს-რვა ქულაზე შორს ვერ მიდიოდა. პირენეელებმა გადამწყვეტი გაქცევა 42:36-ზე მოაწყვეს, როცა ათი უპასუხო ქულა ჩაუგდეს მეტოქეს. ამ ათი ქულიდან რვა **მარკ გასოლის** ანგარიშზე იყო, რომელმაც, საბოლოოდ, ორმაგი დუბლით დაასრულა შეხვედრა - 18 ქულა და 11 მოხსნა.

ამ გაქცევის შემდეგ ბრიტანეთი დანებდა. მართალია, დენგი მოედანზე დარჩა, მაგრამ, ისევე როგორც წინა მატჩებში, ახლაც გამოჩნდა, რომ „ჩიკაგოს" კალათბურთელმა უბრალოდ არ იცის ვისთან გაითამაშოს ბურთი, როცა თავად არ უტევს. მას მეტ-ნაკლებად მხარდაჭერა **კლარკისგან** ჰქონდა. ეს იყო და ეს. შესაბამისად, სავსებით გასაგები იყო **კრის ფინჩის** ჟესტი, როცა მან თავისი გუნდის თამაშის შემხედვარემ თავში შემოირტყა ხელი.

ბრიტანეთს ცუდი სამსახური გაუწია შეტევაში შეცდომებმა - გუნდმა 21-ჯერ დაკარგა ბურთი და ამის ხარჯზე ესპანეთმა 21 ქულა მოიპოვა!

ახლა, ესპანეთს ორი რთული მატჩი რჩება ჯგუფში ლიტვასთან და თურქეთთან. სწორედ ამ შეხვედრებში გაირკვევა ჯგუფის გამარჯვებული.

ევრობასკეტის ჯგუფური ეტაპის მორიგი მოულოდნელობა კინაღამ პოლონეთისა და პორტუგალიის მატჩში დაფიქსირდა. ფინალურ ეტაპზე კვალიფიკაციიდან მოხვედრილი პორტუგალია პირველ ტაიმში კარგ დონეს აჩვენებდა და პირველი ტაიმის შემდეგ 36:29-ს იგებდა, მაგრამ მესამე მეოთხედის სტარტზე, პირველ ექვს წუთში თამაშიდან ერთი ბურთიც ვერ ჩააგდო, პოლონეთმა კი 12 უპასუხო ქულა მიითვალა და წინ გავიდა, თუმცა ეს არ ყოფილა გარდატეხა მატჩში. პორტუგალიამ კიდევ ერთხელ მოახერხა წინ გასვლა - 61:60 და იქვე მეტოქის მორიგი გაქცევა გამოეპარა: 13:4. ანგარიში გახდა 73:65 და თითქოს პოლონელთა გამარჯვება გაიფორმა, მაგრამ **ტავარესისა** და **ჟოაო კოშტას** ზედიზედ ორმა სამქულიანმა ინტრიგა დაუბრუნა შეხვედრას. საფინალო სირენამდე წუთითა და 9 წამით ადრე ანგარიში იყო - 73:71. და კვლავ პოლონეთის გაქცევა - 8:2, რის შემდეგაც საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა - 81:73.

პოლონელთა გამარჯვებაში დიდი წვლილი დაიდო **ლუკაშ კოშარეკმა**. მან 18 ქულა დააგროვა და აქედან - შვიდი მეოთხე მეოთხედში.

დღის მატჩი ლიტვასა და თურქეთს შორის გაიმართა. მათ ორ-ორი შეხვედრა ჰქონდათ მოგებული და ამ მატჩს უნდა გაერკვია, ესპანეთთან ერთად რომელი გუნდი ჩაუდგებოდა სათავეში ჯგუფს.

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონისა და მესამე პრიზიორის ურთიერთშეხვედრებს თუ გადავხედავთ, ლიტვას ევროპის ჩემპიონატებზე რვიდან შვიდი მატჩი ჰქონდათ მოგებული, თუმცა ბოლო შეხვედრაში (ორი წლის წინ პოლონეთში) თურქეთმა გაიმარჯვა.

თითქმის მთელი თამაში ქულა ქულაში მიდიოდა. საფინალო სირენამდე წუთითა და 18 წამით ადრე ლიტვა მხოლოდ ორი ქულით იყო წინ - 69:67. სწორედ ამ მომენტში გამოიკვეთა მატჩის გმირი და ანტიგმირი. **ემირ პრელჯიჩზე** არასპორტული ჯარიმისთვის ლიტველები დაისაჯნენ და თურქმა ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო, შემდეგ კი ფარქვეშიდან ააცილა, საპასუხო შეტევაში კი სონგაილამ იყოჩაღა და მორიგი ორი ქულით ის თავისიანებს შორის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა. შემდეგი შეტევა ისევ პრელჯიჩმა დაიწყო და უხეში შეცდომა დაუშვა - ზონის წესი დაარღვია. ლიტვამ კი ისევ ორი ქულით (**იასიკიავიჩუსი**) უპასუხა და თამაში დამთავრებული იყო.

სონგაილა სათადარიგოთა სკამიდან შევიდა მოედანზე და 12 ქულა დააგროვა. საერთოდ, ლიტველთა გამარჯვება დიდწილად რეზერვისტთა კარგმა თამაშმა განაპირობა - მასპინძელთა სათადარიგო სკამმა 33 ქულა მიითვალა, თურქეთისამ - 16 ქულა.

თურქეთის კიდევ ერთი პრობლემა იყო სამქულიანები - 18 შორეული ტყორცნიდან მხოლოდ სამმა მიაღწია მიზანს, ლიტვამ კი შორიდან 12-დან ხუთი ბურთი ჩააგდო.



პარკერმა ნოვიცკის აჯობა



ბარნიანი დღის გმირი აღმოჩნდა

### A ჯგუფი

**ესპანეთი-ბრიტანეთი 86:69**

19:16, 19:16, 22:13, 26:24

**ე:** პ. გასოლი (21+6 მოხსნა), მ. გასოლი (18+11 მოხსნა+5 პასი), ფერნანდესი (11), რეიესი (10+6 მოხსნა), იბაკა (8), კლავერი (4), რუბიო (4+4 პასი), ნავარო (3), ლიული (3), კალდერონი (2), სან ემეტერიო (2).

**ბ:** დენგი (17+5 მოხსნა), კლარკი (14+12 მოხსნა), რეინკინგი (9), ადეგბოიე (8), ჯონსონი (8), სალივანი (5), ფრილენდი (4), ლენზლი (2), ბოატენგი (2), ვან ოსტრუმი (0+6 პასი).

**პორტუგალია-პოლონეთი 73:81**

13:10, 23:19, 13:20, 24:32

**პორ:** ტავარესი (13), კოშტა (13), და სილვა (12+4 პასი), სანტოსი (12), მირანდა (9), ანდრადე (8+5 მოხსნა), ევორა (2), მინიავა (2), ფონსეკა (2).

**პოლ:** კოშარეკი (18+4 პასი), ბერიშა (16), შევჩიკი (13+5 მოხსნა), ლეონჩიკი (11+9 მოხსნა), კელატი (8+6 მოხსნა), ჰრიცანიუკი (8+6 მოხსნა), სკიბნიევსკი (4), ლაპეტა (2), შჩოტკა (1).

**თურქეთი-ლიტვა 68:75**

17:19, 18:13, 14:19, 19:24

**თ:** ილიასოვა (20), აშიქი (11+13 მოხსნა), ონანი (10), თურქოგლუ (9+4 პასი), პრელჯიჩი (7), კანტერი (5), არსლანი (2), სავაში (2), თუნჩერი (2).

**ლ:** მონგაილა (12+5 მოხსნა), კაუკენასი (11), იასაიტისი (11), პოჩიუსი (9), კალნიეტისი (9), იანკუნასი (7+5 მოხსნა), იასიკიავიჩუსი (7+7 მოხსნა+5 პასი), პეტრავიჩუსი (5), იავტოკასი (4+6 მოხსნა).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიტვა | 3 | 3 | 0 | 252-214 | 6 |
| 2. ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 256-220 | 6 |
| 3. თურქეთი | 3 | 2 | 1 | 237-192 | 5 |
| 4. პოლონეთი | 3 | 1 | 2 | 236-253 | 4 |
| 5. პორტუგალია | 3 | 0 | 3 | 202-247 | 3 |
| 6. ბრიტანეთი | 3 | 0 | 3 | 199-256 | 3 |

## დღის გმირი ბარნიანი გახდა

გუშინდელ პროგრამას სერბეთისა და ისრაელის მატჩი ხსნიდა. გამარჯვების შემთხვევაში სერბები ინაღდებდნენ შემდეგი ეტაპის საგზურს, ისრაელს კი ორი წაგების შემდეგ უკან დახევის უფლება არ ჰქონდა. თუმცა ებრაელთა მსუბუქ და სწრაფ შემადგენლობას ძალიან გაუჭირდებოდა სერბების მაღლებთან - **კრსტიჩთან, პეროვიჩთან** და სხვებთან ბრძოლა. ასეც მოხდა - **ივკოვიჩის** გუნდმა მოხსნებში 44:27 აჯობა მეტოქეს, „მეორე შანსის" შეტევებით კი 9 ქულა მიითვალა, როცა ისრაელის ანალოგიური მაჩვენებელი ორი ქულა იყო.

თუმცა ისრაელი მთლად უიმედოდ არ ყოფილა - უფრო მეტიც, მატჩის ორი მესამედი ეს გუნდი თავისი მცველების შედეგიანი თამაშის წყალობით ლიდერობდა, სერბეთს კი მხოლოდ **დუშკო სავანოვიჩი** მიათრევდა - „ეფესის" ახალბედას ყველაფერი გამოსდიოდა.

რა თქმა უნდა, ისრაელს სოლიდური სხვაობის მიღწევა არ შეეძლო, მაგრამ ხუთ-შვიდქულიან ჰანდიკაპს დამაჯერებლად ინარჩუნებდა, რამაც წყობიდან გამოიყვანა სერბების დამრიგებელი **დუშან ივკოვიჩი** და მან სამართლიანად მიიღო ტექნიკური ჯარიმა.

და მაინც, ისრაელმა ვერ შეინარჩუნა უპირატესობა. სავანოვიჩისგან ესტაფეტა **კეშელმა** აიღო. „ოლიმპიაკოსის" მცველმა კუთხიდან ხუთი სამქულიანი ჩააგდო. ამას დაემატა **ტეოდოშიჩისა** და კრსტიჩის გააქტიურება. ბოლო ორ წუთში ივკოვიჩის გუნდმა საბოლოოდ გატეხა ისრაელის წინააღმდეგობა - 89:80.

ამ ჯგუფში მეორე შეხვედრა, ფაქტობრივად **ანდრეა ბარნიანისა** და ლატვიის ნაკრების დაპირისპირებად გადაიქცა. „ტორონტოს" ცენტრი ქულას ქულაზე აგროვებდა და რამდენიმე მომენტში მას უფრო მეტი ქულა ჰქონდა მოპოვებული, ვიდრე დანარჩენ იტალიას ერთად. თუმცა „სკუადრა აძურას" დაცვა ძალიან სუსტად გამოიყურებოდა და მუდმივად აძლევდა თავის გამოჩენის საშუალებას **მეირესსა** და **სელაკოვსს**.

ამის წყალობით ლატვია თითქმის სულ წინ იყო და იტალია დიდხნიანი შესვენების შემდეგ მესამე მეოთხედის ბოლოს გავიდა წინ. **პიანიჯანის** გუნდის ლიდერობა მეოთხე ათწუთეულის დასაწყისშივე განიმტკიცა: ჯერ **მორდენტემ** კუთხიდან ჩააგდო სამქულიანი, შემდეგ იგივე გააკეთა ბარნიანიმ და იტალიის უპირატესობა რვაქულიანი გახდა - 61:53. სულ მალე კი ანდრეამ იტალიის უპირატესობა ორნიშნად აქცია - 66:56.

ამის შემდეგ ლატვიელთა თამაში საბოლოოდ მოიშალა: ველარ აგდებდნენ ჯარიმებს, დაკარგეს კონტროლი ფარქვეშ... აღსანიშნავია, რომ იტალიამ 28-დან 25 საჯარიმო ჩააგდო, ლატვიამ - 21-დან 12. შეხვედრას წერტილი იმავე ბარნიანიმ დაუსვა, რომელმაც 20 წამის ინტერვალში ორი დაფარება შეასრულა.

იტალიას მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი გაუჩნდა, ოღონდ მან აუცილებლად უნდა დაამარცხოს საფრანგეთი.

საფრანგეთის ძლევა კი იოლი საქმე არ არის. გუშინდელ მიმოხილვაში აღვნიშნეთ, რომ **ვენსან კოლეს** გუნდი ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია, რაც გერმანიასთან მატჩში დაამტკიცა.

მეტოქეებმა პროგნოზირებადი ტაქტიკით დაიწყეს - გერმანიამ პირველ წუთებზე აქცენტი **ნოვიცკიზე** გააკეთა და არც შემცდარა. NBA-ის ჩემპიონმა საწყის წუთებში 7 ქულა დააგროვა და გერმანია წინ გაიჭრა - 9:2. ფრანგები კი **პარკერის** დრიბლინგების იმედად იყვნენ - ტონი სამწამიანში შედიოდა და უკან თავისუფალ პარტნიორს უგდებდა ბურთს. თუმცა „სპურსის" გამთამაშებლის თანაგუნდელები მარტივი სიტუაციიდან აცილებდნენ ბურთს. როცა სხვაობა ცხრა ქულამდე ავიდა, კოლე იძულებული გახდა ტაიმ-აუტი აეღო და ამან საფრანგეთს უშველა. გუნდმა დაცვა გამოასწორა და შედეგად 8:0 გაქცევა ვიხილეთ, რომელიც იმავე ნოვიცკიმ შეაჩერა.

პირველი მეოთხედი გერმანიამ ოთხი ქულით მოიგო. საფრანგეთმა დევნა მეორე მეოთხედში გააგრძელა, მაგრამ კარგა ხანი არაფერი გამოსდიოდა და გერმანიამ თავისი ლიდერის გარეშეც მოახერხა სხვაობის გაზრდა - 24:17. თამაშის სურათი კარდინალურად მას შემდეგ შეიცვალა, როცა მოედანზე პარკერი დაბრუნდა. ფრანგების ლიდერმა რიტმი დაიჭირა და ზედიზედ ცხრა ქულას ერთი საგოლე პასიც დაუმატა, რომელიც **ჟელაბალემ** სამქულიანში გარდასახა. ამ 12 ქულას გერმანიამ მხოლოდ ნოვიცკის ორი საჯარიმოთი და **შაფარციკის** ლეი-აპით უპასუხა და ტაიმი საფრანგეთმა 29:28 მოიგო.

პარკერი და კომპანია მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებდა. მესამე მეოთხედის დასაწყისი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, შემდეგ კი ტონისა და **ნოას** წყალობით გადამწყვეტი გაქცევა განხორციელდა - 7:0 და გერმანია მოიშალა. **ბაუერმანის** ტაიმ-აუტმა შედეგი არ გამოიღო. ჟელაბალემ სამქულიანი ჩააგდო, ნო[illegible] საჯარიმო დაუმატა. სანამ ნოვიცკი სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თამაშს თვალს, პარკერმა საერთო გუნდური მონაგარის ნახევარი (28 ქულა) ჩაიწერა აქტივში, საფრანგეთი კი 17 ქულით დაწინაურდა - 56:39. ცნობისთვის, ნოვიცკიმ და კამანმა მესამე პერიოდში ერთად ორი ქულა დააგროვეს. ბოლო მეოთხედი ფორმალობად გადაიქცა.

### B ჯგუფი

**სერბეთი-ისრაელი 89:80**

22:25, 13:16, 23:23, 31:16

**ს:** სავანოვიჩი (24+7 მოხსნა), კრსტიჩი (18+7 მოხსნა), კეშელი (15+7 მოხსნა), მაჩვანი (7), ტეოდოშიჩი (6+7 მოხსნა+5 პასი), რაშიჩი (5), მარკოვიჩი (5+4 პასი), ტეპიჩი (4), პეროვიჩი (3), ბიელიცა (2).

**ი:** ჰალპერინი (18+5 ჩაჭრა), ნისიმი (16+9 პასი), ბლუ (16), ელიაჰუ (14), პნინი (9), კადირი (7+10 მოხსნა).

**ლატვია-იტალია 62:71**

21:18, 12:13, 20:24, 9:16

**ლ:** კუკსიქსი (19), სელაკოვსი (10), ბერტანსი (8), მეიერსი (5), ბერძინში (5), ბერტანსი (5), ბლუმსი (4), ფრეიმანისი (4), სტრელნიექსი (2+8 მოხსნა).

**ი:** ბარნიანი (36+7 მოხსნა), ბელინელი (11), მანჩინელი (8+9 მოხსნა), გალინარი (7+9 მოხსნა), მორდენტე (3), ჰეკეტი (2), კარარეტო (2), დატომე (2).

**საფრანგეთი-გერმანია 76:65**

12:16, 17:12, 29:12, 18:25

**ს:** პაკერი (32+ პასი), ბატუმი (14), ჟელაბალე (10), ნოა (8+7 მოხსნა), ტრაორე (4), სერაფინი (2), პიეტრუსი (2+6 მოხსნა), დიაო (2), დე კოლო (2).

**გ:** ნოვიცკი (20+6 მოხსნა), შაფარციკი (12), კამანი (8+5 მოხსნა), შვეტჰელმი (7), ჰამანი (7), შტაიგერი (6), ბენცინგი (3), ოლბრეხტი (1), იაგლა (1).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | 250-211 | 6 |
| 2. სერბეთი | 3 | 3 | 0 | 261-225 | 6 |
| 3. გერმანია | 3 | 2 | 1 | 232-202 | 5 |
| 4. იტალია | 3 | 1 | 2 | 201-218 | 4 |
| 5. ლატვია | 3 | 0 | 3 | 217-252 | 3 |
| 6. ისრაელი | 3 | 0 | 3 | 212-265 | 3 |

გია **თვალაბეიშვილი**

## კვირის ბოლოს


ალექსანდრე ტოგონიძის ფოტოკოლაჟი